

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი


ქეთევან ცხადაძე

წარმომადგენლობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ

სამართალში

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – მაია კოპალეიშვილი, თსუ იურიდიული
ფაკულტეტის პროფესორი



თბილისი

2016 წ.

სარჩევი

აბრევიატურა	5
შესავალი	6
თემის აქტუალობა	6
კვლევის მიზანი და შესწავლის საგანი	8
გამოყენებული კვლევის მეთოდი	9
დისერტაციის სტრუქტურის აღწერა	9
თავი1. წარმომადგენლობის ინსტიტუტის კონსტიტუციურ–სამართლებრივი მნიშვნელობა	12
1.1. კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები ადმინისტრაციული სამართლისათვის	12
1.2. პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე	13
1.3. წარმომადგენლით სარგებლობის უფლება	16
1.4. ევექტური დაცვის უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილი)	17
1.5. დასკვნა.	19
თავი 2. წარმომადგენლობის ინსტიტუტის თეორიული საფუძვლები	21
2.1. წარმომადგენლობის დასაშვებობის საკითხი ადმინისტრაციულ სამართალში.	21
2.1.1. წარმომადგენლის ცნების დეფინიცია ადმინისტრაციულ სამართალში	22
2.1.2. ცნების განმარტება სამოქალაქო სამართლის მიხედვით	24
2.2. ადმინისტრაციული სამართლის ნორმების მითითება ადმინისტრაციულ წარმოებაში სამოქალაქო სამართლებრივი დებულებების გამოყენების თაობაზე.	28
2.3. განსხვავება ადმინისტრაციული წარმოების მარეგულირებელ სამართალსა და ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალს შორის წარმომადგენლობის ინსტიტუტის რეგულირების თვალსაზრისით.	30
2.3.1. წარმომადგენელი მატერიალურ და პროცესუალურ სამართალში.	33
2.4. დასკვნა	35
თავი 3. ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების სამართლებრივი მდგომარეობა	37
3.1. ზოგადი რეგულირება	37
3.2. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილენი	38
3.2.1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა	40
3.3. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები	41
3.3.1. ადმინისტრაციული პროცესის მხარეები	41
3.3.2. მხარეთა უფლებები.	42
3.4 წარმომადგენელი როგორც ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ელემენტი	45
3.5. ადმინისტრაციული ურთიერთობის მონაწილეები, რომლებიც არ შეიძლება წარმოდგენილი იქნენ წარმომადგენლით.	46

3.5.1. საზოგადოებრივი ექსპერტი, სპეციალისტი	46
3.5.2. მოწმე.	48
3.6. დასკვნა	49

თავი 4. წარმომადგენლობის უფლებამოსილება	50
4.1. ზოგადი რეგულირება50
4.1.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი	50
4.1.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მე-2 ნაწილი	52
4.2. უფლებამოსილების შეწყვეტა	53
4.2.1. მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტა	55
4.2.2. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების შეწყვეტა.	55
4.3. წარმომადგენლის პასუხისმგებლობა.	56
4.4. დასკვნა.58

თავი 5. წარმომადგენლის სახეები.	58
5.1. ზოგადი რეგულირება	58
5.2. კანონიერი წარმომადგენელი.	59
5.2.1. იურიდიული მზრუნველი	60
5.2.2. მეურვის/მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.	62
5.2.3. პირები, რომლებიც შეიძლება დაინიშნონ მეურვედ ან მზრუნველად	64
5.2.4. მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობები	65
5.3. წარმომადგენლის კანონმდებლობით რეგულირება	68
5.3.1. წარმომადგენლის რეგულირება მატერიალურ ადმინისტრაციულ სამართალში.	68
5.3.2. წარმომადგენლის არსებობის სავალდებულობა.	69
5.3.2.1. როდესაც უცნობია მონაწილე პირი.	70
5.3.2.2. როდესაც უცნობია საცხოვრებელი ადგილი	71
5.3.2.3. უპატრონო ნივთები72
5.3.2.4. წარმომადგენლობა საერთო ინტერესების არსებობისას.	73
5.4. პროცესუალური წარმომადგენელი	75
5.5. წარმომადგენლობის ცალკეული სახეები.	76
5.5.1. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი	76
5.5.2. გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი	78
5.5.3. წარმომადგენლობა სახელმწიფოს ხარჯზე80

თავი 6. ადვოკატი როგორც წარმომადგენელი, განსხვავება მათ შორის.82
6.1. ადვოკატი როგორც წარმომადგენელი, განსხვავება მათ შორის.	82
6.2. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პრინციპები.	85
6.3. სასამართლოს უარი იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი.	89
6.3.1. დასკვნა.	92
6.4. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.	93
6.4.1. დასკვნა	95

თავი 7. დამხმარე, კონსულტანტი გერმანული და შვეიცარიული ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით	96
7.1. Beistände (დამხმარე, კონსულტანტი) გერმანული სამართლის მიხედვით.	96
7.1.1. ზეპირი და წერილობითი გამოხატვის დასაშვებობა.	97
7.1.2. დამხმარის აცილება, უფლებამოსილების შეწყვეტა	98
7.2. Verbeiständung (დამხმარე, კონსულტანტი) შვეიცარიული ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით	99
7.2.1. ისტორიული მიმოხილვა	99
7.2.2. უფლება დამხმარეზე ადმინისტრაციულ წარმოებაში.	99
7.3. დასკვნა.	101
თავი 8. ადმინისტრაციული ორგანო როგორც წარმომადგენელი	103
8.1. ადმინისტრაციული ორგანოს ამბივალენტური ფუნქცია	103
8.2. ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ინტერესები	104
8.2.1. ასიმეტრიები ინტერესთა წარმოდგენისას საჯარო მმართველობის ორმაგი ფუნქციის გამო.	104
8.2.2. საჯარო მმართველობის მონოპოლია საჯარო ინტერესების წარმოდგენის სფეროში?	106
8.3. უფლების დაცვა და ადმინისტრაციული ორგანოს ეფექტიანობა, როგორც სამართლებრივი შედეგების თეორიული საფუძველი.	107
8.4. დასკვნა	111
თავი 9. წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაფორმება და წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურება.	114
9.1. წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაფორმება	114
9.1.1. ფორმა	115
9.2. მინდობილობის სახეები.	117
9.2.1. უფლებამოსილება მინდობილობის გარეშე	117
9.2.2. ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობა.	117
9.2.3. ადვოკატის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.	118
9.3. წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურება.	120
9.3.1. სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების რეგულირება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით	120
9.4. საპროცესო ხარჯებისაგან გათავისუფლება	121
დასკვნა	124
ბიბლიოგრაფია	128

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები

გგ. - გვერდი

მუხ. - მუხლი

იხ. - იხილეთ

რედ. - რედაქტორი.

სსმ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

სზაკ - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

სასკ - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

შეად. - შეადარეთ

წ. - წელი

abs. absatz - აბსაცია

art. Artikel - მუხლი

GG Grundgesetz- გერმანიის ძირითადი კანონი

BGB Bürgerliches Gesetzbuch- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

BGE Bundesgerichtsentscheidungen - შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები

Bd Band – ტომი

BV Die Bundesverfassung der Schweizerischen Eidgenossenschaft - შვეიცარიის კონფედერაციის კონსტიტუცია

BVerfGE Bundesgerichtsentscheidungen - გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

BVerwGE Bundesverwaltungsgerichtsentscheidungen - გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები

Diss. Dissertation - დისერტაცია

DÖV Die Öffentliche Verwaltung - ჟურნალი საჯარო მმართველობა, გერმანია

DJT Verhandlungen Deutschen Juristen Tagen - საუბრები გერმანიის იურისტის დღეზე

DVBI Deutsche Verwaltungsblätter - გერმანული ადმინისტრაციული ჟურნალი

NJW Neue Juristische Wochenschrift ახალი ყოველკვირეული იურიდიული ჟურნალი

NVwZ Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht - ახალი ჟურნალი ადმინისტრაციული სამართლისათვის

Rec. Recommendation - რეკომენდაცია

S Seite - გვერდი

VwVfG Verwaltungsverfahrensgesetz - გერმანიის კანონი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

VwGO Verwaltungsgerichtsordnung - გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

ZBR Zeitschrift für Beamtenrecht - ჟურნალი სამოსჯელო სამართალში

შესავალი

თემის აქტუალობა.

ადმინისტრაციულ სამართალში, ისევე როგორც სამოქალაქო სამართალში წარმოიშობა იმის საჭიროება, რომ პიროვნება ან ორგანიზაცია, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში სხვადასხვა მიზეზის არსებობის გამო თავად ვერ ახორციელებს მის ინტერესებს, უფლებებსა და მოვალეობებს, წარმოდგენილი იყოს სხვა პირის მიერ.

თანამედროვე გარემოს ფაქტობრივმა და სამართლებრივმა მრავალფეროვნებამ განაპირობა სხვის მიერ სამართლებრივი ქმედების განხორციელების აუცილებლობა¹, რასაც, პირველ რიგში, მოჰყვება სხვისთვის სამართლებრივი შედეგის წარმოშობა.

სამოქალაქო სამართლის მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალშიც არსებობს სრულიად განსხვავებული მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას. კონკრეტულმა პირმა შეიძლება, ავადმყოფობის, დაუსწრებლობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერ მოახერხოს საკუთარი უფლება-მოვალეობების თავად განხორციელება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ისინი ანდობენ თავიანთი კანონიერი ინტერესების განხორციელებას სხვა პირს, მათთვის სასურველ წარმომადგენელს, რომელიც წარადგენს და დაიცავს მათ ინტერესებს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში.

გარდა ამისა, არსებობენ შეზღუდულად ქმედუნარიანი და ქმედუნარო პირები, რომლებიც ვერ ახერხებენ ასაკის, ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობის და შესაძლებლობების გამო საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას და, შესაბამისად, საჭიროებენ კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, რომელიც მათ ნაცვლად განახორციელებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს. ვინაიდან, აღნიშნულ შემთხვევებში მარწმუნებელი თავად ვერ ახორციელებს საკუთარ სამართლებრივ მოქმედებებს, ის დამოკიდებული ხდება კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობითი მოქმედებების შესრულებაზე. ამიტომ კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მარწმუნებლის არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი, არამედ საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებიც².

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სამართლებრივ ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმომადგენლობის ინსტიტუტს. შესაბამისად, იურიდიულ დოქტრინაში აქტუალური იყო წარმომადგენლობის სამართლებრივი ინსტიტუტის ადმინისტრაციულ სამართალში შემოღების აუცილებლობის საკითხის განხილვა³.

¹ იხ. *Schilken, Staudinger*, Kommentar zum BGB, Neubearbeitung Verlag Sellier de Gruyter, Berlin, 2014, S.544.

² იხ. *Wolff, H.*, Verwaltungsrecht I, Verlag Beck, München, 2004, Anm.II c zu §35, S.233.

³ იხ. *Sonnek M.*, Die gewillkürte Vertretung des Beteiligten im Verwaltungsverfahren nach §14 VwVfG, Berlin, Univ., Diss.,1983; *Fritz H.*, Die Vertretung im Verwaltungsrecht, Tübingen, Univ.,Diss.,1962; *Kropshofer M.*, Verwaltungsverfahren und Vertretung, Mainz, Univ., Diss.,1982.

წარმომადგენლობა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, ადმინისტრაციულ სამართალში შეიძლება ითქვას, რომ არ არის საბოლოოდ მოწესრიგებული და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში არასრულადაც არის წარმოდგენილი. ამიტომაც იგი დამატებით არის ორიენტირებული კერძო სამართლებრივ ნორმებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამართლის სფეროში წარმომადგენლობის სამართლებრივი კონსტრუქცია როგორც ძირითადი მოდელი სოციალური ურთიერთობების დამოუკიდებლად არ წარმოშობილა, არამედ მის საფუძველს სამოქალაქო სამართლის წარმომადგენლობის ინსტიტუტის დოგმატიკა განაპირობებს⁴. ადმინისტრაციულ სამართალსა და სამოქალაქო სამართალში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შედარებისას ძნელი არ არის მიხედვრა, რომ ისინი არსებითად ერთმანეთს ემთხვევა⁵. ორივე სამართლის დარგისათვის დამახასიათებელია იმის საჭიროება, რომ მესამე პირი - წარმომადგენელი - ასრულებდეს იმ პირის უფლება-მოვალეობას, რომელსაც თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელება თავად არ შეუძლია.

გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული დოქტრინის თანახმად, წარმომადგენლობის სამართლებრივი ფორმების დანერგვა უნდა მოხდეს საჯარო სამართალში სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე⁶. აღნიშნული დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ადმინისტრაციულ სამართალს საკმარისი საკანონმდებლო რესურსი არ გააჩნია.

იურიდიულ დოქტრინაში წარმომადგენლობის სამართლებრივი ინსტიტუტის ადმინისტრაციულ სამართალში შემოღების აუცილებლობა, პირველ რიგში, განპირობებული იყო თავად ამ ინსტიტუტის მნიშვნელობით. ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული საქმიანობის სრულფასოვანი განხორციელება წარმოუდგენელია აღნიშნული ინსტიტუტის გარეშე. წარმომადგენლობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის აუცილებელ სამართლებრივ ელემენტს და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობის სამართლებრივი ინსტიტუტი აუცილებელი კომპონენტია ადმინისტრაციულ სამართალში, აღნიშნულმა ინსტიტუტმა ჯერ კიდევ ვერ პოვა მასშტაბური მოწესრიგება ადმინისტრაციულ სამართალში. ვინაიდან აქ თავს იჩენს ადმინისტრაციული მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის არასაკმარისი კოდიფიცირება, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის გარდა, წარმომადგენლობის

⁴ მე-19 საუკუნის გერმანიაში მეცნიერთა შორის დიდი დისკუსიის საგანს წარმოადგენდა წარმომადგენლობის დოქტრინის სამართლებრივ-თეორიული საფუძვლის განსაზღვრება. იხ. *Buchka H.*, Die Lehre von der Stellvertretung bei Eingehung von Verträgen (Stiller 1852), Frankfurt, 1969; *Mitteis L.*, Die Lehre von der Stellvertretung nach römischem Recht mit Berücksichtigung des österreichischen Rechts (Wien 1885), Scientia, 1962; *Hupka J.*, Die Vollmacht (1900), Kessinger Publishing, LLC, 2010.

⁵ იხ. *Forsthoff E.*, Lehrbuch des Verwaltungsrechts, Bd.1., Allgemeiner Teil, Beck, München, 1961, S. 168.

⁶ იხ. იქვე 168.

ცნებისა და სახეების განმარტებისას აუცილებელია, მოვიშველიოთ საქართველოს სამოქალაქო და საპროცესო კოდექსები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია აღნიშნული ინსტიტუტის შინაარსის და მისი არსის გარკვევა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების განხილვაც, კერძოდ: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, „სააღსრულებო წარმოებათა“ შესახებ საქართველოს კანონის და სხვ.

კვლევის მიზანი და შესწავლის საგანი

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, გარკვეული წვლილი შეიტანოს საქართველოში ადმინისტრაციული დოქტრინის განვითარებაში და წარმოაჩინოს წარმომადგენლობის ინსტიტუტის აქტუალობა და მნიშვნელობა ადმინისტრაციულ სამართალში, წარმომადგენლობის ცნების, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებისა და თავისებურებების განხილვის საფუძველზე.

შესაბამისად, ამ მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია:

1. უპირველეს ყოვლისა, ზოგადად წარმომადგენლობის ინსტიტუტის თეორიული საკითხების კვლევა და ანალიზი და შესაბამისი პრობლემების დაფიქსირება თემებზე: წარმომადგენლობის ინსტიტუტის ფუნქციები, ცნება, არსი, სახეები და ტერმინთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. ეს ყოველივე საშუალებას იძლევა, წარმოჩენილი იქნეს თეორიული საკითხების მიმართ დამოკიდებულება და ხედვა, რაც უნდა გახდეს კვლევის წარმართვის ამოსავალი წერტილი;
2. ვინაიდან წარმომადგენლობის ინსტიტუტს განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს სამოქალაქო სამართლის წარმომადგენლობის ინსტიტუტთან და იგი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტის ნაირსახეობას წარმოადგენს, ამიტომ მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი იქნეს მათი ურთიერთგამიჯვნის პრობლემები, ის ობიექტური კრიტერიუმები, რაც შეიძლება გახდეს ამ ინსტიტუტის საჯარო და კერძო სამართლის დარგებში გამიჯვნის საფუძველი;
3. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის განხილვა როგორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციული კანონმდებლობის თავისებურებების გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნული ინსტიტუტი საერთოა როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლისათვის. როგორც აღინიშნა, წარმომადგენლობის ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო, სამეწარმეო და საგადასახადო სამართალში. კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას იძლევა, უპირველეს ყოვლისა, გამოვლენილი იქნეს წარმომადგენლობის ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები;
4. საკითხის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, ნათლად იქნეს წარმოჩენილი ადმინისტრაციული სამართლის წარმომადგენლობის ინსტიტუტის არსი და მისი მნიშვნელობა ადმინისტრაციული

სამართლის პრაქტიკაში. ამიტომ საკითხის კვლევისას აუცილებელია შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდის გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და, მეორე მხრივ, გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების ლოგიკური და სისტემური ანალიზის საფუძველზე, წარმომადგენლობის ინსტიტუტის პრობლემური საკითხების წარმოჩენის და, შესაბამისად, მათი სრულყოფისათვის შესაბამისი წინადადებების შეთავაზების.

გამოყენებული კვლევის მეთოდი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევა ჩატარებულია დოკუმტური, ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დისერტაციის თემის კვლევისას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენება. ვინაიდან, აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, თვალნათლივ ჩანს მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტების რეგულირების სფეროები, ასევე მათ შორის არსებული მსგავსება/განსხვავებების არსებობა, რაც საბოლოოს ხელს უწყობს საკითხის „უკეთესად გადაწყვეტას“.

კვლევის ფარგლებში, განხილული იქნება გერმანული და შვეიცარიული სამართლის სისტემები საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით. ვინაიდან, გერმანიისა და შვეიცარიის კანონმდებლობაში არსებული წარმომადგენლობის ინსტიტუტის მოდელი, კვლევის მიზნებისათვის ყველაზე მეტად აქტუალურად იქნა მიჩნეული და წარმოაჩენდა წარმომადგენლობის ინსტიტუტის თავისებურებებს და მიზანშეწონილობას.

დისერტაციის სტრუქტურის აღწერა

დისერტაცია შედგება შესავლის, თავების, პარაგრაფების, დასკვნისა და ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის სტრუქტურა გამომდინარეობს კვლევის მიზნებიდან.

პირველი თავი ეხება „წარმომადგენლობის ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ მნიშვნელობას“. აღნიშნულ თავში განხილულია კონსტიტუციური სამართლებრივი საფუძველები ადმინისტრაციული სამართლისათვის. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრებები წარმომადგენლით სარგებლობის როგორც კონსტიტუციურ უფლებაზე და მის მნიშვნელობაზე, სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარე.

მეორე თავში საუბარია „წარმომადგენლობის ინსტიტუტის თეორიულ საფუძველებზე“, სადაც ყურადღება არის გამახვილებული წარმომადგენლობის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ადმინისტრაციულ სამართალში. ასევე განხილულია წარმომადგენლობის დასაშვებობის საკითხი

ადმინისტრაციულ სამართალში. ამასთან, შესწავლილია როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი, ისე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების გამოყენება წარმომადგენლობის ინსტიტუტის რეგულირების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ წარმომადგენლობის ინსტიტუტისათვის არასაკმარისი ნორმების არსებობა ადმინისტრაციულ სამართალში ქმნის საჭიროებას, გამოყენებული იქნეს სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები.

ნაშრომში ცალკე პარაგრაფი დათმობილი აქვს წარმომადგენლის ცნების დეფინიციას ადმინისტრაციულ სამართალში. ასევე მოცემულია წარმომადგენლობის ინსტიტუტის ცნების განმარტება სამოქალაქო სამართლის მიხედვით.

ასევე აღნიშნულ თავში საუბარია განსხვავებაზე ადმინისტრაციული წარმოების მარეგულირებელ სამართალსა და ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალს შორის წარმომადგენლობის ინსტიტუტის რეგულირების თვალსაზრისით და გამოთქმულია მოსაზრებები მათ შორის არსებული განსხვავების თაობაზე.

მესამე თავი ეხება „ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას“. აღნიშნულ თავში გამოთქმული მოსაზრებები ეხება წარმომადგენლის როგორც მნიშვნელოვანი სუბიექტის არსებობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში.

წარმომადგენლობის ინსტიტუტის გარდა მესამე თავში ადგილი აქვს დათმობილი წარმოებისა და პროცესის სხვა მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ამასთან, განხილული არიან ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის ის მონაწილეები, რომლებიც არ შეიძლება წარმოდგენილი იქნენ წარმომადგენლის მეშვეობით. ესენი არიან: საზოგადოებრივი ექსპერტი, სპეციალისტი, მოწმე.

მეოთხე თავში საუბარია „წარმომადგენლობის უფლებამოსილებაზე“. აღნიშნულ თავში ფართოდ არის შესწავლილი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები როგორც მარწმუნებლის, ისე რწმუნებულის მიერ. კვლევა ეხება ასევე წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხსაც.

მეხუთე თავში განხილულია „წარმომადგენლის სახეები“. ყურადღება აქვს დათმობილი როგორც საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ წარმომადგენლის სახეებს, ასევე შესწავლილია გერმანული სამართლის მიხედვით არსებული წარმომადგენლის სახეებიც. ნაშრომის ფარგლებში ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მოხდა წარმომადგენლის ინსტიტუტის სახეების შესწავლა და მათ შორის საერთო და განსხვავებული ნიშნების გამოყოფა.

აღნიშნულ თავში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი წარმომადგენლობის ინსტიტუტის ცალკეულ სახეებს, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლისათვის. კერძოდ, განხილულია იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი და სხვა.

სადისერატციო ნაშრომის კვლევის მიზნებისათვის ფართოდ არის შესწავლილი „ადვოკატი როგორც წარმომადგენელი და განსხვავება მათ

შორის”, რომელსაც ეხება ნაშრომის მეექვსე თავი. აღნიშნულ თავში გაანალიზებულია ადვოკატის როგორც თავისუფალი პროფესიის არსი, საადვოკატო საქმიანობის პრინციპები, ადვოკატის უფლებები და მოვალეობები. ასევე საუბარია ადვოკატის საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებზე.

ცალკე პარაგრაფში საუბარია ადვოკატის როლზე, როგორც ნებაყოფლობითი წარმომადგენლის ერთ-ერთ სახეზე. შესწავლილია ამ ორი ინსტიტუტის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. აქვე განხილულია ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლო უარს ამბობს იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი. ასევე ყურადღება ეთმობა როგორც საერთო, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მეშვიდე თავი დათმობილი აქვს „დამხმარეს, კონსულტანტს გერმანული და შვეიცარიული სამართლის მიხედვით“. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობისათვის უცხოა გერმანული კანონმდებლობით რეგულირებული დამხმარე, კონსულტანტის (Beistände) ინსტიტუტი და ასევე შვეიცარიული ადმინისტრაციულ სამართალში არსებული დამხმარე, კონსულტანტის (Verbeiständung) ინსტიტუტი, ამიტომ მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტიტუტების შესწავლა და ანალიზი. საკითხის კვლევისას ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრებები დამხმარის, კონსულტანტის ინსტიტუტების შემოღების საჭიროებაზე ქართულ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში.

მერვე თავი ეხება „ადმინისტრაციულ ორგანოს როგორც წარმომადგენელს“. აღნიშნულ თავში საუბარია ადმინისტრაციული ორგანოს მნიშვნელობაზე. ასევე განხილულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს ამბივალენტური ფუნქციის არსზე. ნაშრომში დასმულია საკითხი და, შესაბამისად, გამოთქმულია მოსაზრებები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში მის მიერ საჯარო ინტერესების წარმოდგენაზე და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაძლო მონოპოლიის განხორციელებაზე საჯარო ინტერესების წარმოდგენისას. შესაბამისად, შესწავლილია ადმინისტრაციული ორგანოს ეფექტიანობის საკითხიც, მის მიერ კერძო და საჯარო ინტერესების განხორციელების კუთხით.

მეცხრე თავი ეხება „წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაფორმებას და წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურებას“. ნაშრომში საუბარია წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაფორმების წესზე და მისი განხორციელების ფორმებზე. ასევე განხილულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინდობილობის ცალკეული სახეები.

ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურების სამართლებრივ რეგულირებას. კერძოდ, განხილულია სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საპროცესო ხარჯებისაგან გათავისუფლების შემთხვევებს.

ნაშრომის მეათე თავში წარმოდგენილია საკითხის კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებულმა საკითხებმა წარმოაჩინა სადისერტაციო ნაშრომის თემის აქტუალობა, ვინაიდან განხილული საკითხები ქმნიან კომპლექსურ საკითხთა წრეს, რომელთა შესწავლაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართლის სფეროში. აღნიშნული საკითხების კვლევა და ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადმინისტრაციული სამართლის როგორც დარგის განვითარებისათვის.

თავი 1.

წარმომადგენლობის ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა

1.1 კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები ადმინისტრაციული სამართლისათვის

ადმინისტრაციული სამართალი როგორც საჯარო სამართლის ერთ-ერთი დარგი ორგანულად არის დაკავშირებული კონსტიტუციურ სამართალთან. იგი, პირველ რიგში, ეყრდნობა და გამომდინარეობს კონსტიტუციური სამართლის ძირითადი პრინციპებიდან და მისი დოგმატიკიდან. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, კონსტიტუციური სამართლის დომინირებულ რეგულირებას სწორედ ადმინისტრაციულ სამართალში ვხვდებით⁷. ვინაიდან კონსტიტუციური სამართლის ძირითადი პრინციპები ზოგადად ადმინისტრაციულ სამართალში, ყველა სხვა დარგისაგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტი ინტენსივობით არის მიმართული.

კონსტიტუციურ სამართალთან ადმინისტრაციული სამართლის დამოკიდებულების გადრმავეების საკითხის შესწავლას მეცნიერთა მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულმა ფორმულირებებმაც შეუწყო ხელი. კერძოდ, შტაინ ლორენცის ფორმულირებამ - „კონსტიტუციის ქმედითი პროცესის გამოვლინებაა ადმინისტრაციული სამართალი“⁸, ასევე ფრიტც ვერნერის სიტყვებმა, რომ „ადმინისტრაციული სამართალი არის კონსტიტუციური სამართლის კონკრეტიზაცია“⁹. მაგრამ, ამასთან, არსებობს ადმინისტრაციული სამართლის სფეროები, სადაც კონსტიტუციური სამართალი არ პოვებს გამოვლინებას, რაზედაც აქტუალურია ოტო მაიერის თეზისი: „იქ სადაც კონსტიტუციური სამართალი არ არის, წარმოიშობა ადმინისტრაციული სამართალი“¹⁰.

ვერნერის დებულების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალი კონსტიტუციური სამართლის ერთგვარ კონკრეტიზაციას წარმოადგენს¹¹.

⁷ იხ. Weber, W., Referat zum 43. DJT (Verhandlungen Deutschen Juristen Tagen), Bd. II, Beck Verlag, München, 1962, S.51.

⁸ იხ. Lorenz v. Stein, Verwaltungslehre, 3. Auflage, Bd. 1, 1888, S.5.

⁹ იხ. Werner, F., Verwaltungsrecht als konkretisiertes Verfassungsrecht, in: DVBL (Deutsches Verwaltungsblatt) 74, C. Heymanns Verlag, Köln, 1959, S.527;

¹⁰ იხ. Mayer O., Deutsches Verwaltungsrecht, 2. Auflage, 1914, in VA, Bd. 27, 1919, S.312.

¹¹ იხ. Werner, Fritz, Verwaltungsrecht als konkretisiertes Verfassungsrecht, in: DVBL (Deutsches Verwaltungsblatt) 74, C. Heymanns Verlag, Köln, 1959, S.527; Alpert, Frank, Zur Beteiligung am Verwaltungsverfahren nach dem Verwaltungsverfahrensgesetz des Bundes, Verlag P.Lang, Frankfurt, 1999, S. 2; Saladin, Peter, Das Verwaltungsverfahrensgesetz des Bundes, Verlag Helbing-Lichtenhahn, Basel, 1979, S.13.

ადმინისტრაციული კანონმდებლობა ახდენს კონსტიტუციური სამართლის დადგენილი შინაარსის დაკონკრეტებას. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არსებული ძირითადი პრინციპები კი წარმოადგენენ კონსტიტუციაში გამყარებულ ზოგად პოსტულატებს, ვინაიდან ზოგადად კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპები საჭიროებენ სხვადასხვა კანონების მეშვეობით დაკონკრეტებას¹². ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას სწორედ დაკონკრეტების ფუნქცია გააჩნია, რა დროსაც ხდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნების შესრულება. აღნიშნული კონსტიტუციას „რეალურს“ ხდის და ხელს უწყობს კონსტიტუციური სამართლის პრაქტიკაში განხორციელებას¹³.

ადმინისტრაციული სამართლისათვის მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მიერ დადგენილი ის ძირითადი დებულებები და პრინციპები, რომლებშიც მოიაზრება სახელმწიფოს მიზანი (სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო) და სახელმწიფოს მოწყობის ფორმები (დემოკრატიული წყობილება). აღნიშნულ პრინციპებს გასაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვანია როგორც ზოგადი ხასიათის კონსტიტუციური პრინციპები როგორებიცაა: დემოკრატიული სახელმწიფოს, სამართლებრივი სახელმწიფოს და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები. ასევე ყურადსაღებია მხოლოდ ამ დარგისათვის დამახასიათებელი ე.წ. სპეციალური პრინციპების არსებობა: ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციული უფლებამოსილება, კანონიერი ნდობის უფლება, საქვეყნობა, მიუკერძოებლობა და სხვა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ქვემოთ განვიხილოთ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც წარმომადგენლობის ინსტიტუტზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. წარმომადგენლობის უფლება პირდაპირ კავშირშია ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ განხორციელებასთან. შესაბამისად, ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, უზრუნველყოს ეფექტური სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რომელიც რეალურს გახდის ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას.

1.2. პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე¹⁴

¹² იხ. Ule, Carl-Hermann, Das Verwaltungsverfahrensgesetz, in: DVBL (Deutsches Verwaltungsblatt), C.Heymanns Verlag, Köln, 1976, S.421.

¹³ იხ. Häberle, Peter, Verfassungsprinzipien im Verwaltungsverfahren, Festschrift zum 50-jährigen Bestehen des R.Boorbegs Verlag, Stuttgart, 1977, S.47.

¹⁴ აღნიშნული უფლება გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში განმარტებულია როგორც პირის სუბიექტური საჯარო-სამართლებრივი უფლება. პირის სუბიექტური უფლება გულისხმობს პირის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, თავისი ინტერესების დასაცავად სხვისგან მოითხოვოს გარკვეული ქმედების განხორციელება. აქ იგულისხმება როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური უფლების უზრუნველყოფა.

პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე, როგორც მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი, გულისხმობს პირის პირადი უფლების განხორციელებას როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით.

პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიული პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს უფლება ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლების ეფექტურ რეალიზაციას და იცავს უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან¹⁵.

აღნიშნული უფლება საკამოდ კომპლექსური ხასიათისაა, რომლის შინაარსიც ურთიერთდაკავშირებულ რამდენიმე უფლებას აერთიანებს. სასამართლო პრაქტიკიდან (როგორც ეროვნულ, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს) ნათლად ჩანს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება საქმის სამართალწარმოებაზე ვრცელდება და გულისხმობს პირის შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტზე, ნებისმიერი გაუმართლებელი და პრაქტიკული ბარიერის გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი¹⁶ კონსტიტუციაში დაცვის უფლების ზოგად რეგლამენტაციას ახდენს. დაცვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს, რომლის მიმართაც გარკვეული პროცესუალური ზომები ტარდება, უნდა გააჩნდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ყოველ ადამიანის უფლებას თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი¹⁷ კი ეხება სასამართლო დაცვის უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის შესაძლებლობასა და სურვილს, დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი და მისი ფარგლები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში იქნა განმარტებული. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი განამტკიცებს ყოველი ადამიანის უფლებას, თავისი უფლება-თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. შესაბამისად,

¹⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/403,427 საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (II. პარაგ. 1), http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=528&action=show.

¹⁶ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი:

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია ...

¹⁷ შეად. საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №786, 24.08.1995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 42-ე მუხლის დანაწესს „ინსტრუმენტულ უფლებად“ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მოცემული მუხლი „უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვადობას“¹⁸.

ამასთან აღსანიშნავია, რომ დაცვის უფლებას ეხება ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი¹⁹, რომლის თანახმადაც დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც განმარტებულია კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტისა და 42-ე მუხლის მესამე პუნქტის ურთიერთმიმართების საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტს, მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტთან შედარებით, უფრო ფართო დანაწესად განიხილავს. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტი მოიცავს მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტს, თუმცა არ შემოიფარგლება ამ უკანასკნელი ნორმით რეგლამენტირებული მოთხოვნებით. ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტი ითვალისწინებს პირის უფლებას, ისარგებლოს დაცვის შესაძლებლობით, მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას, იმისდა მიუხედავად, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად, პირს დაცვით სარგებლობის უფლება უნდება დაკავების ან დაპატიმრების მომენტიდან²⁰.

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ასევე წარმომადგენლის მონაწილეობას საქმის ზეპირ განხილვის დროსაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირის შესაძლებლობა, მის უფლებასთან დაკავშირებული საქმე განხილულ იქნეს საჯარო მოსმენით და ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, ასევე, გაასაჩივროს მის უფლებასთან შემხებლობაში მყოფი აქტი, დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით²¹. შესაბამისად, ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც ახდენს პირის აღნიშნული შესაძლებლობების შეზღუდვას, წარმოადგენს ჩარევას სამართლიანი სასამართლოს უფლებაში.

ზემო აღნიშნული დათქმა, პირველ რიგში, ემსახურება მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, აძლიერებს მომავალში მხარის გასაჩივრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას და ამცირებს

¹⁸ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება № 1/2/434 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (II-1).

¹⁹ შეად. საქართველოს კონსტიტუცია, მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №786, 24.08.1995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346#!>.

²⁰ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება № 1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²¹ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/558 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი საფუძვლების დაუსაბუთებლობის ან/და უკანონობის არსებობას/არსებობის ალბათობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით²², სასამართლო დაცვის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესის ყოველ მონაწილეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულების გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა ზოგადად, არამედ ყოველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომელიც სასამართლო განხილვის საგანია. ყოველ მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეფასების გამოხატვის შესაძლებლობა იმ ფაქტის მიმართ, რომელსაც წარმოადგენს მეორე მხარე ან რომელსაც იხილავს სასამართლო საკუთარი ინიციატივით²³.

ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „იაკოვლევი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“²⁴ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია უზრუნველყოფს არა თეორიულ ან ილუზიურ უფლებებს, არამედ იმ უფლებებს, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტიანია.

შესაბამისად, პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე გულისხმობს პროცესუალურ და მატერიალურ წარმოებაში არა მარტო დამოუკიდებლად მიმართვის შესაძლებლობას, არამედ ადვოკატის, წარმომადგენლის ყოლის უფლებასაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, სამართალწარმოების პრინციპების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხარის უფლება, რომ სასამართლოში საქმე აწარმოოს თავისი ნება-სურვილით შერჩეული წარმომადგენლის მეშვეობით²⁵. აღნიშნული უზრუნველყოფს და ხელს უწყობს კონსტიტუციური უფლებების დაცვას და სამართალწარმოების სწორად წარმართვას.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მნიშვნელოვანი კომპონენტია დაცვის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით დაცული პირის ძირითადი უფლების მოქმედება არ შემოიფარგლება სისხლის სამართლის სფეროთი და ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე.

²² შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება № ბს-1422-1404 (კ-11).

²³ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება № ბს-1422-1404 (კ-11).

²⁴ შეად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება №72701/01, „Yakovlev vs Russia”, [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#{"itemid":\["001-68516"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#{).

²⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის 1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

(http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=116&action=show).

13. წარმომადგენლით სარგებლობის უფლება

წარმომადგენლით სარგებლობის უფლება, პირველ რიგში, გულისხმობს: ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც არის ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე, შეუძლია, წარმოების ფარგლებში, ისარგებლოს მის მიერ არჩეული წარმომადგენლით, რომელიც წარმოადგენს და დაიცავს მის ინტერესებს ან მხარს დაუჭერს მას.

აღნიშნული ზოგადად აღიარებულია და წარმოადგენს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით სტრუქტურირებული ადმინისტრაციული წარმოების ერთ-ერთ უშუალო გამოვლინებას²⁶. წარმომადგენლით სარგებლობის უფლება, როგორც პირის მნიშვნელოვანი უფლება, ადმინისტრაციულ წარმოებაში უზრუნველყოფილია სამართლიანი სასამართლოს პრინციპით, პირის სუბიექტური უფლებით და წარმოებაში თანაბარი შესაძლებლობების მოთხოვნით.

ამასთან, წარმომადგენლობით სარგებლობის უფლება იმდენად მნიშვნელოვანი უფლებათაგანია, რომ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დიდი ხანია გამოსცა რეკომენდაცია ხუთი ძირითადი პრინციპის თაობაზე, რომელთა გათვალისწინებაც ურჩია სახელმწიფოებს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ წარმომადგენლობის უფლების უზრუნველყოფას ეხება²⁷.

მოქალაქის უფლება, ისარგებლოს წარმომადგენლით, არ წარმოშობს რაიმე ვალდებულებებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის იმ კუთხით, რომ იგი წარმოების დაწყებამდე ვალდებული იყოს ჯერ დანიშნოს წარმომადგენელი პირისათვის და შემდეგ განახორციელოს წარმოება. არც შიდასახელმწიფოებრივი ნორმებიდან და არც ევროგაერთიანების სამართლის ზოგადი პრინციპებიდან არ გამომდინარეობს ამგვარი მოთხოვნის უფლება. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება არც კი იქნეს დაშვებული გარკვეული წინა პირობების არსებობისას²⁸. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლოა, წარმომადგენლობის უფლებამ ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარმოშვას შეტყობინების ვალდებულება, რაც გულისხმობს წარმოების მონაწილისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, რომ მას აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს მის მიერ არჩეული წარმომადგენლით.

14. ეფექტური დაცვის უფლება (გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილი)

გერმანულ სამართალში ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრინციპი მიეკუთვნება პირის ძირითად უფლებას. იგი მაღალი კონსტიტუციური დაცვის რანგშია აყვანილი, კერძოდ, გერმანიის

²⁶ იხ. *In-Chin Chen*, Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwischen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag, Peter Lang, Frankfurt, 2000, S. 62.

²⁷ 1977 წლის 28 სექტემბრის რეზოლუცია №(77)31, შეად. *Schwarze*, Europäisches Verwaltungsrecht, Nomos, Baden-Baden, 1988, S. 1145.

²⁸ იხ. *Kropshofer, M.*, Verwaltungsverfahren und Vertretung, Diss., Mainz 1982, S.96.

ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის²⁹ მნიშვნელობა, პირველ რიგში, გულისხმობს სუბიექტური უფლების უზრუნველყოფას. აღნიშნული მუხლი ანიჭებს პირს სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას ხელისუფლების ჩარევისაგან³⁰.

ამდენად, გერმანიის ძირითადი კანონი უზრუნველყოფს და გზას უხსნის პირს, ხელისუფლების მხრიდან უფლების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. ეს გარკვეულწილად საჯარო ხელისუფლების მიზანშეწონილ კონტროლსაც გულისხმობს, რაც გამოიხატება მათი გადაწყვეტილების შესაძლო რევიზიის საშუალებით. სახელმწიფო პასუხისმგებლობის ინსტიტუტის არსებობაც გამოდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს არსიდან³¹. ვინაიდან სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ეფექტური დაცვის საშუალებები კონკრეტული უფლების დასაცავად, გასაჩივრების ეფექტური შესაძლებლობის არარსებობა საფრთხეს უქმნის ძირითადი უფლების რეალიზებას. შესაბამისად, ძირითად კანონში განმტკიცებულ ეფექტური დაცვის საშუალების პრინციპსა და სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს³².

როდესაც დაცვის ეფექტურობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, იგულისხმება სასამართლოს ყველა ინსტანციაში თანაბარი შესაძლებლობით მიმართვის უფლება³³. აღნიშნული ძირითადი უფლება იყოფა სამართლებრივი დაცვის გზის ეფექტურობად და სამართლებრივი დაცვის ნაღვილობად³⁴. ეს ყოველივე გულისხმობს არა მარტო თეორიულად არსებობას სამართლებრივი დაცვის ეფექტურობისა, არამედ რეალურად მისი განხორციელების შესაძლებლობას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრინციპი თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს მიმართლის უფლებას როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის, დამცველის მეშვეობით.

გერმანული კონცეფციის მიხედვით, მოქალაქის თანამონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციების დაცვას³⁵. მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციების, განსაკუთრებით კი, ძირითადი უფლებების პოზიციების დაცვამ მოქალაქისათვის განაპირობა არა მხოლოდ

²⁹ იხ. გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი: თუ რომელიმე პირის უფლებები დაირღვა საჯარო ხელისუფლების მიერ, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. რამდენადაც დადგენილი არ არის სხვა განსჯადობა, აღნიშნულ საქმეებს განიხილავენ საერთო სასამართლოები. შეად. GG art.19. abs.4 (<https://dejure.org/gesetze/GG/19.html>).

³⁰ იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატის 1960 წლის 12 იანვრის განჩინება, BvL 17/59, BverfGE (10, 264).

³¹ იხ. ზადეიშვილი, ქვარდიაშვილი, ლ.იზორია, ნ.კალანდაძე, მ.კოპალეიშვილი, ნ.ხიორტლაძე, პეტურავა, დ.ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 41.

³² იხ. Epping, V., Grundrechte, Lehrbuch, Verlag Springer, Berlin, Heidelberg, Newyourk, 2007, S. 380.

³³ იხ. BverfGE 31,364(368)

³⁴ იხ. Epping, V., Grundrechte, Lehrbuch, Verlag Springer, Berlin, Heidelberg, Newyourk, 2007, S. 382.

³⁵ შეად. Ladeur, Öffentlichkeitsbeteiligung an Entscheidungsverfahren und die prozedurale Rationalität des Umweltrecht, in: Rossnagel, Neuser, Reformperspektiven im Umweltrecht, Nomos Verlag, Baden-Baden, 1997, S.171-189; Pitschas, Verwaltungsverantwortung und Verfahren, München, 1990, S.649.

თანამონაწილის სტატუსის დამკვიდრება ადმინისტრაციულ წარმოებათა შესახებ გერმანიის კანონის მე-13 მუხლის გაგებით, არამედ მოქალაქის თანამონაწილეობა განაგრძო კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებულ პირთა და ასევე საყოველთაო თანამონაწილეობამდე (ე.წ. სახალხო თანამონაწილეობა)³⁶.

იმისათვის, რომ ძირითადი უფლებების ცხოვრებაში გატარება მოხდეს და განხორციელდეს სოციალურ სინამდვილეში, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა, იზრუნოს ძირითადი უფლებების დაცვაზე³⁷. აღნიშნულმა ასახვა უნდა პოვოს როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კანონმდებლობაში.

შესაბამისად, ეფექტური დაცვის უფლება არ გულისხმობს მხოლოდ უფლების სასამართლოში დაცვის გადმოტანას (წინა ეტაპზე), არამედ ადმინისტრაციული წარმოებაც პირს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს და გავლენა მოახდინოს წარმოების შედეგზე. რა თქმა უნდა, ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოების თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც „საკუთარი თავისებური ამოცანებით, მონაწილეობის ფორმებით, სამართლებრივი წესებით და უპირველეს ყოვლისა კი - სხვადასხვაგვარი პასუხისმგებლობებით” არის აღჭურვილი³⁸. შესაბამისად, ეფექტური დაცვის უფლების არსიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პრინციპები ვრცელდება და გულისხმობს პირის მონაწილეობას და მისი ინტერესების დაცვას წარმომადგენლის მეშვეობითაც.

1.5. დასკვნა

„კონსტიტუციური პრინციპები”, რა თქმა უნდა, არ უნდა იქნეს გაგებულნი როგორც „მზა წინადადებები (რეცეპტი)”, რომელთა გადმოტანა დედუქციის გზით შესაძლებელია ნებისმიერ სამართლის დარგში მარტივად და ავტომატურად. იგი გაგებულნი უნდა იქნეს კომპლექსურად, ერთი მხრივ, კონსტიტუციაში დადგენილი პრინციპები და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაში არსებული ნორმები, რომლებიც სწორედ კონსტიტუციური ინტერპრეტაციის ზეგავლენის შედეგად მიიღება. აღნიშნული, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ქმედების თავისუფლებაზე, რომელიც, თავის მხრივ, მათი დემოკრატიულობის ხარისხის მაჩვენებელია. სწორედ პრინციპებში აისახება ქვეყანაში არსებული სამართლებრივი წესრიგის დონე.

საქართველოს კონსტიტუციით გამყარებული დებულება სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის თაობაზე, პირდაპირ კავშირშია კანონმდებლის ვალდებულებასთან,

³⁶ იხ. *Stelkens/Bonk/Sachs*, VwVfG, 5. Aufl., §13;

³⁷ იხ. *Hesse*, Bestand und Bedeutung der Grundrechte in der Bundesrepublik Deutschland, in: EuGRZ 1978, S.434; *Ossenbühl*, Grundrechtsschutz im und durch Verfahrensrecht, in Festschrift für Kurt Eichenberger zum 60. Geburtstag, Eicherberger, 1982, S.183.

³⁸ იხ. *In-Chin Chen*, Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwischen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag, Peter Lang, Frankfurt, 2000, S. 27.

ადმინისტრაციული წარმოება წარმართოს და მოაწესრიგოს შესაბამისი პრინციპების დაცვით.

შესაბამისად, კონსტიტუციური პრინციპები, ისეთები როგორც არის სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიული და სოციალური პრინციპების არსებობა, ამა თუ იმ სახელმწიფოში ქმნიან საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს დებულებებს. რაც გულისხმობს ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს მიერ ზემოთ არსებული პრინციპების პირნათლად შესრულებას და მათი ქმედების ნორმატიული საფუძვლის არსებობას. ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, აისახება სახელმწიფოს როგორც თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოს ხარისხზე. ამისათვის კი აუცილებელია, სახელმწიფომ ადმინისტრაციული სამართლის და მისი წარმოების რეგულირებისას გაითვალისწინოს ზემოთ დასახელებული კონსტიტუციური პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეფექტური ადმინისტრაციული სამართლის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, სახელმწიფოს უპირველეს ვალდებულებას წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვა, რომელიც ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის იდეას და ასევე მასთან დაკავშირებული ისეთი პრინციპების უზრუნველყოფას, როგორებიცაა თანაზომიერების პრინციპი (Gesetzmässigkeit), სამართლიანობისა და ეფექტური სამართლებრივი დაცვის, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კანონიერი ნდობის პრინციპები. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს სოციალური ამოცანების შესრულება სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე და ბოლოს აუცილებელია დემოკრატიული პრინციპების გატარება, რომლებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ადმინისტრაციულ პროცესში ჩართულობის პრინციპების უზრუნველყოფა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური პრინციპების განმარტება მომავალში დამოკიდებული იქნება სასამართლო პრაქტიკაზე. ვინაიდან რთულია გასცე პასუხი, თუ როგორ იქნება სამომავლოდ პრინციპების განმარტება, მიიღებს უტოპიურ თუ კონკრეტიზირებულ სახეს. ის, რაც ზემოთ იქნა განსაზღვრული და განმარტებული ეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის, სამეცნიერო და საკანონმდებლო საფუძველზე დამუშავებული იდეების კოდიფიკაციის შესაბამისად იქნა გაანალიზებული. რაც, რა თქმა უნდა, არ არის საბოლოო განმარტება, ვინაიდან იგი ყოველდღიურად განიცდის შესაძლო ახალ განმარტებებს.

როგორც ზემოთ იქნა განხილული, წარმომადგენლობით სარგებლობის უფლება პირდაპირ კავშირშია ისეთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ პრინციპთან, როგორცაა უფლება სამართლიან სასამართლოზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული კონსტიტუციური პრინციპები და პირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება სამართლიან სასამართლოზე წარმოადგენს წარმომადგენლობის ინსტიტუტის ფუნქციონირების ძირითად გარანტორს. კონსტიტუციური პრინციპების რეალიზება ხელს უწყობს, რომ პირის უფლებები და კანონიერი ინტერესი უფრო ეფექტურად იქნეს დაცული. ამასთან, უზრუნველყოფილი და რეალური იქნება სამართლებრივი დაცვა ადმინისტრაციული კანონმდებლობის ფარგლებში.

თავი 2.

წარმომადგენლობის ინსტიტუტის თეორიული საფუძვლები

2.1. წარმომადგენლობის დასაშვებობის საკითხი ადმინისტრაციულ სამართალში

წარმომადგენლობის სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღება ადმინისტრაციულ სამართალში სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წარმომადგენლობა დასაშვებია დაინტერესებული პირის მიერ ყველა სამართლებრივი მოქმედების განხორციელებისას. წარმომადგენლობის ინსტიტუტის ამოქმედებამ შეიძლება წარმოშვას ადმინისტრაციულ სამართალში წარმომადგენლობის დასაშვებობაზე მოცულობითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობა. წარმომადგენლობის დასაშვებობის შეზღუდვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა საჯარო სამართლის სფეროში, სადაც ცალკეული უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად სავალდებულოა დაინტერესებული პირის პირადი მონაწილეობა. მაგალითად, დაუშვებელია, რომ წარმომადგენელმა მიიღოს განათლება, განახორციელოს სავალდებულო სამხედრო სამსახური ან საარჩევნო უფლება, რადგან აღნიშნული უფლება-მოვალეობები, მათი არსიდან გამომდინარე, პირადად დაინტერესებულმა პირმა უნდა განახორციელოს³⁹. ამრიგად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება არ ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალში პირადად შესასრულებელ მოქმედებებზე.

წარმომადგენლობის დაუშვებლობის პრინციპი ვრცელდება ისეთ მოქმედებებზე, რომელთა განსახორციელებლადაც სავალდებულოა დაინტერესებული პირის პირადი მონაწილეობა. ეს ეხება არა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალს, არამედ ჩნდება იმის აუცილებლობაც, რომ ამ მოწესრიგებამ მოიცვას სამართლის სხვა დარგებიც. მაგალითად, წარმომადგენლის დანიშვნა დაუშვებელია სამოქალაქო სამართალში ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებულმა პირმა თავადვე პირადად უნდა განახორციელოს გარკვეული მოქმედებები. კერძო სამართლის სფერო დასაშვებად არ მიიჩნევა წარმომადგენლობას საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალში ისეთი სამართლებრივი მოქმედებებისას, რომლებიც არ შეიძლება განახორციელოს სხვა პირმა⁴⁰, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევა დაქორწინების შემთხვევაში, თუნდაც განცხადების შეტანისას, წარმომადგენლის ჩართვას და იმპერატიული საკანონმდებლო მოთხოვნაა, რომ დაქორწინების მსურველმა პირებმა განცხადება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში პირადად უნდა შეიტანონ⁴¹.

წარმომადგენლობის დასაშვებობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმ ობიექტურ წინა პირობებზე, რომლებიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების ინტენსიურობიდან გამომდინარეობს.

³⁹ იხ. *Jellinek, W.*, Verwaltungsrecht, Springer, Berlin, 1950, S. 195.

⁴⁰ იხ. *Fritz, H.*, Die Vertretung im Verwaltungsrecht, Tübingen, Univ., Diss., 1962, S. 75.

⁴¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1112-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> .

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსების თანახმად, დასაშვებია როგორც კანონიერი, ისე ნებაყოფლობითი და ორგანიზაციის წარმომადგენლის არსებობა⁴². საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კი ითვალისწინებს მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას⁴³. აღნიშნული წარმომადგენლის სახეებზე დაწერილებით საუბარია ნაშრომის მე-3 თავში.

სხვაგვარად არის საქმე წარმომადგენლობის დასაშვებობის სუბიექტურ პირობებთან მიმართებაში. სამოქალაქო სამართალში მესამე პირი ვერ ახდენს ვერანაირ ზეგავლენას წარმომადგენლის დანიშვნაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი⁴⁴ ითვალისწინებს წარმომადგენლის სავალდებულო დანიშვნის შემთხვევებს. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, აღნიშნული მუხლების საფუძველზე მოსთხოვოს მხარეს წარმომადგენლის დანიშვნა, თუკი მას არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, ასევე, თუ განცხადება წარადგინა 25-ზე მეტმა პირმა და სხვა.

2.1.1. წარმომადგენლის ცნების დეფინიცია ადმინისტრაციულ სამართალში

ტერმინი „წარმომადგენელი“, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე სამართალშიც სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით გამოიყენება⁴⁵. ეს გამომდინარეობს იმ მრავალგვარი ფუნქციიდან, რომელსაც ასრულებს წარმომადგენელი.

აღნიშნული ინსტიტუტის მრავალფეროვნების მიუხედავად, „წარმომადგენელი“, მისი სიტყვასიტყვითი განმარტებით, გულისხმობს „პირს, რომელიც ვისიმე დავალებით, ვისიმე სახელით მოქმედებს“⁴⁶.

„წარმომადგენლის“ ტერმინის გამოყენება დაკავშირებულია ცოტაოდენ სირთულეებთან. წარმოდგენილ ნაშრომში „წარმომადგენლის“ ტერმინის ქვეშ გაგებული უნდა იქნეს გაერთიანებული ტერმინი ყველა პირისათვის, რომელიც რომელიმე სახით ასრულებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას. მაგალითად, როგორცაა „ნებაყოფლობითი“, „ორგანიზაციის“, „სახელშეკრულებო“, „კანონისმიერი“ წარმომადგენელი.

ადმინისტრაციულ სამართალში წარმომადგენლის ცნების დეფინიციას ის ფაქტი ართულებს, რომ მას, როგორც სამართლის ინსტიტუტს ერთიანი ჩაკეტილი სისტემა არ გააჩნია. ადმინისტრაციული

⁴² შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-90-ე მუხლები (სსმ, 32(39), 15.07.1999) და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი (სსმ 39(46), 06.08.1999). www.matsne.gov.ge.

⁴³ შეად. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 254-ე მუხლი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, №161, 15.12.1984, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216>.

⁴⁴ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 88-ე და 89-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, №2181, 15.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>

⁴⁵ იხ. *Sonnek*, Die gewillkürte Vertretung des Beteiligten im Verwaltungsverfahren nach §14 VwVfG, Univ., Diss., 1983, S. 4 ff.; *Fritz*, Die Vertretung im Verwaltungsrecht, Univ., Diss., 1962, S.10 ff.

⁴⁶ შეად. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986, გვ.557.

სამართლის საწინააღმდეგოდ კერძო სამართალი მოიცავს წარმომადგენლის ინსტიტუტის ფართო სისტემას. ამიტომ ადმინისტრაციულ სამართალში წარმომადგენლობის ინსტიტუტის ცნების და მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გარკვევა სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. ვინაიდან წარმომადგენლობის ინსტიტუტი ორივე სამართლის დარგისათვის მსგავს ურთიერთობებს ემსახურება, ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს ის ფაქტი, რომ „ვიდაც მოქმედებს სხვის ნაცვლად“⁴⁷.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას. ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ან დაზარალებული არასრულწლოვანია ან პირი, რომელიც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო თავად ვერ განახორციელებს საკუთარ უფლებებს, უფლება ეძლევა, მისი ინტერესები დაიცვას მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა (მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები)⁴⁸.

საგადასახადო და სააღსრულებო სამართალიც იცნობს სამართლებრივ ურთიერთობებში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობას. უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსი ადგენს საგადასახადო წარმომადგენლის სახეებს და განმარტავს თითოეულ მათგანს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად⁴⁹, გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ურთიერთობებში ორი სახის - კანონიერი და უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება გააჩნია. საგადასახადო ურთიერთობებში გადასახადის გადამხდელის პირადად მონაწილეობა არ ართმევს მას უფლებას, ჰყავდეს მას წარმომადგენელი, ისევე როგორც წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს მას უფლებას, პირადად მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ურთიერთობებში. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ არეგულირებს საგადასახადო წარმომადგენლობას სასამართლოში. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს წარმომადგენელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით.

რაც შეეხება სააღსრულებო წარმომადგენლობას, სააღსრულებო კანონმდებლობის თანახმად, მხარეთა წარმომადგენლობა სააღსრულებო წარმოების პროცესში განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით⁵⁰. შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებაში წარმომადგენლის მონაწილეობა სამოქალაქო სამართლებრივი დებულებების გამოყენებით ხორციელდება.

⁴⁷ იხ. *ქ. ცხადაძე*, წარმომადგენლობის ინსტიტუტის საჭიროება ადმინისტრაციულ სამართალში, სამართლის ჟურნალი, 2012, №1, გვ. 299.

⁴⁸ შეად. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 254-ე მუხლი, საქართველოს უმაღლესი საბჭო, №161, 15.12.1984, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216>).

⁴⁹ შეად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №3591, 17.09.2010, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>).

⁵⁰ შეად. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 18¹ მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1908, 16.04.1996, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442>).

სამართლებრივ ურთიერთობებში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა არ არის უცხო მრავალი ქვეყნის კანონმდებლობისათვის. გერმანიის სამოქალაქო კოდექსსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც პიროვნების წარმომადგენლის ტერმინის გვერდით ვხვდებით ასევე ნივთისა და ქმედებების წარმომადგენელსაც⁵¹. მაგრამ, ამასთან წარმომადგენლის სამართლებრივ ინსტიტუტს თავისი შეზღუდული მნიშვნელობა გააჩნია. წარმომადგენლის ტერმინის ქვეშ გაგებული უნდა იქნეს მხოლოდ „სხვა პირის ნაცვლად მოქმედება“⁵².

შესაბამისად, როდესაც საუბარია წარმომადგენლის ცნებაზე ადმინისტრაციულ სამართალში, მნიშვნელოვანია განხილული იქნეს წარმომადგენლის ინსტიტუტის სახეები. წარმომადგენლობის სახეების განმარტება ავსებს წარმომადგენლის ცნების დეფინიციას. მომდევნო თავში განხილული იქნება წარმომადგენლობის ინსტიტუტის სახეები, რომელიც ხელს შეუწყობს ცნების ჩამოყალიბებას. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ წარმომადგენლის ცნების განმარტება სამოქალაქო სამართლის მიხედვით.

2.1.2. ცნების განმარტება სამოქალაქო სამართლის მიხედვით

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად⁵³, ფიზიკურ პირებს შეუძლიათ სასამართლოში საქმე აწარმოონ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს წესდებით ან დებულებით გათვალისწინებული თანამდებობის პირის მეშვეობით.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო წარმომადგენლობა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ შემდეგი სახით: ა) ადვოკატების; ბ) ორგანიზაციის თანამშრომლების – ამ ორგანიზაციის საქმეებზე; გ) ერთ-ერთი თანამონაწილის დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით; დ) სხვა ქმედუნარიანი პირების⁵⁴.

სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულებითი წარმომადგენლობის საფუძველს წარმოადგენს მარწმუნებელსა და წარმომადგენელს შორის დადებული სამოქალაქო სამართლით განსაზღვრული დავალების ხელშეკრულება, რომელიც იდება მონაწილეთა მხოლოდ თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე.

რაც შეეხება იურიდიული პირის წარმომადგენლობას, იგი წარმოიშობა კანონის, წესდების ან დებულების საფუძველზე. მაგ., შპს-ს სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენელნი დირექტორები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იურიდიული პირის წარმომადგენელს, თავის მხრივ, უფლება აქვს სპეციალური

⁵¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 91-ე მუხლი ეხება „წარმომადგენლობით ნივთებს“ (vertretbare Sachen) და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 887-888-ე მუხლები კი „წარმომადგენლობით ქმედებებს“ (vertretbare Handlungen).

⁵² იხ: Rosenberg, Leo, Stellvertretung im Prozess, Vahlen, 1908, S. 2.; Müller-Freienfels, Wolfram, Die Vertretung beim Rechtsgeschäft, Mohr Siebeck, 1955, S.48.

⁵³ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №824, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁵⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №824, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

მინდობილობის საფუძველზე სასამართლოში საქმის წარმოება მიანდოს სხვა პირს, იქნება ეს ადვოკატი თუ სხვა პირი.

კანონიერ წარმომადგენელს განსაზღვრავს უშუალოდ თვითონ კანონი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის⁵⁵ თანახმად, ქმედუნარო მოქალაქისა და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის უფლებებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვიდელები, მხარდამჭერები, მეურვეები და მზრუნველები. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილი მოქალაქის უფლებებს იცავს პირი, რომელსაც გადაეცა სამართავად დაკარგული პირის ქონება. გარდაცვლილი ან გარდაცვლილად ცნობილი პირის უფლებებს იცავს მემკვიდრე, ხოლო თუ ქონება (მემკვიდრეობა) არავის მიუღია, ამ ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირი. ამავე მუხლის თანახმად, კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, საქმის წარმოება მიანდონ ადვოკატს და თვითონაც მიიღონ მონაწილეობა საქმის წარმოებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონიერ წარმომადგენლებს თავისუფლად შეუძლიათ, საქმის წარმოება მიანდონ არა მარტო ადვოკატს, არამედ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლიდან გამომდინარე, სხვა ნებისმიერ ქმედუნარიან პირსაც.

ამასთან ერთად, საინტერესოა განვიხილოთ სამოქალაქო სამართალში ისეთი შემთხვევები, როდესაც უფლების დაცვისათვის სასამართლოს შეუძლია მიმართოს არა უშუალოდ ამ უფლების მატარებელმა პირმა, არამედ კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა. სხვანაირად, ასეთ მდგომარეობას უწოდებენ სასამართლოში მიმართვის უფლებას თავისი სახელით, მაგრამ სხვისი უფლების დასაცავად. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი გადახდისუნარობის საქმისწარმოების დროს.

როგორც ცნობილია გაკოტრების საქმეზე ყოველთვის ინიშნება მმართველი (ადმინისტრატორი). გადახდისუნარობის საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისად, მთელი ქონების, ანუ გაკოტრების მასის მართვა-გამგეობა მთლიანად გადადის გაკოტრების მმართველის ხელში⁵⁶. გაკოტრების მმართველს ვალაუვალობის წარმოებაში მონაწილე სუბიექტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში (სსმ, №35) 2009 წლის 6 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების თანახმად, გაკოტრების მმართველი, მეწარმეთა კანონის მიხედვით, ითავსებს კონკრეტულად მართვისა და წარმომადგენლობის ყველა კომპეტენციას. ღირეპტორებს უჩერდებათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის თანახმად, მას შემდეგ, რაც გადახდისუნარობის განცხადება შეიტანება სასამართლოში და დაიწყება გაკოტრების საქმისწარმოება, წარმოებაში ერთვება გაკოტრების მმართველი, რომელიც ახორციელებს საწარმოს

⁵⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №824, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁵⁶ შეად. „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №4522, 28.03.2007, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572>).

მართვას და წარმომადგენლობას⁵⁷. იგი აღიჭურვება ყველა იმ უფლებამოსილებით, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მმართველს, ხელმძღვანელსა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს გააჩნია.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს⁵⁸ გარკვეულ კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გაკოტრების მმართველად დასანიშნი პირი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ გაკოტრების მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. აღნიშნული კანონის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ის, რომ გაკოტრების მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი.

ხოლო სამეწარმეო სამართალში, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმე სამეწარმეო ურთიერთობებში იურიდიული მოქმედებების განხორციელებისას უფლებამოსილი არიან, თავიანთი ინტერესების დაცვა მიანდონ წარმომადგენელს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ამგვარი წარმომადგენლობის რამდენიმე სახეს განასხვავებს: იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება (სავაჭრო მინდობილობა), სავაჭრო წარმომადგენლობა და პროკურა⁵⁹.

წარმომადგენელი სამეწარმეო კანონმდებლობაში „პროკურად“ მოიხსენიება. პროკურა არის სპეციალური სავაჭრო (კომერციული) მინდობილობა, რომლის ფარგლები და მოცულობა კანონით განისაზღვრება და მისი შეცვლა ხელშეკრულების საფუძველზე, თუნდაც ეს მარწმუნებელს სურდეს დაუშვებელია, შესაბამისად, დაუშვებელია პროკურის უფლებამოსილების შეზღუდვა მესამე პირთა წინაშე⁶⁰.

პროკურის მიმღები ანუ პროკურისტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელმაც უნდა გამოხატოს ნება პროკურის მიღებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურა იურიდიული ძალის მქონე აქტად ვერ ჩაითვლება. პროკურა შეიძლება ერთდროულად ორ ან რამდენიმე პირს მიეცეს, რა დროსაც მინდობილობაში უნდა განისაზღვროს პროკურისტები ცალ-ცალკე თუ ერთად წარმომადგენენ საწარმოს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნდა გაფორმდეს გენერალური სავაჭრო მინდობილობის სახით⁶¹. პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში

⁵⁷ იხ. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი. საქართველოს პარლამენტი, №4522, 28.03.2007, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572>).

⁵⁸ შეად. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №4522, 28.03.2007, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572>.

⁵⁹ იხ: ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002 წ., გვ. 132.

⁶⁰ შეად. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი

⁶¹ შეად. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 11-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №557, 28.10.1994, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408>).

განხორციელოს ყველა საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან.

პროკურა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კანონის საფუძველზე წარმოშობილი მინდობილობის ნაირსახეობაა. აღნიშნულ შემთხვევაში პროკურისტზე როგორც წარმომადგენელზე გადადის ქმედებების განხორციელების უფლებამოსილება. რაც გულისხმობს, რომ საწარმო თავის უფლებამოსილებებს ამყარებს როგორც ნებისმიერ საქმიანობას ისე სამართლებრივ ქმედებებს მესამე პირის - წარმომადგენლის მეშვეობით. შესაბამისად, ყალიბდება ორგვარი ურთიერთობები, პირველი მარწმუნებელსა და წარმომადგენელს შორის, რასაც შიდა ურთიერთობები ეწოდება და მეორე, წარმომადგენელსა და საზოგადოებას, სახელმწიფო ორგანოებს შორის ანუ გარე ურთიერთობები. შესაბამისად, წარმომადგენლობა ამ შემთხვევაში ვლინდება როგორც შიდა, ასევე გარე ურთიერთობებშიც⁶².

პროკურის მოცულობის შეზღუდვა მინდობილობით დაუშვებელია, რაც ნიშნავს იმას, სამეწარმეო სამართალი პროკურის შეუზღუდავ ხასიოს ადგენს, რაც გულისხმობს პროკურის მოცულობის შეზღუდვის დაუშვებლობას. პროკურისტს არ შეიძლება განესაზღვროს თუ რა სახის გარიგებების დადება შეუძლია და რა აქვს აკრძალული. კერძოდ, პროკურა, რომელიც შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრულ გარიგებებისა და გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის, ან მხოლოდ გარკვეული გარემოებათა არსებობისას, ან განსაზღვრული დროისათვის ანდა ცალკეულ ადგილებში, ყოველივე აღნიშნულ შემთხვევებში ბათილად გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურა შეუზღუდავი მინდობილობაა, თვით კანონი აწესებს შეზღუდვებს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად პროკურის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში, კერძოდ, ეს შეზღუდვა ეხება: ა) მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ გარიგებებს. კერძოდ, პროკურისტს არ აქვს უფლება გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს საწარმოს მიწის ნაკვეთები, დააგირაოს ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთოს ისინი თუ მას მსგავსი მოქმედების განხორციელებისათვის არ აქვს მიღებული სპეციალური უფლებამოსილება; ბ) პროკურა შემოიფარგლება ერთი ან რამდენიმე ფილიალით, რასაც მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირისათვის, თუ ფილიალები იმართება სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით.

ასევე სამეწარმეო სამართლაში წარმომადგენლობის დამახასიათებელი ნიშანია ის რომ, გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი) აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში.

⁶² იხ. *Ulysses Gubert Andreas von Salis*, Die Gestaltung des Stimm- und des Vertretungsrecht im schweizerischen Aktienrecht, Dissertation der rechtswissenschaftlichen Fakultät der Universität Zürich, Schulthess Verlag, Zürich, 1996, S.304.

2.2. ადმინისტრაციული სამართლის ნორმების მითითება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სამოქალაქო სამართლებრივი დებულებების გამოყენების თაობაზე

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი⁶³. კერძოდ, ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით. როგორც ცნობილია, სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს მონაწილეების გარეშე და, ამ მხრივ, არც ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი წარმოადგენს გამონაკლისს. ადმინისტრაციული პროცესის სუბიექტთა წრეს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მაგრამ, ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეებს, ადგენს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა⁶⁴, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება⁶⁵. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობენ ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოში შეიძლება გამოვიდეს ორგანიზაცია, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მოსარჩელედ და მოპასუხედ გვევლინებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, შეიძლება გამოვიდნენ სამოქალაქო პროცესში მხარეებად, თუ ამას უშუალოდ ითვალისწინებს კანონი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი, მაგრამ იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სასამართლოში თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ. ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენენ დირექტორები. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ იურიდიული პირები სასამართლოში საქმეს აწარმოებენ პირადად, წარმომადგენლის გარეშე.

⁶³ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, პირველი მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁶⁴ იხ: თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2007, 143-144-183.

⁶⁵ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-14 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციული კანონმდებლობა აფართოებს პროცესში მონაწილე სუბიექტთა წრეს და შემოჰყავს სავალდებულო პროცესის მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს სახით. სწორედ ეს არის ადმინისტრაციული პროცესის არსებითად განმასხვავებელი ერთ-ერთი ნიშანი სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან. ადმინისტრაციული პროცესისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილში⁶⁶ ნახსენები პირების გარდა, მასში ერთ-ერთ მხარედ - მოსარჩელედ ან მოპასუხედ აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლის მეშვეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სამართლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალში წარმომადგენლობის ინსტიტუტი არ წარმოადგენს ჩაკეტილ სისტემას. წარმომადგენლობის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი საკითხები მოწესრიგებულია სამეწარმეო, საგადასახადო და სამოქალაქო სამართლის ნორმებით. ადმინისტრაციული სამართლისათვის უცხო არ არის მითითება სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. როდესაც საჯარო სამართალში კონკრეტული საკითხი არ არის უნიფიცირებული, შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირება ხდება კერძო სამართლის ნორმებზე მითითებით⁶⁷. ეს განპირობებულია იმით, რომ სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ ინსტიტუტებს გააჩნიათ სამართლებრივად ფორმირების დიდი გამოცდილება, ვინაიდან მათ გავლილი აქვთ თავიანთი განვითარების გრძელი ისტორია. შესაბამისად, მსგავსი ინსტიტუტების შედარებისას სამართლებრივი ურთიერთობის გაგება უფრო მეტად მარტივი ხდება. ეს შეიძლება ითქვას წარმომადგენლობის ინსტიტუტზე, სადაც ფაქტობრივი გარემოებები, ის, რომ სხვა პირი მარწმუნებლის სახელით მოქმედებს, ორივე სამართლის დარგისთვის - საჯარო და კერძო სამართლისთვის, ერთმანეთს ემთხვევა⁶⁸.

მიუხედავად სამართლებრივი ინსტიტუტების მსგავსებისა, ადმინისტრაციული სამართლის ნორმების მითითება ადმინისტრაციულ წარმოებაში სამოქალაქო სამართლებრივი დებულებების გამოყენების თაობაზე არ უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები წარმომადგენლობასთან დაკავშირებით პირდაპირ უნდა იქნეს გამოყენებული საჯარო სამართლის მიერ. პირდაპირი გამოტანა კერძო სამართლებრივი ფორმებისა სკობს საჯარო და კერძო სამართლის ძირეულ განსხვავებებს, ვინაიდან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები თავისი არსით პრინციპულად განსხვავდება კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისგან.

⁶⁶ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 86-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁶⁷ იხ. *Gygi, F.*, *Verwaltungsrecht und Privatrecht: über die Bedeutung des Bedeutung des Privatrechts für die öffentliche Verwaltung und seine Beziehungen zum Verwaltungsrecht*, Verlag Stämpfli, Bern, 1956, 21.

⁶⁸ იხ. *Fleiner, F.*, *Über die Umbildung zivilrechtlicher Institute durch das öffentliche Recht*, Mohr (P. Siebeck), Tübingen, 1906, S.9.

კერძოდ, სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი პირის ნების გამოხატვა შეიძლება დაუპირისპირდეს საჯარო სამართალში სახელმწიფოებრივ ნებას. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ კერძო სამართლებრივი ნორმების გამოყენება ყოველთვის არ ფარავს ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირება შეუძლებელია ადმინისტრაციული კანონმდებლობის გარეშე⁶⁹.

2.3. განსხვავება ადმინისტრაციული წარმოების მარეგულირებელ სამართალსა და ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალს შორის წარმომადგენლობის ინსტიტუტის რეგულირების თვალსაზრისით

წარმომადგენლობის ინსტიტუტის კვლევისას თავს იჩენს განსხვავება ადმინისტრაციული წარმოების მარეგულირებელ და ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში წარმომადგენლის რეგულირების თვალსაზრისით. ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების სამართალი საჯარო სამართლის სფეროში თავისებურ სამართლებრივ მატერიას ქმნის და, შესაბამისად, ჩნდება გამიჯვნის პრობლემები ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალთან მიმართებაში.

შესაბამისად, პირველ რიგში, განხილული უნდა იქნეს ზოგადად განსხვავება მატერიალურ და პროცესუალურ ადმინისტრაციულ სამართალს შორის და ამის შემდგომ თავად წარმომადგენლობის ინსტიტუტის რეგულირების თავისებურება ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში.

შედარებით ადვილია ადმინისტრაციული სამართალწარმოების გამიჯვნა ადმინისტრაციული წარმოებისაგან. ფუნქციური თვალსაზრისით ადმინისტრაციული პროცესი გაგებული უნდა იქნეს როგორც საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული პირის სამართლებრივ დაცვას ადმინისტრაციის მართლსაწინააღმდეგო დონისძიებებისაგან და რომელიც, იმავდროულად, როგორც აუცილებელი შედეგი, ემსახურება ადმინისტრაციის ქმედებების კონტროლის განხორციელებას⁷⁰. ამის საპირისპიროდ ადმინისტრაციული წარმოება მიზნად ისახავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას ან საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებას⁷¹, იგი განსაზღვრავს მათი განხორციელების სახეობას და განავრცობს ადმინისტრაციული მატერიალური სამართლის ნორმებს. ადმინისტრაციული წარმოება, პირველ რიგში, ემსახურება აღმასრულებელი ხელისუფლების აღსრულებას და ის არ ახორციელებს მართლმსაჯულებას, რითაც იგი მკაცრად ემიჯნება ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალს.

მატერიალური ნორმების კოდიფიცირებას ახდენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. ადმინისტრაციული წარმოება დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის იმ პროცესთან, რომელიც ეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

⁶⁹ იხ. *მ.კობაღეიშვილი, ნ.სხირტლაძე, ე.ქარდავა, პ.ტურავა*, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ. 33.

⁷⁰ იხ. *Ule, C.H.*, *Verwaltungsprozessrecht*, Beck, München, 1987, S.1 ff.

⁷¹ იხ. *Kropshofer, M.*, *Verwaltungsverfahren und Vertretung*, Mainz, Univ., Diss., 1982, S.75.

მომზადებას, გამოცემას და აღსრულებას, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტას, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადებას ან გაუქმებას⁷². ხოლო ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეს არის პროცესუალური სამართალი, რომელიც ადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესს⁷³.

ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებას შორის არსებობს როგორც ურთიერთდამოკიდებული მჭიდრო კავშირი, ისე მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც⁷⁴. შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმის წარმოების „წინა პროცესს“. ორივე წარმოება გარკვეულწილად ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ადმინისტრაციულ წარმოებასა და ადმინისტრაციულ პროცესს შორის კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთ-ერთი უმთავრესი უფლებამოსილების, ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების შემოწმების განხორციელებისას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად⁷⁵, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ სასამართლოში ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის საკითხს, ადმინისტრაციულ სასამართლოში დავის საგანი შეიძლება იყოს სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად განხორციელებული საქმიანობა⁷⁶.

მაგრამ, მიუხედავად ზემოაღნიშნული მჭიდრო კავშირისა, ადმინისტრაციული წარმოების მიზანი განსხვავდება ადმინისტრაციული პროცესის მიზნისაგან. ადმინისტრაციული წარმოება მიზნად ისახავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ხოლო ადმინისტრაციული პროცესის მიზანი კი მოქალაქესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული სამართლებრივი დავის გადაწყვეტაა დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ⁷⁷.

შესაბამისად, მატერიალურ ადმინისტრაციულ სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას შორის განსხვავება იმაში

⁷² იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁷³ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, პირველი მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁷⁴ იხ. *Kopp, Ramsauer, Verwaltungsverfahrensgesetz Kommentar (VwVfG)*, 12. Auflage, Verlag Beck, München, S.21.

⁷⁵ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-2 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁷⁶ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁷⁷ იხ. *Ule, C.H., Laubinger, H.W., Verwaltungsverfahrenrecht*, 3. Auflage, C. Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München, 1986, S.17.

მდგომარეობს, რომ მატერიალური ადმინისტრაციული სამართალი აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უფლებებში ჩარევის უფლებამოსილებასა და მოქმედების შესრულების მოვალეობებს, ანუ ადგენს საგნობრივ-შინაარსობრივ დებულებებს მოქალაქესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის. ხოლო ადმინისტრაციული სამართალწარმოება განსაზღვრავს იმ წესებს, რომელთა მიხედვითაც უნდა ჩატარდეს გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცესები ადმინისტრაციული ორგანოს ჩარევის ან შესაბამისი მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით⁷⁸.

მოქალაქის სამართლებრივი დაცვა, გერმანიის ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პრაქტიკის თანახმად, პირველ რიგში, განხორციელებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოების გზით, მაშინ როცა ადმინისტრაციული წარმოების ერთ-ერთი მიზანი იმაში აისახება, მოხდეს ადმინისტრაციული ორგანოს ფართომოცულობითი ინფორმირება გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მოქალაქის მონაწილეობა წარმოებაში ემსახურება უფრო მიზანშეწონილობას და არა მისი სამართლებრივი პოზიციის გამყარებას^{79,80}.

ზემოაღნიშნული შეხედულება, რომელიც განვითარდა გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, შეიძლება დისკუსიის საგანი იყოს, ვინაიდან ზემოთ დასახელებული ფაქტორებიდან გამომდინარე, აზრს კარგავს მოქალაქის უფლება - დაცული იყოს მისი კანონმდებლობით დაცული უფლებები წარმოებისას. ორივე სამართლებრივი ურთიერთობა, ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული სამართალწარმოება, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პირის უფლების დაცვის კუთხით. თუ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ვერ იქნა მიღწეული უფლების „წარმატებული“ დაცვა, რჩება სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა, რათა საბოლოოდ მიღწეულ იქნეს შედეგი. ეს მოსაზრებები ადასტურებენ სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული⁸¹ ფორმულირებების სისწორეს: უფლების დაცვა „ვიწრო გაგებით“ ადმინისტრაციული წარმოების და უფლების დაცვა „ფართო გაგებით“ სამართლო წარმოების შემთხვევაში.

2.3.1. წარმომადგენელი მატერიალურ და პროცესუალურ სამართალში

გერმანულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი პირები წარმომადგენლის აუცილებელ მონაწილეობას განიხილავენ ხელშემშლელ ფაქტორად - დროის, შრომისა და ფულადი სახსრების დიდი დანახარჯის გამო, რაც აფერხებს ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას⁸². აქედან

⁷⁸ იხ. *Wolff, Bachof*, Verwaltungsrecht III, Verlag Beck, München, 2004, S. 321.

⁷⁹ იხ. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება (BverwG 1967, 825); გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები: BVerwGE 28,131; BVerwGE 41,58).

⁸⁰ იხ. *Kopp, F.O.*, Verfassungsrecht und Verwaltungsverfahrensrecht, Beck, München, 1971, S.54 ff.

⁸¹ იხ. *Häberle, P.*, Grundrechte im Leistungsstaat, in: VVDStRL30 (1972), 124 ff.

⁸² იხ. *Thieme, W.*, Verwaltungslehre, C.Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, 1977, 120 ff.

გამომდინარე, არსებობს კონკრეტული საფრთხე, რომ გარეგნულად, მინიმალურად იქნება შენარჩუნებული მათი მონაწილეობა აუცილებელი წესის სახით და შედეგად კი ვერ იქნება უზრუნველყოფილი რეალური სამართლებრივი დაცვა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, არეგულირებს წარმომადგენლის როგორც ნებაყოფლობით, ისე სავალდებულო გზით ჩართვის აუცილებლობას. შესაბამისად, მოქალაქე კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, თავად წყვეტს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას მიიღებს წარმომადგენლის მეშვეობით თუ პირადად⁸³.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალს, აქაც დაინტერესებული პირი თავად წყვეტს ადმინისტრაციულ პროცესში წარმოდგენილი იყოს თუ არა წარმომადგენლის მეშვეობით. ხოლო, თუ მხარე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა, მას სასამართლოში ყოველთვის წარმოადგენს ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება⁸⁴. შესაბამისად, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მუშაობს⁸⁵. გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც გათვალისწინებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმომადგენლის მონაწილეობისას⁸⁶.

საგადასახადო და სააღსრულებო სამართალიც იცნობს სამართლებრივ ურთიერთობებში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობას. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად⁸⁷, გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ურთიერთობებში ორი სახის (კანონიერი და უფლებამოსილი) წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება გააჩნია. სააღსრულებო კანონმდებლობის თანახმად, მხარეთა წარმომადგენლობა სააღსრულებო წარმოების პროცესში განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით⁸⁸.

⁸³ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 86-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁸⁴ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-15 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁸⁵ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁸⁶ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁸⁷ შეად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №3591, 17.09.2010, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>.

⁸⁸ შეად. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 18¹ მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1908, 16.04.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442>.

წარმომადგენლის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა, პირველ რიგში, ვლინდება კომპლექსურ ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელთა ფარგლებშიც გადაწყვეტილების მიღების პროცესები მრავალმხრივი, ერთმანეთში განახლართული სხვადასხვა ეტაპებისაგან შედგება და რომლებშიც სხვადასხვა უწყებები მონაწილეობენ, რომლებიც ამის გამო დიდ დროს საჭიროებენ. გამოცდილების არ მქონე პირს არ შეუძლია თავად განახორციელოს უფლების დაცვა და დამოკიდებულია გამოცდილების მქონე წარმომადგენელზე. საკუთარი ინტერესების ქმედითი დაცვა ითვალისწინებს, სულ მცირე, ინფორმაციას, როგორც ადმინისტრაციული წარმოების მოცემული მიზნის შესახებ, ასევე გადაწყვეტილების მიღების ცალკეული ეტაპების ურთიერთკავშირისა და სხვა ორგანოთა თანამონაწილეობის მნიშვნელობისა და მისი შედეგების შესახებ. ამდენად, რიგ შემთხვევებში საქმის მასალების გაცნობა უტოლდება სამართლის ცოდნასაც.

წარმომადგენლობის გამორიცხვა მოახდენდა დაინტერესებული პირების მხრიდან წარმოებაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვას და ამით თავის დანიშნულებას დაკარგავდა ადმინისტრაციული წარმოების გზით სამართლებრივი დაცვის ფუნქციაც. ამას გარდა, წარმომადგენლის ჩართვა იმ შემთხვევებშიც არის აუცილებელი, როცა მარწმუნებლის სუბიექტური საფუძვლებიდან გამომდინარე, ხელი ეშლება საკუთარი ინტერესების განხორციელებაში. აქ შეიძლება დასახელებულ იქნეს მრავალი სხვადასხვა სახის საფუძველი, მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში არყოფნა, დროის უქონლობა ან სხვადასხვა მოტივაციაზე დამყარებული ხარვეზიანი ნების გამოხატვა პირადად მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით და სხვა⁸⁹.

ადმინისტრაციულ წარმოებაში პროფესიული წარმომადგენლის კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მიღწეულ იქნეს მარწმუნებლის ინტერესების გატარება ან ამ ინტერესების გატარების ხელშეწყობა. უფლებების ეფექტური დაცვა, როცა ჩართულია პროფესიონალი წარმომადგენელი, იმიტომაც არის გარანტირებული, რომ ეს უკანასკნელი რთული ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართლებრივი პრობლემატიკის თვალსაზრისით უზრუნველყოფს საქმის ბოლომდე მიყვანას. დაბოლოს, პროფესიული წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ წარმოებაში უფლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით იმიტომაცაა აუცილებელი, რომ წარმოებაში მონაწილეობის უფლებებიდან შეიძლება წარმოიშვას ამ უფლებასთან დაკავშირებული ნეგატიური მომენტები, კერძოდ, თუ დაინტერესებულმა პირმა არ მიიღო მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, თუმცა ეს მისთვის შესაძლებელი იყო, მან შეიძლება დაკარგოს შესაბამისი უფლებები. ეს შეესატყვისება უფლების ჩამორთმევის ან დუმილის (*Verschweigen*) გზით უფლების დაკარგვის ზოგად პრინციპს, რაც მართლმსაჯულებაში აღიარებულია, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გარკვევით ჩამოყალიბებული დებულებები. აღნიშნული პრინციპი ჩამოყალიბებულია გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად⁹⁰.

⁸⁹ იხ. *Fritz, H.*, Die Vertretung im Verwaltungsrecht, Tübingen, Univ., Diss., 1962, S. 1 ff.

⁹⁰ BVerwG ZBR 1979, 255; BVerwG BauR 1980, 30 ff.

2.4. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმომადგენლის ინსტიტუტის არსებობა, როგორც მატერიალურ ისე პროცესუალურ ადმინისტრაციულ სამართალში უაღრესად მნიშვნელოვანია მრავალი ფაქტორის არსებობის გამო. მაგალითად, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კომპლექსურ ადმინისტრაციულ წარმოებებში უფრო ეფექტურია მონაწილეობდეს გამოცდილების მქონე წარმომადგენელი. საკუთარი ინტერესების ქმედითი დაცვა, პირველ რიგში, დამოკიდებულია სამართლის ცოდნაზე. ამიტომ წარმომადგენელს მარწმუნებლის მიერ მინდობილ უფლებამოსილების ფარგლებში, უნდა შეეძლოს თავისი ფუნქციების პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად განხორციელება.

ამის გარდა, წარმომადგენლის ჩართვა იმ შემთხვევებშიც არის აუცილებელი, როცა მარწმუნებელს სუბიექტური საფუძვლებიდან გამომდინარე, ხელი ეშლება საკუთარი ინტერესების განხორციელებაში.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოსა და მოქალაქის ურთიერთკავშირს, ადმინისტრაციულ წარმოებაში პროფესიული წარმომადგენლის კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მიღწეულ იქნეს მარწმუნებლის ინტერესების გატარება ან ამ ინტერესების გატარების ხელშეწყობა. მოქალაქე, რომელიც თვითონ იცავს საკუთარ ინტერესებს და მრავალმხრივ რთულ სამართლებრივ თუ ფაქტობრივ პრობლემებს თითქმის ვერ ართმევს თავს, ხშირად მიიჩნევს ხოლმე, რომ მოქცეულია თითქოსდა თვითნებური უწყებრივი ღონისძიებების მარწმუნებში, არადა მას მიკუთვნებული აქვს მონაწილეობის გარკვეული უფლებები.

წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში მნიშვნელოვანი და ამავე დროს ეფექტურია თავად ადმინისტრაციული ორგანოსათვის, ვინაიდან წარმომადგენლის, განსაკუთრებით კი პროფესიონალი წარმომადგენლის ჩართვის გზით აღვივდება ადმინისტრაციის საქმიანობა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. შესაბამისად, მოსაზრება ხელის შეშლის თაობაზე, წარმომადგენლის დანიშვნისას დროის, სახსრების თუ სხვა მიზეზების გამო, არ არის მიზანშეწონილი. წარმომადგენლის მონაწილეობა არის არათუ ხელის შეშლა, არამედ წარმოადგენს ინტერესთა დაცვაზე ორიენტირებულ წარმოებას როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში.

თავი 3.

ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების სამართლებრივი მდგომარეობა

ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ნათლად იქნეს წარმოჩენილი წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სანამ წარმომადგენლის როგორც ცალკე სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მდგომარეობის შესწავლა მოხდება, მანამ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული ზოგადად ადმინისტრაციული წარმოების და სამართალწარმოების მონაწილეთა სამართალუნარიანობაზე, მათ მნიშვნელობასა და როლზე. ასევე ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდნენ ის სუბიექტები, რომლებიც არ შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ ადმინისტრაციულ ურთიერთობებში წარმომადგენლის სახით და რომელთა არსებობაც მხოლოდ პირადი მონაწილეობით არის დასაშვები.

3.1. ზოგადი რეგულირება

ნებისმიერი იურიდიული პროცესის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ პროცესის სუბიექტები, მისი მონაწილეები⁹¹. ვინაიდან სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს მონაწილეების გარეშე, შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადმინისტრაციული წარმოების და პროცესის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მთავარი ამოცანაა, რომ ყველას, ვისაც სამართლებრივად დაცული ინტერესი გააჩნია, შესაძლებლობა ჰქონდეს, გახდეს წარმოების მონაწილე და მიეცეს მისი უფლებების ძირეულად განხორციელების შესაძლებლობა⁹².

„მონაწილეობის“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ის, რომ პირს, რომელსაც სამართლებრივად დაცული სიკეთე გააჩნია, იყოს უფლებამოსილ სუბიექტთა წრის წარმომადგენელი და, ამასთან, საქმის წარმოების ფორმირების უშუალო წევრი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია სახელმწიფოს დემოკრატიული პროცესების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვით, პირის ინტერესების გათვალისწინება სახელმწიფოს ნების განხორციელების პროცესებში ხელს უწყობს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას.

ადმინისტრაციული წარმოების მონაწილედ ითვლება გადაწყვეტილების გამომტანი ადმინისტრაციული ორგანო, გადაწყვეტილების ადრესატი, ასევე ის, ვისაც კანონიერი ინტერესი შეიძლება გააჩნდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

⁹¹ იხ. *ქ. ცხადაძე*, საქართველოს ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობა, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, 2006, №1, გვ.60.

⁹² იხ. *Erichsen H.U, Martens W.*, Allgemeines Verwaltungsrecht, 8. Auflage, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1988, S.391.

განხორციელებულ ქმედებაზე⁹³. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე შეიძლება იყოს არა ყველა პირი, არამედ ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისა და გადაწყვეტილების ადრესატი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება მონაწილეობდნენ სხვა პირებიც, რომელთა არსებობაც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. შესაბამისად, განასხვავებენ ფორმალურ და არაფორმალურ მონაწილეებს⁹⁴. ფორმალურ ადმინისტრაციული წარმოების მონაწილედ ჩაითვლება პირი, ვისაც კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად მატერიალურად დაცული ინტერესები გააჩნია. ხოლო ადმინისტრაციული წარმოების არაფორმალური მონაწილეები არიან ის პირები, რომლებსაც კანონით დაცული ინტერესები კი არ გააჩნიათ, არამედ მათი სამართლებრივი მდგომარეობა შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე რეგლამენტირებული და რომელთა მონაწილეობაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია საქმისწარმოებისას და, შესაბამისად, გავლენას ახდენს გადაწყვეტილების გამოტანაზე.

ადმინისტრაციულ სამართალში ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლებაუნარიანობის გვერდით არსებობს მონაწილეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა, რაც ვლინდება მათი ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობაში. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეთა ლეგიტიმურ საფუძველს განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლი⁹⁵, ხოლო ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა ლეგიტიმურ საფუძველს - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლი⁹⁶.

3.2. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილენი

საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლებამოსილება გააჩნია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს⁹⁷. დაინტერესებული მხარის ცნება უკავშირდება, როგორც პირის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, ისე გამოვიდეს მხარედ ადმინისტრაციულ სასამართლოში.

⁹³ იხ. *Erichsen H.U, Martens W.*, Allgemeines Verwaltungsrecht, Walter de Gruyter, Berlin ,New York, 1975, S.252.

⁹⁴ იხ. *Püttner, G.*, Verwaltungslehre, 2. Auflage, Verlag Beck, München, 1989, S.307.

⁹⁵ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 95-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁹⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 79-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁹⁷ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 95-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი განმარტავს⁹⁸ დაინტერესებული მხარის ცნებას, რომლის თანახმად, დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზეც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება პირდაპირ და უშუალო გავლენას უნდა ახდენდეს პირის უფლებაზე ან ინტერესზე. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე შეიძლება გახდეს არა ნებისმიერი პირი, არამედ ის, ვის კანონიერ ინტერესზეც გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დაინტერესებული პირის განცხადება⁹⁹.

ზოგადად ინტერესი, სამართლებრივი წარმოდგენების განვითარების კვალდაკვალ, თავის ასახვას პოვებს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ან საჯარო ინტერესების ფორმაში. ინტერესი შეადგენს ნებისმიერი უფლების ფასეულ, მიზნობრივ და შინაარსობრივ წინა პირობას, უფლების პრაქტიკულად შესაგრძობობ, მისი ნორმატიული ასახვის და განვითარების იმპულსს. ინტერესისათვის უფლების ფორმის მინიჭება არის პიროვნების სამართლებრივი სტატუსის რეგულირების საკანონმდებლო პროცესების კლასიკური ხერხი. ადმინისტრაციულ სფეროში ინტერესის განვითარების ძირითადი ვექტორი უკავშირდება, კანონიერი ინტერესის სახით, მის სამართლებრივ აღიარებას, კანონიერ ინტერესთა ნაწილის შემდგომში უფლების ხარისხში აყვანით¹⁰⁰.

ადმინისტრაციული წარმოება, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად ზრუნავს პირის ინტერესებზე და, შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმა და მასში მონაწილეობა შეზღუდული არ არის კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმას მის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულიც არის, აცნობოს დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, თუკი ინდივიდუალური

⁹⁸ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

⁹⁹ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>

¹⁰⁰ იხ. *მ.კოპალეი შვილი, ნ.ხიბრტლაძე, ე.ქარდავა. პ.ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, სიესტა, თბილისი, 2008, გვ. 121.*

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი მდგომარეობა¹⁰¹.

ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესს, პროცესის დაწყების საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ პირის იურიდიული დაინტერესება, რაც, პირველ რიგში, დაკავშირებულია იმაზე, მოახდენს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება ზეგავლენას პირის უფლება-მოვალეობაზე. იურიდიული ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს, თუკი სახეზეა მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი (სასამართლო დაცვის საგანი)¹⁰².

შესაბამისად, როგორც ადმინისტრაციულ წარმოებაში, ისე ადმინისტრაციულ პროცესში დაინტერესებულ პირად ჩართვისა და მხარედ აღიარებისათვის გადამწყვეტია პირის უფლების და მისი კანონიერი ინტერესის არსებობა. სწორედ უფლების არსებობა, რომელიც ინტერესის ფორმით ვლინდება, შესაძლებლობას აძლევს პირს, მიმართოს სახელმწიფო ორგანოს და ასევე სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად.

3.2.1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა

ადმინისტრაციული სამართალი, როგორც აღინიშნა, პირთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სამართალია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათი უფლებების უფრო ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობა უზღუდავს ისეთი თანამდებობის პირებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებას, რომლებსაც უშუალოდ ან ირიბად შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ საქმის წარმართვაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლი¹⁰³ ადგენს იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, ვისაც ეკრძალება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება. კერძოდ, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ის თანამდებობის პირი, რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე, საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია, საქმეში მონაწილე მხარის წარმომადგენელია, იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან, თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს და საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოების არსებობაც კი იწვევს შესაბამისი თანამდებობის პირის აცილების საკითხს. ეს ყოველივე, პირველ რიგში, საქმის მიუკერძოებლად განხილვისა და გადაწყვეტის

¹⁰¹ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.

¹⁰² იხ. *მ.კოპალეიშვილი, ნ.ხხიტაძე, ე.ქარდავა, პ.ტურავა*, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, სიესტა, თბილისი, 2008, გვ. 126.

¹⁰³ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 92-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

წინა პირობას წარმოადგენს. რაც აისახება ასევე ადმინისტრაციული წარმოების მონაწილის კანონიერი ინტერესების ეფექტურად განხორციელებაში.

3.3. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები

ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა მიმოხილვისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იყენებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის დებულებებს და მიუთითებს, რომ გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული პირებისა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო¹⁰⁴. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალში ფართოდება მონაწილე სუბიექტთა რიცხვი. ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც სავალდებულო მონაწილის არსებობა, სწორედ ეს განასხვავებს ადმინისტრაციულ სამართალს სამოქალაქო სამართლისაგან¹⁰⁵.

3.3.1. ადმინისტრაციული პროცესის მხარეები

ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს. მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს, ერთის მხრივ, პირები, რომელთაც კანონით დაცული უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ და, მეორე მხრივ, პირები, ორგანო ან ორგანიზაცია, რომელიც დგას მეორე მხარის დარღვეული უფლების საპირისპიროდ¹⁰⁶.

ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეები შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები (მაგ. არარეგისტრირებული კავშირი¹⁰⁷). ადმინისტრაციული სამართლისათვის

¹⁰⁴ იხ. *ქ. ცხადაძე*, საქართველოს ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობა, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, 2006, №1, გვ.60.

¹⁰⁵ უფრო მოცულობითია ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში მონაწილეთა მდგომარეობა გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში. მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება კანონით ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (Verwaltungsverfahrensgesetz, VwVfG, მიღებული 29.05.1976) და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (Verwaltungsgerichtsordnung, VwGO, მიღებული 21.01.1960) შესაბამისი მუხლებით. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეთა უფლებაუნარიანობით სარგებლობენ: ფიზიკური და იურიდიული პირები, გაერთიანებები და ადმინისტრაციული ორგანოები. ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი უფრო აფართოებს პროცესში მონაწილეთა რიცხვს. აღნიშნული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობენ: მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები და ფედერაციული სახელმწიფოს წარმომადგენელი ადმინისტრაციულ სასამართლოში ან საჯარო ინტერესების წარმომადგენელი.

¹⁰⁶ იხ. *Kiener, Rüttsche, Kuhn*, Öffentliches Verfahrensrecht, Verlag Dike, Zürich, St. Gallen, 2012, S.134.

¹⁰⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 45-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ, აღნიშნული პირების გარდა, მასში, ერთ-ერთ მხარედ – მოსარჩელედ ან მოპასუხედ აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული ორგანოს როლსა და კომპეტენციაზე აქ აღარ შეეჩერდები, ვინაიდან საუბარი იქნება შემდეგ თავებში.

შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობების მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე, თავიანთი ინტერესებით ურთიერთდაპირისპირებული მხარეები. მოსარჩელე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად, ხოლო მოპასუხე კი არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით, დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება¹⁰⁸.

ადმინისტრაციული პროცესის მოსარჩელედ გვევლინება ის დაინტერესებული პირი, რომლის კანონიერი ინტერესიც დარღვეული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ პროცესში სავალდებულო მხარედ - მოპასუხედ ყოველთვის გვევლინება ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება¹⁰⁹.

3.3.2. მხარეთა უფლებები

მხარეთა სამართლებრივი მდგომარეობა არის იმ საჭირო წინა პირობის არსებობა, რომელიც აუცილებელია საჯარო წარმოებაში პროცესუალური უფლებების ქონისათვის. შესაბამისად, კანონმდებლობა უდგენს მხარეებს საპროცესო უფლებამოსილებას, რომლის შედეგადაც ყალიბდება „მხარეთა უფლებები“. უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა უფლებების გვერდით არსებობს მხარეთა მოვალეობები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან მხარეთა უფლებაუნარიანობის წარმოშობის საფუძველს. სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების მხარეთა სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს კანონმდებლობით რეგლამენტირებული მათი უფლებები და მოვალეობები.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში მხარეებს წარმოადგენენ მხოლოდ ის პირები, რომელთაც გააჩნიათ მხარედ არსებობის უფლებაუნარიანობა ადმინისტრაციულ წარმოებაში (მოქმედების უნარიანობა, Handlungsfähigkeit) და საპროცესო უფლებაუნარიანობა (Prozessfähigkeit) ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში¹¹⁰. ეს ორივე ცნება გულისხმობს

¹⁰⁸ იხ. *მ.ვაჩაძე, ი.თოდრია, პ.ტურავა, ნ.წიკელაძე*, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2005, თბილისი, გვ.57.

¹⁰⁹ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-14 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

¹¹⁰ იხ. *Waldmann, B., Weissenberger P.*, Praxiskommentar zum Bundesgesetz über das Verwaltungsverfahren (VwVG), Verlag Schulthess, Zürich, Basel, Genf, 2009.S.104.

სამართლებრივ უნარიანობას, ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში საქმე აწარმოონ თავად ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის მეშვეობით¹¹¹.

მხარეთა უფლებაუნარიანობას ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში ქმნის შესაბამისი კანონმდებლობა. კერძოდ, მხარეთა უფლებაუნარიანობა ადმინისტრაციულ წარმოებაში რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ხოლო მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობას საფუძვლად უდევს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი რეგულირებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეს საპროცესო უფლებები და მოვალეობები, რაც გულისხმობს საპროცესო უფლებაუნარიანობას. ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და წყდება მისი გარდაცვალებით, ხოლო იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან¹¹².

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს ასევე სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობის ცნებას, რაც გულისხმობს ფიზიკური და იურიდიული პირის უნარს, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დააგალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს¹¹³. პირს საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოეშობა დაბადების მომენტიდან, ხოლო იურიდიულ პირს – მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით¹¹⁴ მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა მხარეებს ანიჭებს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებას. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. არ შეიძლება, საქმის განხილვისას რომელიმე მხარეს, მოპასუხეს ან მოსარჩელეს მიენიჭოს უფრო მეტი უფლება ან პირიქით, შეეზღუდოს ის. ორივე მხარეს უფლება აქვს, გაეცნოს საქმის მასალებს, ასევე გააკეთოს ამონაწერები საქმის მასალებიდან, გადაიღოს ასლები. მაგრამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციული წარმოების მასალების

¹¹¹ იხ. *Ule, C.H., Laubinger, H.W.*, *Verwaltungsverfahrenrecht*, 3. Auflage, C.Heymanns Verlag, Köln, Berlin, Boon, München, 1986, S.135.

¹¹² იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>).

¹¹³ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>).

¹¹⁴ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>).

გაცნობასთან დაკავშირებით აკეთებს დათქმას, კერძოდ, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას¹¹⁵. ასევე სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი საქმის მასალების ასლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით¹¹⁶. ამასთან, არ შეიძლება რაიმე გადასახადის დაწესება ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისაღებად, აგრეთვე ასლის გადაღებისათვის და ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა¹¹⁷.

ადმინისტრაციულ წარმოებასა და პროცესში მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში¹¹⁸. ასევე მხარეებს უფლება აქვთ, განაცხადონ შუამდგომლობები როგორც ადმინისტრაციული წარმოების დროს საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით¹¹⁹, ისე სასამართლოს წინაშე. ამასთან, მხარეები უფლებამოსილი არიან, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა¹²⁰.

მხარეებს აქვთ უფლება, შეკითხვა დაუსვან მოწმეს, სპეციალისტსა და ექსპერტს. ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, დაესწროს მოწმის ან ექსპერტის დაკითხვას, დაუსვას მას შეკითხვები, გაეცნოს ექსპერტის წერილობით დასკვნას, დაესწროს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას¹²¹. ასევე, მათ უფლება

¹¹⁵ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹¹⁶ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹¹⁷ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის მე-6 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹¹⁸ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹¹⁹ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹²⁰ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹²¹ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 109-ე მუხლის მე-4 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

აქვთ, გაასაჩივრონ როგორც ადმინისტრაციული ორგანოს¹²², ისე სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები¹²³.

ზემოთ დასახელებული უფლებების განხორციელება პირს შეუძლია თავად, დამოუკიდებლად ან მისი ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი უფლებების უზრუნველყოფა დაავალოს სხვა პირს, მისთვის სასურველ წარმომადგენელს. შესასაბამისად, მხარეთა მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლება წარმომადგენლის ყოლის თაობაზე, რომლის თაობაზეც ცალკე პარაგრაფშია საუბარი.

3.4. წარმომადგენელი როგორც ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ელემენტი

წარმომადგენლის ინსტიტუტის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი, რითაც ის განსხვავდება ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სხვა მონაწილეებისაგან, არის ის, რომ სხვა პირი ასრულებს გარკვეულ სამართლებრივ მოქმედებებს როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ისე ადმინისტრაციული პროცესის მონაწილის ნაცვლად.

სამოქალაქო სამართლის მსგავსად ადმინისტრაციულ სამართალშიც არსებობს სრულიად განსხვავებული მიზეზები, რომლებიც განაპირობებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას. კონკრეტულმა პირმა შეიძლება ავადმყოფობის, დაუსწრებლობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერ მოახერხოს საკუთარი უფლებამოსილებების თავად განხორციელება. ამის გარდა, არსებობენ შეზღუდულად ქმედუნარიანი პირები, რომლებიც ვერ ახერხებენ ასაკის, ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობისა და შესაძლებლობების გამო საკუთარი კანონიერი ინტერესების დაცვასა და განხორციელებას. წარმომადგენლის არსებობა ასახავს ისეთ ვითარებას, როდესაც პირი სხვისი სახელითა და სხვისი ინტერესებისთვის დებს გარიგებას და ასრულებს სხვის ნაცვლად გარკვეულ მოქმედებებს. ეს არის ურთიერთობა, რომლითაც შესაძლებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებით სხვისთვის სამართლებრივი შედეგის წარმოშობა. შესაბამისად, წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ან მიღებული ნების შედეგად წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებულმა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა ფაქტორებმა წარმოშვა წარმომადგენლობის ინსტიტუტის საჭიროების საკითხი. აღნიშნული ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში პირის კანონიერი უფლება-მოვალეობების განხორციელების პროცესში. წარმომადგენლის ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებაზე, მის უფლებამოსილებასა და სახეებზე საუბარი იქნება მომდევნო თავებში.

¹²² იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹²³ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>).

3.5. ადმინისტრაციული ურთიერთობის მონაწილეები, რომლებიც არ შეიძლება წარმოდგენილი იქნენ წარმომადგენლით

3.5.1. საზოგადოებრივი ექსპერტი, სპეციალისტი

სპეციალური ცოდნის საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოებისა და პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეა საზოგადოებრივი ექსპერტი და სპეციალისტი. მათი მონაწილეობა სამართლებრივ ურთიერთობებში ხასიათდება იმით, რომ სხვა მონაწილეთა განსხვავებით, ისინი მონაწილეობენ უშუალოდ და მათი მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით დაუშვებელია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მათი განხილვა იმ კუთხით, რომ ექსპერტი და სპეციალისტი, როგორც კონკრეტული პიროვნებები, მათი საქმიანობის სფეროვიკიდან გამომდინარე, განსხვავებით ადმინისტრაციული წარმოების და სამართალწარმოების მხარეებისაგან, სწორედ ის სამართალურთიერთობის კატეგორიები არიან, რომლებიც არ შეიძლება წარმოდგენილი იქნენ წარმომადგენლით, ვინაიდან მათ მიერ კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელება უნდა მოხდეს პირადად, როგორც კონკრეტული პიროვნებების მიერ.

კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში¹²⁴ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მიმართოს საექსპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს დასკვნისათვის¹²⁵. საზოგადოებრივი ექსპერტი კი, თავის მხრივ, ვალდებულია, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა¹²⁶.

საზოგადოებრივი ექსპერტის ცნების დეფინიციას ახდენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი¹²⁷, რომლის თანხმაც, საზოგადოებრივ ექსპერტად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორგანოები. ასევე ექსპერტად ჩაითვლება საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ექსპერტის ცნების დეფინიციამ, როდესაც საუბარია იურიდიულ პირზე,

¹²⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106³ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გაეგზავნოს საზოგადოებრივ ექსპერტს, თუ კანონით სავალდებულოა მისი დასკვნის წარდგენა.

¹²⁵ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹²⁶ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 22-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

¹²⁷ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

შესაძლებელია გააჩინოს კითხვა იმის თაობაზე, რომ ექსპერტი ჩაითვლება თუ არა საექსპერტო ორგანოს, დაწესებულების წარმომადგენლად. აღნიშნული კითხვის პასუხად შეიძლება ითქვას, რომ ყველა შემთხვევაში საზოგადოებრივი ექსპერტი, რომელიც ფიზიკური თუ იურიდიული პირის სახით არის ჩართული ადმინისტრაციულ წარმოებასა თუ სამართალწარმოებაში, მონაწილეობს როგორც დამოუკიდებელი პიროვნება - ექსპერტი. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ექსპერტის დასკვნა არის მცოდნე პირის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიმდინარეობისა და დადგენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ¹²⁸.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნები, რასაც უნდა შეიცავდეს საექსპერტო დასკვნა, კიდევ ერთხელ მიუთითებს ექსპერტის როგორც დამოუკიდებელი პიროვნების არსებობაზე. ექსპერტის დასკვნის შესავალში უნდა აისახოს საქმის დასახელება, ექსპერტიზის დანიშვნის მიზეზი, ექსპერტიზის სახელწოდება, ექსპერტის გვარი, სახელი, განათლება, სპეციალობა და თანამდებობა. დაბოლოს ექსპერტის დასკვნა ხელმოწერილი უნდა იყოს თვით ექსპერტის მიერ.

რაც შეეხება სპეციალისტს, მისი უფლებამოსილება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, ისეთი საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად, როგორცაა ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშების შედგენა და ა.შ. შესაძლებელია მოწვეული იქნეს სპეციალისტი¹²⁹. სპეციალისტის მონაწილეობა აუცილებელია მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებების დროს¹³⁰. ასევე დასაშვებია სპეციალისტის მონაწილეობა ადგილზე დათვალიერებაში¹³¹, რა დროსაც მას უფლება აქვს, მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომელთაც მისი აზრით, მნიშვნელობა აქვს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად.

მართალია, ექსპერტისაგან განსხვავებით, სპეციალისტის დასკვნა არ წარმოდგენს მტკიცებულების წყაროს¹³², მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ექსპერტის, ისე სპეციალისტის მიზანია, დახმარება აღმოუჩინოს შესაბამის ორგანოს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარებაში და, შესაბამისად, საბოლოოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების გამოტანაზე. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტი დამოუკიდებლად ატარებს გამოკვლევას, წერს შესაბამის დასკვნას, რომელსაც მტკიცებულების ძალა გააჩნია, სპეციალისტის მიერ გაკეთებული დასკვნა, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით, იგივე ღირებულების შემცველია, მას

¹²⁸ შეად. http://library.court.ge/gil/index.php?term_id=251

¹²⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹³⁰ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹³¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹³² შეად. *თ.ლილეაშვილი, ვ.ხრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004., გვ.355.

ცოდნის მიწოდება შეუძლია მისი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, რომელსაც შემდგომ შესაბამისი ორგანო თავისი შინაგანი რწმენით აფასებს და ეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. შესაბამისი სპეცილიასტის მიერ კონსულტაციის გაწევა, და ასევე ტექნიკური ხასიათის დახმარებაც ხშირ შემთხვევაში ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

3.5.2. მოწმე

ადმინისტრაციულ პროცესში ასევე შეიძლება გამოძახებულ იქნეს მოწმე – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს კონკრეტული საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. აღნიშნული პირის მონაწილეობაც, როგორც ექსპერტისა და სპეციალისტისა, დაუშვებელია წარმომადგენლის საშუალებით. ვინაიდან მოწმე, რომლის მონაწილეობამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ადმინისტრაციული წარმოების და სამართალწარმოების შედეგზე, მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ პირი, რომელმაც შესაძლოა იცოდეს კონკრეტული საქმის გარემოებები, მიეკუთვნება ისეთ მოქმედებას, რომელიც პირმა საკუთრივ უნდა შეასრულოს და შეუძლებელია იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და მონაცემების გადაცემა, რაც მისთვის ცნობილი გახდა როგორც მოწმისათვის.

როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია მოწმის ვალდებულება, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად¹³³, მოწმე ვალდებულია, მისცეს ახსნა განმარტება. ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლი¹³⁴ ადგენს, მოწმე, რომელიც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, ვალდებულია, დაასაბუთოს ეს უარი. საბოლოოდ, მოწმეს აქვს თუ არა უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ამას წყვეტს სასამართლო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის იძულებით მიყვანის შესაძლებლობასაც¹³⁵. ასევე გათვალისწინებულია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

3.6. დასკვნა

ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კვლევისას წარმოჩინდა წარმომადგენლობის ინსტიტუტის

¹³³ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

¹³⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹³⁵ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

დასაშვების შეზღუდვაობა პირად შესასრულებელ უფლება-მოვალეობათა განხორციელების დროს. რაც ხაზს უსვამს პირადი ხასიათიდან გამომდინარე, სხვის მიერ სხვისი სახელით მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების დაუშვებლობას. შესაბამისად, წარმომადგენლის ყოლის უფლება იზღუდება პირადი ხასიათისა და პირადად შესასრულებელი ქმედებებიდან გამომდინარე.

ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ თითოეული მონაწილე წარმომადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ადმინისტრაციულ წარმოებასა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციონირება, შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა და ასევე სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელება.

ადმინისტრაციულ წარმოებაში თითოეული მონაწილის არსებობა ხელს უწყობს მეტი ინფორმაციის, იდეების და სხვადასხვა ალტერნატივის წარმოებაში განხორციელებას. ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო ტრანსპარანტული და ხშირ შემთხვევაში მეტი ობიექტურობის შემცველი ხდება. საერთოდ, მთლიანობაში, სხვადასხვა წარმოების მონაწილის ჩართულობა ადმინისტრაციულ ორგანოს უკეთესად მუშაობაში უწყობს ხელს¹³⁶ - კოორდინირებულად და ხარისხობრივად. შესაბამისად, წარმოების მონაწილეთა არსებობა პოზიტიურ ეფექტს ქმნის ადმინისტრაციული სამართლისათვის.

¹³⁶ იხ. Püttner, G., Verwaltungslehre, 2. Auflage, Verlag Beck, München, 1989, S.305.

თავი 4.
წარმომადგენლის უფლებამოსილება

4.1. ზოგადი რეგულირება

როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არასაკმარისი რეგულირების შემთხვევაში მითითება ხდება და, ამავდროულად, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი¹³⁷. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხარეთა, მათ შორის წარმომადგენლის უფლებამოსილების რეგულირება ხდება სწორედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი დებულებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის IX თავი ეთმობა მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში დადგენილია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომლის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. ხოლო წარმომადგენლით სარგებლობის უფლებას არეგულირებს XII თავი.

4.1.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი¹³⁸ ადგენს იმ უფლებამოსილებას, რისი შესრულების უფლებაც ეძლევა წარმომადგენელს. კერძოდ, აღნიშნული მუხლი ადგენს ზოგად უფლებამოსილებას, რომლის თანახმადაც, წარმომადგენელს უფლება აქვს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება. აღნიშნული მუხლი ადგენს ასევე უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძვლებსაც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმომადგენელს უფლება არ აქვს, დამოუკიდებლად, თავისი ნებით აღძრას სარჩელი, საქმე გადასცეს არბიტრაჟს, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, ასევე, მას არ შეუძლია შეცვალოს სარჩელის საგანი, მორიგებით დაასრულოს საქმე, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, ვერ წარადგენს სააღსრულებო ფურცელს გადასახდევინებლად, ასევე არ შეუძლია მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღება.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული საპროცესო მოქმედებების აბსოლუტური შეზღუდვა კანონმდებელმა არ დააწესა. ამავე მუხლში არსებობს საკანონმდებლო მითითება აღნიშნული

¹³⁷ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, პირველი მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>.

¹³⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 98-ე მუხლის პირველი ნაწილი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

შეზღუდული საპროცესო მოქმედებების აღდგენისა. რაც გულისხმობს იმას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედებების შესრულება შესაძლებელია, თუკი ამის შესახებ სპეციალური ჩანაწერი იარსებებს მინდობილობაში. რაც გულისხმობს, რომ მარწმუნებელმა თითოეული მოქმედების შესრულების თაობაზე უნდა აღნიშნოს მის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

აქედან გამომდინარე, წარმომადგენელს ავტომატურად, სპეციალური მითითების გარეშე უფლება აქვს, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედებებისა, რაც დაკავშირებულია მარწმუნებლის სპეციალურ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვასთან¹³⁹. ვინაიდან ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას, ამიტომ მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენელს შეუძლია, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში¹⁴⁰ და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს. ცხადია, წარმომადგენლის მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონით გათვალისწინებულ, მხარისათვის არასასურველი საპროცესო შედეგის დადგომას.

ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ მინდობილობაში მითითებული იყოს ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. ამ კუთხით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სასამართლომ კანონიერად ცნო წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სააპელაციო საჩივრის შეტანა¹⁴¹. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისას პირის წარმომადგენელს არ გააჩნდა სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა, რომელშიც სპეციალურად იქნებოდა აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების შესახებ, იგი შეიძლება ჩაითვალოს გარიგების შემდეგ გაცემულ ნებართვად. აღნიშნული პოზიციის გასამყარებლად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთან,

¹³⁹ იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო პროცესის კოდექსის კომენტარი, სანი, თბილისი, 2007, გვ. 192.

¹⁴⁰ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 27.06.1997, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>).

¹⁴¹ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-204-193(კს-07).

უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული თანხმობა, ანუ მოწონება გარიგების დადების შემდეგ მიცემულ ნებართვას წარმოადგენს, რომლითაც სწორდება გარიგების სამართლებრივი ნაკლი, ხოლო გარიგების შემდგომ მოწონებას აქვს უკუაღმა და მოწონებული გარიგება ნამდვილად ითვლება იმავე გარიგების დადების და არა მოწონების მომენტიდან, რაც გულისხმობს, რომ გარიგების მონაწილეთა უფლება - მოვალეობები წარმოშობილად, ხოლო ამავე უფლება-მოვალეობების შესაბამისად განხორციელებული მოქმედებები კი ნამდვილად ითვლება გარიგების დადების მომენტიდან.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, მიუხედავად იმისა, წარმომადგენელს სააპელაციო სასამართლოსთვის არ წარუდგენია კანონის შესაბამისად გაფორმებული გასაჩივრების სპეციალური უფლებამოსილების შემცველი მინდობილობა და არ გამოუსწორებია კონკრეტული გარიგების სამართლებრივი ნაკლი, აღნიშნული გულისხმობს მარწმუნებლის მიერ მოწონებული ქმედების ნამდვილობას¹⁴².

აღნიშნული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედებები დაკავშირებულია მარწმუნებლის სპეციალურ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგავსთან და სახეზეა მარწმუნებლის მნიშვნელოვანი უფლებების რეალიზება, ამიტომ მინდობილობაში უნდა იყოს მითითებული ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. ყოველივე კი აუცილებლად უნდა იყოს შემოწმებული სასამართლოს მიერ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის შედეგი, რაც მოჰყვება მინდობილობაში სპეციალური უფლებამოსილების მითითების გარეშე წარმომადგენლის მოქმედებას, რომელიც არავითარ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.

იგივე მოთხოვნა უნდა იყოს გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დროსაც. ამას ემსახურება სწორედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილი¹⁴³, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მან ზედმიწევნით ყურადღებით უნდა შეამოწმოს, თუ სადამდე ვრცელდება წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

4.1.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მე-2 ნაწილი

აღნიშნული მუხლის ჩანაწერი წარმომადგენელს ანიჭებს უფლებას, ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწეს.

¹⁴² შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-204-193(კს-07).

¹⁴³ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 86-ე მუხლის მე-2 ნაწილი, №2181, 25.06.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული რეგულირება ბუნდოვანია, ვინაიდან აქ ადგილი აქვს არა ნორმის სხვადასხვაგვარად წაკითხვას, არამედ თავად ნორმის მოცემული რეგულაცია ქმნის პრობლემას.

პირველ რიგში, ნორმაში რეგულირებული ცალკეული მოქმედებები, რისი გადაცემის უფლებასაც ანიჭებს აღნიშნული ნორმა წარმომადგენელს, ნათლად არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება ცალკეულ მოქმედებებში. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა წარმომადგენლობის უფლებამოსილება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციაა და მისი უფლებამოსილების გაფორმებისა და შემოწმების წესს დიდი ყურადღება ეთმობა. ასევე მნიშვნელოვანია და შესაბამისი რეგულირებაც არის კანონმდებლობაში, თუ რა შემთხვევებში არის დასაშვები ამ უფლებამოსილების შეზღუდვა. ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც წარმომადგენლის დამატებით უფლებამოსილებას ადგენს და მას უფლებას ანიჭებს, თავისი უფლებამოსილება მიანდოს სხვას, საჭიროებს მკაცრ და დეტალურ საკანონმდებლო რეგულირებას.

აღნიშნული რეგულირების არარსებობა, პირველ რიგში, არღვევს თავად წარმომადგენლის ინსტიტუტის არსს, ვინაიდან, კანონმდებლობაში ვერ ვხვდებით დებულებებს, რომლებიც ნათელს მოჰფენდა ამგვარ შემთხვევას. ასევე არ არის გაწერილი, აქ საუბარია მთლიანად, თუ რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულებაზე, ან კიდევ რა შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი უფლებამოსილების გადაცემის ლეგიტიმურ მიზნად.

ასევე კანონმდებლობაში არ არის რეგულირება იმისა, აღნიშნულ შემთხვევებში უნდა მოხდეს თუ არა მინდობილობის გაფორმება ან საერთოდ ვის და ვის შორის ხდება ამგვარი ურთიერთობის წარმოშობა. თუკი მხოლოდ ადვოკატსა და წარმომადგენელს შორის ვივარაუდებთ სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებას, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, საჭიროა თუ არა თავად წარმომადგენლის მარწმუნებლის თანხმობა.

მეორე ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა აღნიშნულ მუხლში ადვოკატის თანაშემწისათვის ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების მინდობა. ეს საკითხი ზემოთ თქმული პრობლემების გარდა ხარვეზიანია, ვინაიდან საერთოდ არ არის საქართველოს კანონმდებლობით ადვოკატის თანაშემწის როგორც პროცესის მონაწილის არსებობა გათვალისწინებული. თანაშემწის ყოლის უფლება ადვოკატს აქვს მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით¹⁴⁴.

4.2. უფლებამოსილების შეწყვეტა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტა, როგორც მარწმუნებლის ისე თავად წარმომადგენლის ინიციატივით, შესაძლებელია საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე¹⁴⁵. მათ უფლება

¹⁴⁴ შეად. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-17 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

¹⁴⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე და მე-100 მუხლები, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

ედღევანთ, მოტივირების გარეშე გააუქმონ მინდობილობა და შეწყვიტონ წარმომადგენლის უფლებამოსილება.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლი¹⁴⁶ განსაზღვრავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველებს, კერძოდ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყდება: იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა იგი; უფლებამოსილი პირის უარით ან უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით; უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან ქმედუნარიანობის დადგომით და შესრულებით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აკეთებს დათქმას წარმომადგენლის ვალდებულებაზე უფლებამოსილების გაქარწყლების შემთხვევაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 110-ე მუხლის მიხედვით¹⁴⁷, წარმომადგენელი ვალდებულია, უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ უფლებამოსილების საბუთი დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს. საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად¹⁴⁸, უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში გადაამწყვეტა ინფორმირების ფაქტი. გარდა ამისა, უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდნენ¹⁴⁹.

გერმანული სამართლის მიხედვით, მინდობილობის გაუქმება დამოკიდებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რასთან დაკავშირებითაც გაიცა იგი¹⁵⁰. შესაბამისად, მინდობილობის გაუქმება ხდება თავად მინდობილობის შინაარსის გათვალისწინებით, როდესაც დასრულებულია ძირითადი ურთიერთობა, რომელსაც მინდობილობა ითვალისწინებდა. ასევე, მინდობილობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს უარი მინდობილობის გაგრძელების შემთხვევაში. აგრეთვე, წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება როგორც მარწმუნებლის, ისე რწმუნებულის გარდაცვალების შემთხვევაში. გერმანული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მინდობილობის მოქმედების ვადა და უფლებამოსილება ინარჩუნებს ძალას წარმომადგენლის მიმართ მანამ, სანამ შეწყვეტის შესახებ მას არ შეატყობინებს მარწმუნებელი¹⁵¹.

¹⁴⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 109-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

¹⁴⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 110-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

¹⁴⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 108-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

¹⁴⁹ იხ. იქვე.

¹⁵⁰ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლი, (BGB art.168, <http://dejure.org/gesetze/BGB/168.html>).

¹⁵¹ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლი, (BGB art.170, <http://dejure.org/gesetze/BGB/170.html>).

4.2.1. მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლი¹⁵² მარწმუნებლის ინიციატივით უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ერთადერთ ვალდებულებად აღგენს წერილობით შეტყობინებას. მარწმუნებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება წერილობით უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე თავის წარმომადგენელს.

მნიშვნელოვანი ჩანაწერია კანონმდებლობაში ის, რომ მხარის წინადადებით წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმისწარმოების შეჩერების და ასევე გადადების საფუძველს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას. ეს ყოველივე ხელს უწყობს საქმის ეფექტურ წარმოებას, რათა არ იქნეს ეს ფაქტი გამოყენებული როგორც საქმის გაჭიანურების და ხელის შემშლელი მიზეზი შემდგომი წარმოების გაგრძელებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმომადგენლობის შეწყვეტა არის მხარის შეუზღუდავი უფლება, რომელიც სასამართლომ ყველა შემთხვევაში უნდა დააკმაყოფილოს, რასაც წარმომადგენელიც ვერ შეუშლის ხელს.

4.2.2. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების შეწყვეტა

ზემოთ თქმულის მსგავსად, წარმომადგენელსაც, როგორც მარწმუნებელს, აქვს უფლება, მოტივირების გარეშე თავისი ინიციატივით საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე თქვას უარი თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე. მას კანონმდებლობით აქვს მხოლოდ დროულად შეტყობინების ვალდებულება¹⁵³. წარმომადგენელმა, რომელიც უარს აცხადებს უფლებამოსილების განხორციელებაზე წერილობით უნდა მიმართოს სასამართლოს და მარწმუნებელს. დროული შეტყობინება ემსახურება მარწმუნებლის მიერ საქმისწარმოებაში შეუფერხებელ მონაწილეობას. მარწმუნებელი თვითონ წყვეტს თავად მიიღებს ამის შემდგომ მონაწილეობას პროცესში თუ აიყვანს ახალ წარმომადგენელს. ამიტომაც არის საკანონმდებლო დათქმა, რომ წარმომადგენელი, რომელიც უარს აცხადებს შემდგომი უფლებამოსილების განხორციელებაზე, შეატყობინოს ამის თაობაზე მარწმუნებელს.

აღსანიშნავია, რომ წარმომადგენელს უარის გაცხადების უფლება ეძლევა სასამართლო სხდომის წარმოების პროცესშიც. აღნიშნული მდგომარეობა განსხვავდება ისეთი შემთხვევისაგან, როცა მარწმუნებელი უარს ამბობს წარმომადგენლობაზე, რაც არ შეიძლება გახდეს საქმის გადადების საფუძველი. ხოლო ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში,

¹⁵² შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 99-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

¹⁵³ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 108-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

როდესაც წარმომადგენელი უარს ამბობს უფლებამოსილების განხორციელებაზე სასამართლოს მთავარ სხდომაზე, შესაძლებელია, სასამართლომ საჭიროდ ჩათვალოს სხდომის გადადება იმ მოტივით, რომ საჭიროა გარკვეული დრო ახალი წარმომადგენლის ასაყვანად. მაგრამ, თუ ამ დროის მანძილზე მარწმუნებელი ვერ აიყვანს ახალ წარმომადგენელს, სასამართლო ჩათვლის, რომ მხარე თავად აწარმოებს საქმეს წარმომადგენლის გარეშე¹⁵⁴.

4.3. წარმომადგენლის პასუხისმგებლობა

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს წარმომადგენლის პასუხისმგებლობას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულ შემთხვევაში ადგენს ნაკლის არსებობის სამ შემთხვევას¹⁵⁵. პირველი, თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას, როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, მას ეძლევა ორი შესაძლებლობა: თუკი არსებობს მეორე მხარის სურვილი, მაშინ იგი ვალდებულია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ან აანაზღაუროს ზიანი, თუ წარმომადგენელი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს¹⁵⁶.

მეორე შემთხვევა, გათვალისწინებული სამოქალაქო კანონმდებლობით, ეხება ისეთ გარემოებას, თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. ასეთ დროს წარმომადგენელი ვალდებულია, აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიადგა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ამ უფლებამოსილებას¹⁵⁷.

ხოლო წარმომადგენელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით¹⁵⁸.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლი¹⁵⁹ თითქმის იგივე დათქმებს შეიცავს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე წარმომადგენლის პასუხისმგებლობისათვის, რასაც ზემოაღნიშნული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ არარსებული სუბიექტის წარმომადგენელი

¹⁵⁴ იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო პროცესის კოდექსის კომენტარი, ხანი, თბილისი, 2007, გვ. 196.

¹⁵⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 113-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

¹⁵⁶ იხ. იქვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁵⁷ იხ. იქვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁵⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 113-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

¹⁵⁹ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლი, (BGB art.179, <http://dejure.org/gesetze/BGB/179.html>).

პირადად აგებს პასუხს განხორციელებულ სამართლებრივ შედეგზე. ასევე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, წარმომადგენელი არ აგებს პასუხს, თუ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი ნაკლის არსებობა¹⁶⁰. გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, როდესაც წარმომადგენელი მოქმედებს არარსებული სუბიექტის სახელით, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია მისი მოქცევა რწმუნებულებითი ნაკლის ცნების ქვეშ. ვინაიდან სახეზე არ არის არანაირი რწმუნებულება და, შესაბამისად, მის ნაკლზე საუბარიც ზედმეტია. აქედან გამომდინარე, გამოირიცხება გერმანული სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის გავრცელება წარმომადგენელზე, რომელიც მოქმედებდა არარსებული სუბიექტის სახელით¹⁶¹.

წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საინტერესოა ასევე ყურადღება იქნეს გამახვილებული ისეთ შემთხვევაზე, რომელიც ეხება საპატიო მიზეზით წარმომადგენლის ან ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას¹⁶². კერძოდ, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა, ხომ არ რჩება მხარე სამართლებრივი დაცვის გარეშე და, შესაბამისად, მისი საპროცესო უფლებების რეალიზება ხომ არ დადგება საფრთხის ქვეშ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოებმა მეტად დაკვირვებით შეაფასონ მხარეთა შეტყობინებები (ზეპირი თუ წერილობითი ფორმით) საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის თაობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მხარეთა, წარმომადგენელთა მცდელობები საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით. ასევე საჯარო ინტერესის – მართლმსაჯულების სწრაფი და ეფექტიანი განხორციელების ხარჯზე არ დაუშვას მხარეთა საპროცესო უფლებების იგნორირება, ვინაიდან სწორედ მათი პროცედურული უფლებების სრულფასოვანი რეალიზაციის საფუძველზე შეიძლება მართლმსაჯულების კანონიერებისა და ეფექტიანობის განსაზღვრა¹⁶³.

როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს¹⁶⁴, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ მონაწილეობს მხარის წარმომადგენელი ან ადვოკატი, ასეთ შემთხვევაში სასამართლოებმა ზედმიწევნით გულმოდგინედ უნდა შეამოწმონ მხარის/წარმომადგენლის დამოკიდებულება სასამართლოსადმი, მისდამი პატივისცემის გამოხატვის და მხარის საპროცესო დისციპლინის ხარისხი, რათა სასამართლოებმა თავი აარიდონ საპროცესო ნორმების დარღვევას¹⁶⁵. უზენაესი სასამართლოს პოზიციით, სასამართლომ ობიექტურად უნდა

¹⁶⁰ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მე-3 ნაწილი, (BGB art.173 abs.3, <http://dejure.org/gesetze/BGB/173.html>).

¹⁶¹ იხ. *Fehrenbach*, Vertretung nicht existierender Person, in: NJW 30, 2009.

¹⁶² შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁶³ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება № ბს-1422-1404 (კ-11).

¹⁶⁴ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება № ბს-1422-1404 (კ-11).

¹⁶⁵ იქვე.

გამოიკვლიოს და შეაფასოს შუამდგომლობა სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის თაობაზე. ხოლო იმ პირობებში, როცა მხარე/წარმომადგენელი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე (უეცარი ავადმყოფობა, კლიმატური ცვლილება და სხვ.), ყველა შესაძლო ზომას იღებს, რომ გააფრთხილოს სასამართლო მისი გამოუცხადებლობის თაობაზე, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს არა აქვს ობიექტური საფუძველი მხარის/წარმომადგენლის გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზად მიხნევისათვის. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი¹⁶⁶ განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება. ასეთს წარმოადგენს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტური გარემოებები, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, ობიექტური შეფასება მისცეს, სახეზეა თუ არა სწორედ ამგვარი შემთხვევა.

4.4. დასკვნა

წარმომადგენლის უფლებამოსილება ის მნიშვნელოვანი საკითხია, რაც ქმნის აღნიშნული ინსტიტუტის ფუნქციონირების ლეგიტიმურ საფუძველს. როგორც ზემოთ აღინიშნა წარმომადგენლის საპროცესო უფლებამართების და ქმედუნარიანობის რეგულირება ხდება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს წარმომადგენლის საქმიანობის ფარგლებს და აკეთებს წარმომადგენლის უფლებამოსილების ჩამონათვალს, ის თუ რისი განხორციელების უფლება აქვს მას კანონმდებლობით მინიჭებული. შესაბამისად, ყველა იმ მოქმედების განხორციელება რასაც მარწმუნებელი თავის რწმუნებულ პირს ანიჭებს აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. მინდობილობა სწორედ ის დოკუმენტია, რითაც განისაზღვრება წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები. ამიტომ აუცილებელია, რომ თუ კი სახეზეა მნიშვნელოვანი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განხორციელება, ამის თაობაზე უნდა იყოს აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტში.

¹⁶⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

თავი 5. წარმომადგენლის სახეები

5.1. ზოგადი რეგულირება

როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელია სამი სახის წარმომადგენლის არსებობა¹⁶⁷: კანონიერი წარმომადგენელი (gesetzliche Vertreter), ნებაყოფლობითი წარმომადგენელი (gewillkürte Vertreter) და ორგანიზაციის წარმომადგენელი (organschaftliche Vertreter)¹⁶⁸.

მათ შორის განსხვავებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნებაყოფლობითი წარმომადგენლის დანიშვნა დამოკიდებულია მარწმუნებლის სურვილზე, რომ იგი წარმოდგენილი იყოს სხვა პირის მიერ. ასეთ შემთხვევაში მარწმუნებელი მის წარმომადგენელს ანიჭებს უფლებამოსილებას, მის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე იმოქმედოს მისი სახელით. ხოლო კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, წარმომადგენლის დანიშვნა არ არის დამოკიდებული მარწმუნებლის სურვილზე. ამ შემთხვევაში საკუთარი სურვილისამებრ წარმომადგენლის დანიშვნის საწინააღმდეგოდ, კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნა გამომდინარეობს კანონით დადგენილი სავალდებულო წესიდან¹⁶⁹. კერძოდ, ქმედუნარო და შეზღუდულუნარიან პირების კანონიერ ინტერესებს იცავენ მშობლები, მშვილებლები და მეურვეები. წარმომადგენლის მესამე სახის, ორგანიზაციის წარმომადგენლის თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ წარმომადგენლის დანიშვნა უნდა იყოს იურიდიული პირის წესდებით განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში წარმომადგენელს მინიჭებული აქვს ორგანოს უფლებამოსილება¹⁷⁰.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რა სახის წარმომადგენლობასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ისინი შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა სახელით და მათი ინტერესების დასაცავად. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება წარმომადგენელი წარმოადგენდეს პროცესში როგორც მხარეს და როგორც წარმომადგენელს. ეს ეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტს¹⁷¹, რომელიც ითვალისწინებს თანამონაწილის გამოსვლას წარმომადგენლად

¹⁶⁷ ამასთან, განსხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ წარმომადგენლობას. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: არაპირდაპირი წარმომადგენლობის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მის მიერ განხორციელებული სამართლებრივი შედეგები უკავშირდება არა წარმომადგენელს, არამედ წარმოდგენილ პირს. მაშინ როდესაც პირდაპირი წარმომადგენლობის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.

¹⁶⁸ შეად. Fritz, H., Die Vertretung im Verwaltungsrecht, Tübingen, Univ., Diss., 1962, S.2, Forsthoff, Lehrbuch des Verwaltungsrechts, Beck, 1961, S.168.

¹⁶⁹ შეად. Rosenberg, L., Stellvertretung im Prozess, Vahlen, 1908, S. 545.

¹⁷⁰ შეად. Fritz, H., Die Vertretung im Verwaltungsrecht, Tübingen, Univ., Diss., 1962, S.3.

¹⁷¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

სამართალწარმოებაში სხვა თანამონაწილეთა დავალებით, კანონის შესაბამისად გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

5.2. კანონიერი წარმომადგენელი

კანონიერი წარმომადგენლის ინსტიტუტის, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტის და, ამავედროულად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის სახის კვლევა, მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული წარმომადგენლის სახე მნიშვნელოვანი სუბიექტია არა მარტო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში არამედ ის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობაში მნიშვნელოვან ინსტიტუტად გვევლინება, რომლის რეგულირებაც ხდება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მეშვეობით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტიტუტი გამოკვლეული იქნას არა მარტო კერძო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ შედარებითი სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენების გზით გერმანიის კანონმდებლობის მაგალითზეც. ვინაიდან, გერმანიის, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული კანონმდებლობა იცნობს წარმომადგენლობის ზემოთ დასახელებულ სამივე სახეს. კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსაზღვრისას გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ნორმები. არასრულწლოვან პირებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1629-ე მუხლის თანახმად¹⁷², წარმომადგენენ მშობლები ერთობლივად. მშობელი უფლებამოსილია განახორციელოს ყველა იურიდიული მოქმედება, რომელიც აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის¹⁷³. დანარჩენი წარმომადგენლების სახეების შემთხვევაში, ქართული კანონმდებლობის მსგავს რეგულირებას ვხვდებით გერმანულ კანონმდებლობაშიც. მიუხედავად ამისა, საინტერესოა წარმომადგენელთა სახეების განხილვა როგორც ქართული ისე გერმანული კანონმდებლობის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე.

5.2.1 იურიდიული მზრუნველი გერმანული კანონმდებლობის მიხედვით

ნაშრომის საკვლევე საკითხიდან გამომდინარე, აუცილებელია იურიდიული მზრუნველის ინსტიტუტის ანალიზი, ვინაიდან აღნიშნული პირები სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების გარდა მონაწილეობას იღებენ ასევე ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იცნობს იურიდიული მზრუნველის ცნებას, რაც გულისხმობს სრულწლოვანი პირის ფსიქიური ავადმყოფობის, ან მძიმე გონებრივი, ან სულიერი დარღვევის შემთხვევაში მისი ინტერესების განხორციელებისათვის მზრუნველის

¹⁷² შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1629-ე მუხლი, (BGB art.1629. http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_1629.html).

¹⁷³ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1629-ე მუხლის მე-2 აბზაცი, (BGB art.1629. abs 2., http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_1629.html).

დანიშნავს. გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული მზრუნველი პირს ენიშნება მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მიერ ქმედუნარო პირის განცხადების საფუძველზე ან თავად სასამართლოს ინიციატივით¹⁷⁴. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1896-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად¹⁷⁵, თუ სრულწლოვან პირს ფიზიკური უუნარობის გამო არ შეუძლია საკუთარი საქმეების წარმართვა, მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სრულწლოვანი პირის განცხადების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას არ შეუძლია თავისი ნების გამოვლენა. აღნიშნული მუხლის პირველი „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია მზრუნველის დანიშვნა სრულწლოვანი პირის თავისუფალი ნების საწინააღმდეგოდ.

იურიდიული მზრუნველის სამართლებრივი ბუნების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი უფლებამოსილება შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული ქმედებების განხორციელებით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ისეთ საკითხებში, რომელთა გადაწყვეტისათვის აუცილებელია მზრუნველობა. საკითხთა წრის სახით შეიძლება განისაზღვროს ასევე რწმუნებულის მიმართ სამზრუნველო პირის უფლებების რეალიზაცია¹⁷⁶. მაგალითად, სამზრუნველო პირის სატელეფონო კომუნიკაციის შესახებ გადაწყვეტილება, სამზრუნველო პირის კორესპონდენციის მიღება, გახსნა და სხვაგვარი მოქმედებები შევა მზრუნველის საკითხთა წრეში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სასამართლომ პირდაპირ დაადგინა.

მზრუნველობის საქმეთა სასამართლო მზრუნველად ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელსაც შეუძლია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ მოვალეობათა წრის ფარგლებში სამზრუნველო პირის საქმეების კანონიერად მართვა. მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, ვინც იმყოფება დამოკიდებულ მდგომარეობაში ან სხვა მჭიდრო კავშირში დაწესებულებასთან, თავშესაფართან ან სხვა იმ ორგანიზაციასთან, რომელშიც განთავსებულ იქნა სრულწლოვანი პირი ან სადაც ეს უკანასკნელი ცხოვრობს¹⁷⁷.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1898-ე მუხლის თანახმად¹⁷⁸, მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მიერ შერჩეული პირი ვალდებულია, იკისროს მზრუნველობა, თუ იგი მზრუნველობის განსახორციელებლად სათანადო პიროვნებაა და მას შეუძლია მზრუნველობის აღება თავისი ოჯახური, პროფესიული და სხვა მდგომარეობის გათვალისწინებით. ამასთან, შერჩეული პირი შეიძლება

¹⁷⁴ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1896-ე მუხლის პირველი აბზაცი, (BGB art.1896. abs 1., http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_1896.html)

¹⁷⁵ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1896-ე მუხლის პირველი აბზაცი, (BGB art.1896. abs 1., http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_1896.html)

¹⁷⁶ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1896-ე მუხლის მე-3 აბზაცი, (BGB art.1896, abs.3, http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_1896.html).

¹⁷⁷ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1897-ე მუხლის პირველი და მე-3 აბზაცი, (BGB art.1897, abs.1 und abs. 3, http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_1897.html).

¹⁷⁸ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1898-ე მუხლი, (BGB art.1898, http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_1898.html).

დაინიშნოს მზრუნველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან განაცხადა, რომ იგი მზადაა, განახორციელოს მზრუნველობითი უფლებამოსილება.

შესაბამისად, მზრუნველობა მოიცავს ყველა სახის საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი ნორმების საფუძველზე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1902-ე მუხლის თანახმად¹⁷⁹, მზრუნველი წარმოადგენს სამზრუნველო პირს, თავის მოვალეობათა წრის ფარგლებში, სასამართლოს წინაშე და სასამართლოს გარეთ ურთიერთობებში. მზრუნველმა სამზრუნველო პირის საქმეები უნდა აწარმოოს ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ამ უკანასკნელის კეთილდღეობას. თუ მზრუნველისათვის ცნობილი გახდება იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც იძლევა მზრუნველობის შეწყვეტის შესაძლებლობას, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაც იცნობს საპროცესო მზრუნველის ტერმინს¹⁸⁰. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს საპროცესო მზრუნველის დანიშვნის შემთხვევებს. კერძოდ, როდესაც სარჩელი სასამართლოში შეტანილია ქმედუუნარო მხარის წინააღმდეგ, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დანიშნოს საპროცესო წარმომადგენელი. საპროცესო მზრუნველის დანიშვნის კანონმდებლის უმთავრესი მიზანი არის მოსარჩელის ინტერესების დაცვა, ვინაიდან, თუ ქმედუუნარო პირს არ ეყოლება წარმომადგენელი პროცესში, შესაბამისად, საქმეს ვერ განიხილავენ, ხოლო მისმა განუხილველობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსარჩელეს¹⁸¹.

ასევე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მოწესრიგებულია შემთხვევა, როდესაც საქმის წარმოების პროცესის მსვლელობისას გაირკვევა, რომ სარჩელი აღძრულია ქმედუუნარო მოსარჩელის მიერ, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, სანამ დაინიშნება კანონიერი წარმომადგენელი, დაუნიშნოს მას საპროცესო მზრუნველი¹⁸². საპროცესო მზრუნველის დანიშვნა აღნიშნულ შემთხვევაში წარმოადგენს მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას, თავად გადაწყვიტოს, მანამ, სანამ არ დაინიშნება კანონიერი წარმომადგენელი, დაუნიშნავს თუ არა საპროცესო მზრუნველს. აღნიშნული რეგულირება განსხვავდება პირველი შემთხვევის რეგულირებისაგან, ვინაიდან იქ საუბარია მოსამართლის ვალდებულებაზე. ქმედუუნარო მოსარჩელისათვის საპროცესო მზრუნველის დანიშვნას დროებითი ხასიათი აქვს. იგი

¹⁷⁹ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1902-ე მუხლი, (BGB art.1902, http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_1902.html)

¹⁸⁰ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 82-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁸¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №824, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁸² იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №824, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

მოქმედებს მანამ, სანამ კანონიერი წარმომადგენელი არ შეუდგება ქმედუნარო პირის უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ კი ზემოთ გამოკვლეულ ინსტიტუტებს ქართულ და გერმანულ კანონმდებლობის მიხედვით შევაღარებთ, მათ შორის მსგავსება მხოლოდ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით იკვეთება. ვინაიდან გერმანიის კანონმდებლობაში არსებულ იურიდიულ მზრუნველის ინსტიტუტის უფლებამოსილება განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეგულირებული საპროცესო მზრუნველისაგან. გერმანული სამართლის იურიდიული მზრუნველის ინსტიტუტი უფრო ახლოს დგას მხარდამჭერის ინსტიტუტთან, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სულ ახალ რეგულაციას წარმოადგენს. აღნიშნულ ინსტიტუტზე საუბარი იქნება ქვემოთ პარაგრაფში.

5.2.2. კანონიერი წარმომადგენლის სახეები:

5.2.2.1. მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

კანონიერი წარმომადგენლის მნიშვნელოვანი სახეს წარმოადგენს მეურვე და მზრუნველი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა ერთობლივად არეგულირებს¹⁸³. აღნიშნული ინსტიტუტების ერთობლივად დარეგულირების მიუხედავად, „მეურვეობა“ და „მზრუნველობა“ არ არის ერთი და იგივე. მეურვეობა და მზრუნველობა უნდა განვასხვაოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტები, მაგრამ, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ინსტიტუტი ემსახურება სამეურვეო/სამზრუნველო პირების ინტერესების დაცვას კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

მეურვეობა უწესდება ბავშვს, რომელსაც არ მიუღწევია 7 წლის ასაკისთვის¹⁸⁴, აგრეთვე იმ პირს, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. რაც შეეხება მზრუნველობას, იგი უწესდება 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანს¹⁸⁵. მზრუნველობა უწესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირს მისივე თხოვნით, თუ მას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლი¹⁸⁶ აწესებს მეურვეობისა და მზრუნველობის საფუძვლებს პირთა ორი ჯგუფის მიმართ, რომელთა ინტერესების დასაცავადაც არის მოწოდებული

¹⁸³ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე კარი ეთმობა მეურვის, მზრუნველის და მხარდამჭერის უფლება-მოვალეობებს, საქართველოს პარლამენტი, №824, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

¹⁸⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1276-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁸⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1277-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁸⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი. კერძოდ: არასრულწლოვან ბავშვს, რომელიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩა მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად¹⁸⁷. მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი¹⁸⁸. სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს ასევე სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს¹⁸⁹.

5.2.2.2. პირები, რომლებიც შეიძლება დაინიშნონ მეურვედ ან მზრუნველად

მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების რეგულირება ხდება როგორც სამოქალაქო ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობითაც. მეურვეობისა და მზრუნველობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები¹⁹⁰. მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულებები (ორგანიზაცია-სააგენტოების სახით), ასევე მათი ტერიტორიული ორგანოები¹⁹¹. შესაბამისად, ზემოთ დასახელებული ადმინისტრაციული ორგანო ის მნიშვნელოვანი სუბიექტია, რომელიც იღებს მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.

ამასთან, 2007 წლის 27 ივნისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“-ს დებულება¹⁹², რომლითაც განისაზღვრა სააგენტოს მიზნები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და საქმიანობის პრინციპები. აღნიშნული ორგანოს

¹⁸⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁸⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის მე-2 ნაწილი,

საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁸⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი,

საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁹⁰ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1281-ე მუხლის პირველი ნაწილი,

საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁹¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1278-ე მუხლის პირველი ნაწილი,

საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁹² შეად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №1906, მიღებული 2007 წლის 27 ივნისს,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/71380> .

კომპეტენციაში შედის: იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობასა და მზრუნველობას, მეურვის ან მზრუნველის შერჩევა, როგორც მეურვეობაში ან მზრუნველობაში ასაყვანი პირების, ისე მათი მეურვეებისა და მზრუნველების ოჯახური პირობების შემოწმება, მეურვეებად და მზრუნველებად კონკრეტული პირების შერჩევა. ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის იმ დოკუმენტების მოძიება და გაცემა, რომელიც დაკავშირებულია მეურვეობისა და მზრუნველობის განხორციელებასთან, მეურვეობისა და მზრუნველობისათვის გადაწყვეტილების გაცემა და მთელი რიგი სხვა საკითხები, რაც დაკავშირებულია სამეურვეო ან სამზრუნველო პირების პირადი ან ქონებრივი ინტერესების დაცვასთან¹⁹³.

შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა მეურვედ ან მზრუნველად დანიშნის უფლებამოსილება გააჩნია არა სასამართლოს, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის ცნობილი გახდება მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა¹⁹⁴. თუკი ერთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხედველობაში იღებს სამეურვეო და სამზრუნველო პირის პიროვნულ თვისებებს და საჭიროა მეურვისა და მზრუნველის თანხმობა, სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისათვის, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები, მზრუნველის შერჩევა შეიძლება მხოლოდ მისი თხოვნით და ამისათვის არ არის საჭირო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკითხი იმის შესახებ, ვინ დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მისგან მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ბედი და აღზრდისა და ცხოვრების პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეურვის ან მზრუნველის არჩევის დროს, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პირადი თვისებები, დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარი, ურთიერთობა, რომელიც არსებობს მასა და სამეურვეო ან სამზრუნველო პირს შორის და აგრეთვე, როცა ეს შესაძლებელია, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სურვილიც. მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მათი თანხმობით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, თუ ვინ არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად. სამოქალაქო კოდექსის 1283-ე მუხლის თანახმად¹⁹⁵, მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც 18 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია. ასევე პირი, რომელიც სასამართლომ მხარდამჭერის¹⁹⁶ მიმღებად ცნო,

¹⁹³ შეად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №1906, მე-2 მუხლი, 27.07.2007, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/71380>.

¹⁹⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1282-ე მუხლის პირველი ნაიწილი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁹⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1283-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1277¹ მუხლი ადგენს პირისათვის მხარდამჭერის დანიშნას.

რომელსაც მშობლის უფლება ჩამოერთვა ან შეეზღუდა მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისათვის თავის არიდების გამო, რომელიც მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის მოვალეობისაგან გათავისუფლებულია მისი არაჯერონად შესრულების გამო.

5.2.2.3. მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობები

მეურვისა და მზრუნველის ინსტიტუტი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ აღნიშნული კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის შემთხვევაში, ხდება წარმოდგენილი პირის აბსოლიტური ნების ფორმირება სხვა პირზე – მეურვეზე ან მზრუნველზე. ამასთან, ერთი მხრივ, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქმედუნარო პირის კანონიერ წარმომადგენელსა და, მეორე მხრივ, შეზღუდულუნარიანი პირის კანონიერ წარმომადგენელზე. ვინაიდან, ქმედუნაროდ აღიარებული პირის ნების სრული ჩანაცვლება ხდება სხვა პირის მიერ ისე რომ არ ხდება იმის გათვალისწინება შეუძლია თუ არა ამ პირის თავისი ნების გამოხატვა. ვინაიდან, შეიძლება პირს ჰქონდეს უნარი მოახდინოს მის ნების ადეკვატური ფორმირება. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნა შესაძლებელია სასიცოცხლოდაც მნიშვნელოვანი იყოს პირის გონებრივი და სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში მეტ-ნაკლებად ერთნაირი მიდგომაა სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის უფლებების მიმართ. ეს მიდგომა გამოწვეულია, ერთი მხრივ, თვით ქმედუნაროდ აღიარებული/ჭკუასუსტი პირის დაცვის მოსაზრებებით, რომ მან უნებლიედ ზიანი არ მიაყენოს საკუთარ თავს ან სხვა პირებს. მეორე მხრივ, ამ პირების უფლებრივი მდგომარეობა განსაკუთრებულად რეგულირდება სამართლებრივი სტაბილურობის მოსაზრებით.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 13 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ მიღებული იქნა უნარშეზღუდული ადამიანების უფლებების შესახებ კონვენცია, რომელიც იცავს და განამტკიცებს, მათ შორის, სულიერი აშლილობის გამო ჭკუასუსტობის გამო უნარშეზღუდული ადამიანის უფლებებს, რომელსაც საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 10 ივლისს. ქვეყნები, რომლებიც ხელს აწერენ ამ კონვენციას, ვალდებული არიან, ეროვნულ კანონმდებლობაში განსაზღვრონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების, მათ შორის, ჭკუასუსტობის გამო ქმედუნაროდ აღიარებული პირების მიმართ გარანტირებული იქნება თანასწორი მოპყრობა, განათლების, დასაქმების, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, საკუთრების და მემკვიდრეობის მხრივ, უფლება, არ იყვნენ დისკრიმინირებულნი ქორწინებისას და სხვა, ასევე არ იყვნენ სამედიცინო ექსპერიმენტების უნებური სუბიექტები.

ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელია, რომ როგორც ადმინისტრაციულ წარმოებაში, ისე ადმინისტრაციულ პროცესში ქმედუნარო პირების ინტერესების დაცვა მათი კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილებას წარმოადგენს. საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად¹⁹⁷, ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს ქმედუნარიანი პირის მიერ საჩივრის შეტანა. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ქმედუნარიანად ცნობილი პირების უფლებებს იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები.

ქმედუნარო პირების კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების გარკვევისათვის აუცილებელია განვიხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ირაკლი ქემოკლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹⁹⁸. აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის¹⁹⁹ სიტყვა „ჭკუასუსტობის“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს „ჭკუასუსტი“ პირის ქმედუნაროდ მიჩნევას მისი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე, საქართველოს კონსტიტუციის მე-14²⁰⁰ და მე-16²⁰¹ მუხლებთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით²⁰² დადგენილი პირის უფლების ამგვარი შეზღუდვა სცდება ქმედუნაროდ ცნობილი პირის დაცვის მიზნებს. არსებული მოწესრიგების პირობებში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მზრუნველისგან განსხვავებით, მეურვეს არ შეუძლია მოარგოს ქმედუნარო პირის მიერ დადებული გარიგებები მისსავე ინტერესებს და სადავო ნორმები ტოვებს შესაძლებლობას, ქმედუნაროდ აღიარებული პირის მიერ დადებული ნებისმიერი გარიგების, მათ შორის, მისთვის სასარგებლო გარიგებების ბათილობა მოითხოვოს გარიგების მეორე მხარემ, მათ შორის, იმ დროს,

¹⁹⁷ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

¹⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 08.10.2014 წლის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ირაკლი ქემოკლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნობამდე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსი: „ქმედუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).“

²⁰⁰ შეად. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346#>!

²⁰¹ შეად. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი: „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“.

²⁰² საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობამდე არსებული რედაქციით, ბათილია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა.

როდესაც ხელშეკრულების დადების მომენტში მისთვის ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა პირის ქმედუნარიანობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ქმედუნარიანობა არის აბსოლუტური კატეგორია. მისი ჩამორთმევა გულისხმობს პირის ავტონომიურობის დაკარგვას ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომ კანონმდებელმა უნდა შექმნას ისეთი მექანიზმი, რაც დაეხმარება სასამართლოს გაითვალისწინოს პირის ნება და უნარი ქმედუნარიანად აღიარების პროცესში, რათა ამგვარი პირები განხილული უნდა იქნან როგორც უფლებათა სუბიექტები.

საკონსტიტუციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს, ქმედუნარიანი კონტრაქტის დაცვის მიზნით, გარკვეული სამართლებრივი საშუალებების შექმნას, თუმცა ის რეგულაცია, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით არის დადგენილი, უფლების შეზღუდვის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს, ვინაიდან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ უფლებების განხორციელების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციურ სტანდარტებს და არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ პირის გონებრივი დაავადების ფაქტს²⁰³.

სრულიად განსხვავებული რეგულირებაა დადგენილი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებთან მიმართებით. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის²⁰⁴ თანახმად, თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს. ამგვარად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის - არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება წარმოადგენს მერყევად ბათილ გარიგებას და დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: არასრულწლოვნისათვის სარგებლის მიღებაზე ან/და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის - მზრუნველის წინასწარ ან შემდგომ თანხმობაზე. ამ შემთხვევაში კანონიერ წარმომადგენელს აქვს შესაძლებლობა, დაიცვას შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ინტერესები, მისი ინტერესების შესაბამისად გასცეს ან არ გასცეს თანხმობა გარიგებების ნამდვილობაზე. ამავე დროს შეზღუდულია ხელშეკრულების მეორე მხარის უფლება, უპირობოდ მოითხოვოს გარიგების ბათილობა.

მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილება, პირველ რიგში, ემყარება მის კეთილსინდისიერ განხორციელებას, ვინაიდან ქმედუნარო პირებს სრულად ეკრძალებათ დამოუკიდებლად განახორციელონ მათი უფლება-მოვალეობანი, ასევე დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება

²⁰³ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 08.10.2014 წლის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ირაკლი ქემოკლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (II. პარაგ. 21-23).

²⁰⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 63-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

საკუთარი ცხოვრების ყველა სფეროსთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მათ ნაცვლად კონკრეტული უფლება-მოვალეობების რეალიზებას ახდენს მათი კანონიერი წარმომადგენელი, რომელმაც ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამურვეო პირის ინტერესების გათვალისწინებით.

ამდენად, მეურვეობა და მზრუნველობა წარმოადგენს არასრულწლოვნებისა და შესაბამისი საფუძვლებით სრულწლოვანთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას. მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის მსგავსი მიზნების მიუხედავად, მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება, რაც გამოიხატება არა ბავშვების აღზრდის, არამედ მათი პირადი ქონებრივი უფლებების დაცვის სფეროში.

5.2.2.4. მხარდამჭერის ინსტიტუტი

მხარდამჭერის ინსტიტუტი ახალ რეგულაციას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში²⁰⁵. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2015 წლის 20 მარტს განხორციელებული ცვლილების²⁰⁶ მიზეზი გახდა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ქმედუნარო პირების შეზღუდვის საკანონმდებლო რეგულაციები, რაზეც საუბარი იყო ნაშრომის წინა პარაგრაფში. საკანონმდებლო ორგანომ აღნიშნული რეგულაცია შესაბამისობაში მოიყვანა როგორც საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან, ისე გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“.

კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ის პირები, რომლებიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით „ჭკუასუსტობის“ ან „სულიერი მოშლილობის“ საფუძვლით მიჩნეულნი არიან ქმედუნაროებად, კანონში ცვლილების შედეგად, შემოდებული იქნა ინდივიდუალური შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ სამედიცინო მოდელს და მასში მნიშვნელოვან ადგილს უჭირავს სოციალური შეფასების სისტემა. ასევე, ცვლილების მიზანი იყო, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების უფლებების დაცვის გაძლიერება მხარდაჭერისა და გამონაკლის შემთხვევებში ჩანაცვლების მექანიზმების შემოდების გზით. ამასთანავე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემავალი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, როგორც სახელმწიფო წარმომადგენლის როლის გაძლიერება და უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება.

მხარდამჭერის ინსტიტუტის მიზანია, პირველ რიგში, დახმარება გაუწიოს პირებს, რომლებსაც აქვთ მყარი ფსიქიკური და გონებრივი დარღვევები, რაც მათ ხელს უშლის საზოგადოებაში სრული და ეფექტიანი მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული მიზეზების გამო,

²⁰⁵ შეად: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV თავი, ცვლილება მიღებული 2015 წლის 20 მარტს, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁰⁶ შეად: საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) შეტანილი ცვლილება:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2789947#DOCUMENT:1>

ასეთი პირები საბოლოოდ უთანასწორო მდგომარეობაში ექცევიან საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით. ამიტომ, პირები, რომლების საჭიროებენ მხარდაჭერას შრომითი სააქმიანობის, სამეწარმეო, წვრილმანი გარიგებების დადების დროს, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, ახალი რეგულაციით შესაძლებლობა მიეცათ იქნენ ცნობილები როგორც მხარდამჭერის მიმღები პირები.

მხარდაჭერის მიმღები პირი ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას დაეხმარება საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1289-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირის მხარდამჭერი მოვალეა თვალყური ადევნოს ასეთი პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, გამოიკვლიოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაში მხარდაჭერის მიმღებისთვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით. მხარდამჭერი ასევე ვალდებულია, სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს მიერ მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, სადაც მიუთითებს მის მიერ სამზრუნველო პირისთვის მხარდაჭერის განხორციელებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

მხარდამჭერის დანიშვნა ხდება სასამართლოს მიერ, რომელიც ასევე განსაზღვრავს მხარდაჭერის ფარგლებს და მხარდამჭერი პირის უფლება-მოვალეობებს. ხოლო მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებში უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობას განხორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. ამასთან ზედამხედველობის განხორციელების კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ორგანო ვალდებულია ყოველ 6 თვეში ერთხელ გადაამოწმოს მხარდამჭერის საქმიანობა. თავის მხრივ, მხარდამჭერი პირიც ამავე პერიოდულობით ვალდებული იქნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიაწოდოს ანგარიში სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში საქმიანობის შესახებ. ზედამხედველობის პერიოდული განხორციელების შედეგად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გამოაქვს დასკვნა მხარდაჭერის დადებითად ან უარყოფითად განხორციელების თაობაზე, რაც შემდგომში შეიძლება გახდეს მხარდამჭერის შეცვლის საფუძველი, უარყოფითი დასკვნის დადების შემთხვევაში.

5.3. წარმომადგენლის კანონმდებლობით რეგულირება

5.3.1. წარმომადგენლის რეგულირება მატერიალურ ადმინისტრაციულ სამართალში

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით²⁰⁷. ამასთან, წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში სავალდებულო არ არის (გარდა გამონაკლისებისა) და იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოქალაქის უფლება და არა მოვალეობა. დაინტერესებული მხარე თვითონ წყვეტს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას მიიღებს წარმომადგენლის მეშვეობით თუ პირადად.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხშირ შემთხვევაში, საჯარო მოხელეები უფრო მეტად ჩახედული არიან საქმეში და უფრო მეტი სამართლებრივი ცოდნა გააჩნიათ, ვიდრე იმ მოქალაქეებს, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს ამ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოქმედება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ზღუდავს დაინტერესებულ მხარეს იმაში, რომ ერთზე მეტი წარმომადგენელი იყოლიოს. ასევე შესაძლებელია, რომ დაინტერესებული მხარე წარმოდგენილ იქნეს სხვადასხვა პირით ადმინისტრაციული წარმოების სხვადასხვა ეტაპზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ნოვაციას წარმოადგენს გამგებლის/მერის წარმომადგენლის ინსტიტუტის შემოღება. აღნიშნული კოდექსის 54-ე მუხლი²⁰⁸ გამგებელს და მერს ანიჭებს უფლებამოსილებას, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს მისი წარმომადგენელი. აღნიშნული წარმომადგენლის უფლებამოვალეობანი კი განისაზღვრება შესაბამისი გამგეობის/მერიის დებულებით.

გამგებლის/მერის წარმომადგენელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. აღნიშნული წარმომადგენელი სხვადასხვა გამგეობის ან მერიის დებულებების თანახმად, ძირითადად, ასრულებს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს საკრებულოსთან, გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან. ასევე ორგანიზებას უწევს, აკონტროლებს და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს და გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. იგი გამგებელს წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ; უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას, კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ

²⁰⁷ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 86-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

²⁰⁸ შეად. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №1958 II, 05.02.2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>.

გამოყენებას; თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს გამგებელს.

შესაბამისად, გამგებლის/მერის წარმომადგენელი შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში საკმაოდ მრავალფუნქციით არის აღჭურვილი და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი საკითხების რეალიზებაში, ვინაიდან იგი ადგილზე უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას.

5.3.2. წარმომადგენლის არსებობის სავალდებულობა

როდესაც საუბარია წარმომადგენლის დანიშვნის სავალდებულობაზე, საინტერესოა შედარებით-სამართლებრივი ანალიზისათვის განვიხილოთ გერმანიის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს წარმომადგენლის დანიშვნის სავალდებულო შემთხვევებს ადმინისტრაციულ წარმოებაში. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-16 მუხლი²⁰⁹ არეგულირებს წარმომადგენლის სავალდებულო დანიშვნის ისეთ შემთხვევებს, როდესაც წარმოების მონაწილეებს ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას არ შეუძლიათ, განახორციელონ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები. უფრო კონკრეტულად კი, უფლებამოსილი პირის დანიშვნა ხდება, როდესაც შეუძლებელია ფაქტობრივად მონაწილეობა შეზღუდულუნარიანობის გამო, როდესაც უცნობია წარმოებაში მონაწილე პირი ან არაქმედუნარიანობის დროს. ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილი პირის დანიშვნა როგორც საჯარო ინტერესებში, ისე სხვა წარმოების მონაწილე პირების ინტერესებშიც შედის, როდესაც საჯარო ამოცანების შესრულება ან მესამე პირთა უფლებების განხორციელება შეუძლებელია²¹⁰.

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების თანახმად, თუკი სახეზეა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-16 მუხლით²¹¹ გათვალისწინებული წარმომადგენლის დანიშვნის აუცილებლობა, ადმინისტრაციული წარმოება არ შეიძლება წარიმართოს, სანამ არ იქნება დანიშნული წარმომადგენელი. აღნიშნულ შემთხვევაში კანონმდებელი ავალდებულებს მზუნველობის საქმეთა სასამართლოს, დანიშნოს კანონიერი წარმომადგენელი ზემოაღნიშნული კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

გერმანიის ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც წარმომადგენლის არსებობა სავალდებულოა. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-16 მუხლის თანახმად, წარმომადგენლის დანიშვნა აუცილებელია, თუ წარმოებაში მონაწილე

²⁰⁹ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-16 მუხლი, *Verwaltungsverfahrensgesetz (Vwfg art.16.)*, <https://dejure.org/gesetze/BVwVfG/16.html>.

²¹⁰ იხ. *Kopp, Ramsauer, Verwaltungsverfahrensgesetz, Kommentar*, 12. Auflage, beck, München, 2011, S.322.

²¹¹ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-16 მუხლი, *Verwaltungsverfahrensgesetz (Vwfg art.16.)*, <https://dejure.org/gesetze/BVwVfG/16.html>.

პირის ვინაობა უცნობია; პირს, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი; თუ მონაწილე პირი ფსიქიკური დაავადების მქონეა, ფიზიკურად ან სულიერად შეზღუდულუნარიანია და არ შეუძლია თავად მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში; უპატრონო ნივთების არსებობისას; საერთო ინტერესების არსებობის შემთხვევაში²¹².

აღნიშნული რეგულირებაზე გავლენას ახდენს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, დაცული იქნეს ყველა მონაწილე პირის კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე.

5.3.2.1. როდესაც უცნობია მონაწილე პირი

უცნობად ჩაითვლება ფიზიკური და იურიდიული პირი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ არის ცნობილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული უფლებების და კანონიერი ინტერესების ადრესატი. ასევე შესაძლებელია, ადმინისტრაციული ორგანოსათვის უცნობი იყოს ერთ-ერთი პირის ვინაობა ადმინისტრაციულ წარმოებაში რამდენიმე პირის მონაწილეობის შემთხვევაში. ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის რთულია იმის გარკვევა, თუ ვინ არის კონკრეტული უფლება-მოვალეობების მატარებელი ან შესაბამისი გადაწყვეტილება ეხება ყველას პირდაპირ თუ რომელიმეს აღნიშნული რამდენიმე პირიდან. აღნიშნულ რეგულირებას ქართულ კანონმდებლობაში არ ვხვდებით.

5.3.2.2. როდესაც უცნობია საცხოვრებელი ადგილი

აღნიშნული ეხება წარმომადგენლის დანიშვნის ისეთ შემთხვევებს, როდესაც მონაწილე პირს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი. ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელ ადგილად არ უნდა იქნეს განხილული მხოლოდ მოკლევადიანი ყოფნა ქვეყანაში. საცხოვრებელ ადგილს მიეკუთვნება არა მარტო მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანაში, არამედ სხვაგვარი სახის საცხოვრებელი ადგილიც. ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციულ წარმოებაში.

პირს, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, უფლებამოსილია, თავად აირჩიოს ის პირი, ვინც მის უფლებებს და მოვალეობებს განახორციელებს. წარმომადგენლის დანიშვნისათვის პირს ეძლევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გონივრული ვადა, რომელიც გამოიანგარიშება ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

მსგავს რეგულირებას ვხვდებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 88-ე მუხლის პირველ ნაწილში²¹³, რომელიც ასევე ითვალისწინებს წარმომადგენლის დანიშვნის

²¹² შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-16 მუხლი, *Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG art.16.)*, <https://dejure.org/gesetze/BVwVfG/16.html>.

²¹³ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 88-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

აუცილებლობას, როდესაც პირს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, მან 3 დღის ვადაში უნდა დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი²¹⁴ საინტერესო რეგულირებას შეიცავს, კერძოდ, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ დანიშნავს წარმომადგენელს, ადმინისტრაციული ორგანო იხსნის პასუხისმგებლობას შესაბამისი პირისათვის დოკუმენტების გაგზავნაზე²¹⁵.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომლის კონკრეტულ სახეებს წარმოადგენს „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. თუ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს, პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის პირის ნებას თან უნდა ახლდეს ცხოვრების ფაქტი. ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. პირი რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან ირჩევს, ძირითადად, უმთავრეს საცხოვრებელ ადგილს, რომელიც მიიჩნევა პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. შესაბამისად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელია. მუდმივი საცხოვრებლის არსიდან გამომდინარეობს, რომ პირი იქ არ არის დროებით, არამედ მუდმივად უნდა იმყოფებოდეს²¹⁶. ამასთანავე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აზრით, პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ

²¹⁴ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 88-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>).

²¹⁵ აღნიშნული საკითხის განხილვისას საინტერესოა შევიცარიული ადმინისტრაციული კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა ვადლებულებას, შეატყობინოს ადმინისტრაციულ ორგანოს მისი საცხოვრებელი ადგილი, სადაც მოხდება მათთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა. შეტყობინების გაგზავნაში იგულისხმება ფოსტის მეშვეობით გაგზავნა. ამასთან, საფოსტო მისამართად უნდა ჩაითვალოს პირის საცხოვრებელი ან მისი რეგისტრაციის ადგილი. შევიცარიული ადმინისტრაციული კანონმდებლობა არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც წარმოების მხარის საცხოვრებელ ადგილად მითითებულია სხვა ქვეყანა, ასეთ შემთხვევაში დგება ვადლებულება, მიეთითოს შევიცარიაში რეგისტრირებული მისამართი, სადაც მოხდება შესაბამისი დოკუმენტაციის გაგზავნა. ხოლო ისეთ შემთხვევაში, თუკი არ მოხდება შევიცარიული მისამართის მითითება, ადმინისტრაციული ორგანო იტოვებს შესაძლებლობას შესაბამისი გადაწყვეტილების ან განკარგულების ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში გამოქვეყნებისა. შევიცარიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-11 „ბ“ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარეებს ეძლევათ უფლება, მიუთითონ ასევე მათი ელექტრონული მისამართი, რომლის თაობაზეც უნდა გამოთქვან წერილობითი თანხმობა, რომ აღნიშნული გზით მიიღებენ შესაბამის შეტყობინებას.

²¹⁶ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ს -1227-1213 (კ-11).

ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს²¹⁷.

5.3.2.3. უპატრონო ნივთები

გერმანიის კანონმდებლობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ქართულისაგან განსხვავებით, არეგულირებს უპატრონო ნივთების არსებობისას ნივთების წარმომადგენლის დანიშვნის შემთხვევებს. ეს ეხება როგორც უძრავ, ისე მოძრავ ნივთებს. უპატრონო ნივთების განმარტება ხდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების თანახმად²¹⁸.

ასეთ შემთხვევაში წარმომადგენელმა უნდა დაიცვას ნივთთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული შემთხვევები ეხება მხოლოდ ისეთ უპატრონო ნივთებს, რომლის მესაკუთრეც უცნობია ან როდესაც რამდენიმე პირს აქვს პრეტენზია აღნიშნულ ნივთზე²¹⁹.

სადავოა ის, რომ წარმომადგენელი არის ბოლო მესაკუთრის თუ მხოლოდ მომავალი მესაკუთრის ინტერესების წარმომადგენელია. მეცნიერთა ნაწილი წინააღმდეგია იმ მოსაზრების, რომ წარმომადგენელმა წარმოადგინოს ზოგადად სამომავლო მესაკუთრე²²⁰.

5.3.2.4. წარმომადგენლობა საერთო ინტერესების არსებობისას

გერმანიის ადმინისტრაციული სამართალწარმოების მე-18 მუხლი²²¹ შეიცავს რეგულირებას წარმომადგენლის არსებობის აუცილებლობაზე, როდესაც ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობს 50-ზე მეტი პირი. აღნიშნული გულისხმობს საერთო წარმომადგენლის დანიშვნას საერთო ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული რეგულირება არც ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობისათვის არის უცხო. მხოლოდ საერთო განმცხადებელთა რიცხვი აქ უფრო ნაკლებია და იგი განისაზღვრება 25 პირზე მეტით. საქართველოს ზოგადი

²¹⁷ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს -1896-1849 (კ-10).

²¹⁸ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლის თანახმად, პირი, ვინც უპატრონო მოძრავ ნივთს იღებს თავის მფლობელობაში (in Eigenbesitz nimmt), იძენს მასზე საკუთრების უფლებას. საკუთრების უფლების შექმნა არ ხდება, თუ მისაკუთრება კანონით აკრძალულია ან თუ ფაქტობრივი დაუფლებით ირღვევა სხვა პირის მისაკუთრების უფლება. ხოლო 959-ე მუხლის თანახმად, მოძრავი ნივთი ხდება უპატრონო, თუ მესაკუთრე მასზე საკუთრების უფლებაზე უარის მიზნით ტოვებს ნივთის მფლობელობას.

²¹⁹ იხ. Knack, Kommentar VwVfG, C.Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München, 2011. S.343.

²²⁰ იხ. Ule/ Laubinger, Verwaltungsverfahrensrecht, 3.Auflage, C.Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München, 1986, S.102.

²²¹ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-18 მუხლი, Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG art.18.), <https://dejure.org/gesetze/BVwVfG/18.html>.

ადმინისტრაციული კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად²²², თუკი განცხადება წარადგინა 25-ზე მეტმა პირმა, ასეთ შემთხვევაში განმცხადებლები ვალდებული ხდებიან, დანიშნონ ერთი პირი მათი ინტერესების წარმომადგენლად.

ქართული კანონმდებლობის მსგავსად გერმანული კანონმდებლობაც კოლექტიური განცხადების წარმოებისას დასაშვებად მიიჩნევს, თავად განსაზღვრონ განმცხადებლებმა, თუ ვინ წარმოადგენს მათ ინტერესებს ადმინისტრაციულ ორგანოში. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეები არ ისარგებლებენ აღნიშნული უფლებით, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო თავად უნიშნავს მათ წარმომადგენელს.

ასევე გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-18 მუხლის თანახმად, საერთო ინტერესების წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთი პირი, დაუშვებელია კოლექტიური წარმომადგენლობა განახორციელოს რამდენიმე წარმომადგენელმა.

აღნიშნული რეგულირება გულისხმობს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას დამოუკიდებელი, საკუთარი წარმომადგენლის გარეშე. შეუძლებელია, საერთო წარმომადგენელმა ყველა წარმოდგენილი პირის ნებისმიერი საკითხი გაითვალისწინოს ინდივიდუალურად.

გერმანულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრებები საერთო ინტერესების არსებობისას სავალდებულო წარმომადგენლის დანიშნის თაობაზე²²³. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის შესაბამისი მუხლების არაკონსტიტუციურობის თაობაზე ვარაუდი სხვადასხვა თვალსაზრისს ეყრდნობა:

ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის შესაბამისად²²⁴, ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს შეუძლია, მარწმუნებლების ნების საწინააღმდეგოდ, დაუნიშნოს მათ ერთი საერთო წარმომადგენელი, რომელიც წარმოების პროცესში იმოქმედებს მარწმუნებლების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ისე, რომ მარწმუნებლებს არ გააჩნდეთ მის მიმართ მითითებების უფლება ან მასზე ქმედითი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ მარწმუნებლების სამართლებრივი პოზიციის შეზღუდვა და ხელყოფა მისი ძირითადი უფლებების კუთხით²²⁵.

თუმცა მარწმუნებლებს შეუძლიათ, შედარებით ადვილად „დაუსხლტნენ“ ამ იძულებით თავს მოხვეულ წარმომადგენლობას და მომავალში საკუთარი უფლებები დაიცვან წარმომადგენლის მეშვეობით ან ინდივიდუალური წესით პირადად. მარწმუნებლებს შეუძლიათ

²²² იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 89-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №2181, 25.06.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

²²³ იხ. *Kropshofer, M.*, *Verwaltungsverfahren und Vertretung*, Univ.Diss. Mainz, 1982, S.272; *Knack*, *Kommentar VwVfG*, C.Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München, 2011, S.355; *Kopp/Ramsauer*, *Kommentar VwVfG*, art. 17, Rdn.2; *Ule/ Laubinger*, *Verwaltungsverfahrenrecht*, 3.Auflage, C.Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München, 1986, art.45, Rdn.9

²²⁴ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-17 მუხლის მე-4 ნაწილი, *Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG art.17.)*, <https://dejure.org/gesetze/BVwVfG/18.html>.

²²⁵ იხ. *Kropshofer, M.*, *Verwaltungsverfahren und Vertretung*, Univ.Diss. Mainz, 1982, S.272

ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის თანახმად²²⁶, ნებისმიერ დროს დაასრულონ წარმომადგენელთან ურთიერთობა (ანუ უარი თქვან წარმომადგენელზე). თუ 50 კაცზე მეტი გააუქმებს წარმომადგენლობის ურთიერთობას და მომავალში თავიანთ უფლებების არ განახორციელებენ უფლებამოსილი პირის მეშვეობით, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო ვეღარ დანიშნავს საკუთარი ინიციატივით ერთობლივ წარმომადგენელს.

მარწმუნებელთა მიერ წარმომადგენლობის ურთიერთობის ნებისმიერ მომენტში დამთავრების შესაძლებლობას არ მივყავართ იქამდე, რომ არ გამოირიცხება ნებისმიერი უფლების, განსაკუთრებით, ძირითად უფლებათა დარღვევა, ვინაიდან წარმომადგენლობა მხოლოდ *ex nunc* და არა წარსულისათვის შეიძლება იქნეს გამორიცხული და მოქალაქე იძულებული ხდება, მიმართოს ამ ინიციატივას. წარმომადგენლობის დამთავრების მომენტამდე წარმოების ფარგლებში წარმომადგენლის მიერ განხორციელებული მოქმედებები, ასევე მის მიერ უფლებებთან თუ ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები „ბოჭავენ“ მარწმუნებლებს. ამ უკანასკნელთ წარმომადგენლობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ ამ ბოჭვის ზემოქმედებისაგან გათავისუფლება შეუძლიათ მხოლოდ ზოგადი პრინციპების საფუძველზე, ანუ ძალზე შეზღუდული წინა პირობების ქვეშ, მაგალითად, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული მორიგების გასაჩივრების გზით. მაშინაც კი, როცა მარწმუნებლები, როგორც კი ეს მათთვის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე იქნება შესაძლებელი, ანუ ერთობლივი წარმომადგენლობის ამოქმედებისთანავე, დაამთავრებენ წარმომადგენლობით ურთიერთობას, ისინი შებოჭილი არიან წარმომადგენლის მიერ ამ პერიოდში განხორციელებული მოქმედებებით. ურთიერთობის ნებისმიერ დროს დამთავრების შესაძლებლობა ერთობლივი წარმომადგენლობის თვალსაზრისით, ვერ გამოდგება საიმისოდ, რომ დასაწყისშივე გაიფანტოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეუსაბამობის ეჭვი ერთობლივი წარმომადგენლობის მიმართ²²⁷.

ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის ზემოაღნიშნული რეგულაციები იწვევს აგრეთვე ძირითადი უფლების ხელყოფის ვარაუდს ერთობლივ წარმომადგენლობასთან მიმართებაში. წარმომადგენელი შეიძლება ასეთად მისი ნების საწინააღმდეგოდ დაინიშნოს და იგი დანიშნვისთანავე ვალდებული ხდება, მთელი პასუხისმგებლობით განახორციელოს მარწმუნებლების ინტერესები. თუ იგი ამ მოვალეობას არ შეასრულებს ან შეასრულებს არასათანადოდ, მარწმუნებლებს შეუძლიათ მოითხოვონ მისგან ზიანის ანაზღაურება. მართალია, წარმომადგენელსაც შეუძლია ნებისმიერ დროსა და დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-17 მუხლის მესამე აბზაცისა და მე-18 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად შეწყვიტოს/მოშალოს წარმომადგენლობის ურთიერთობა, მაგრამ ეს მას არ ათავისუფლებს იმ კანონით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან, რომლებიც

²²⁶ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი, *Verwaltungsverfahrensgesetz (Vwfg art.18.)*, <https://dejure.org/gesetze/BVwVfG/18.html>.

²²⁷ იხ. *Kropshofer, M.*, *Verwaltungsverfahren und Vertretung*, Univ.Diss. Mainz, 1982, S.275.

წარმოშობილი იყო წარსულში, ანუ იმ პერიოდში, როცა მოქმედებდა წარმომადგენლობის ურთიერთობა.

5.4. პროცესუალური წარმომადგენლის რეგულირება

რაც შეეხება პროცესუალურ წარმომადგენელს, ეს არის პირი, რომელიც მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ასრულებს სასამართლოში ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით²²⁸. ადმინისტრაციულ პროცესუალური წარმომადგენლის ინსტიტუტს აწესრიგებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი²²⁹. ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოებს მიეკუთვნებიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე ნებისმიერი პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ამიტომ ადმინისტრაციულ პროცესში ერთ-ერთი მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე) აუცილებლად არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც სასამართლოში წარმოადგენს ხელმძღვანელი ან თანამდებობის ის პირი ან საჯარო მოხელე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს და რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო დანიშნავს თავის წარმომადგენლად.

სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმე აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ამ ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურე, ასევე ადვოკატი ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირი. კერძოდ, ნებისმიერი სამინისტრო, რომელიც ადმინისტრაციულ პროცესში მხარეს წარმოადგენს, იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მინისტრის სახით. მინისტრს ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად რაიმე დოკუმენტის წარდგენა არ ესაჭიროება. მაგრამ, თუკი ადმინისტრაციულ პროცესში მოპასუხე ან მოსარჩელე მხარეს წარადგენს ამ ორგანოში მომუშავე პირი, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ბეჭდით დამოწმებული მინდობილობა.

ზემოთ განხილული წარმომადგენლობა ორგანიზაციის წარმომადგენლის სახეობაა. აქვე საინტერესოა განხილული იქნეს კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში მონაწილეობენ წარმომადგენლის მეშვეობით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად²³⁰, ხელმძღვანელობის, ორგანიზაციის

²²⁸ იხ. თ. ლილეუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2007, გვ.183.

²²⁹ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-15 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>).

²³⁰ შეად. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №577, 28.10.1994, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408>).

წარმომადგენლობის უფლება აქვთ: სოლიდარულ პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), ხოლო კომპლემენტური იურიდიული პირის შემთხვევაში მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს. ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალურ მეწარმესაც აქვს უფლება, მისცეს წერილობითი მინდობილობა ამა თუ იმ პირს. ამასთან, ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს თითოეული პარტნიორი, ხოლო კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში მსგავსი უფლებამოსილების განმასრულებლად საწარმოს კანონიერი წარმომადგენლები, კერძოდ, დირექტორები გვევლინებიან²³¹.

5.5. წარმომადგენლობის ცალკეული სახეები:

5.5.1. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი

ნოვაციას წარმოადგენს ადმინისტრაციულ პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა წარმომადგენლად. 2011 წლის 7 აპრილს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად²³², ეს ეხება ორ შემთხვევას: პირველი, როდესაც დავის საგნის ღირებულება აღემატება 500.000 ლარს და მეორე, როდესაც საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება²³³. ასეთ შემთხვევებში აღმასრულებელი ხელისუფლება მიმართავს იუსტიციის სამინისტროს და ითხოვს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნას. ასეთ შემთხვევებში წარმომადგენლად დანიშვნის წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე²³⁴. აღნიშნული ბრძანების

²³¹ საწარმოს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გამოვლენილ ნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პროკურა. პროკურა განიმარტება, როგორც გარიგებით-სამართლებრივი წარმომადგენლობა გენერალური სავაჭრო მინდობილობის სახით. იგი წარმოადგენს წარმომადგენლობის განსაკუთრებულ სახეს, რომლის მოცულობა განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (შეად. ი. ყანდიაშვილი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან“, ჟურნალი ადვოკატი, №1, 2011, გვ. 79-89.)

²³² შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>).

²³³ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №2352, 23.07.1999, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>).

²³⁴ შეად. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №102, (29.05.2009) 500000 ლარზე მეტი ღირებულების დავის საგნის ან/და ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულის მქონე საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართვის, საქმის მასალების

მე-4 მუხლის თანახმად²³⁵, საქართველოს იუსტიციის მინისტრი აღნიშნულ საქმეებში იუსტიციის სამინისტროს ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უზრუნველყოფს, წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ თანამდებობის პირს ან სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც მუშაობს ამ დაწესებულებაში.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე (გარდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავისა), აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც საქმის მონაწილეა, ვალდებულია, სასამართლო დავის არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 2 დღის ვადაში წერილობით მიმართოს იუსტიციის სამინისტროს და მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული სრულყოფილი დოკუმენტაცია²³⁶. იუსტიციის სამინისტრო კი მიმართვიდან 3 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე იუსტიციის სამინისტროს ჩართვის ან ჩართვაზე უარის თქმის თაობაზე²³⁷.

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტრომ შეიძლება მიიღოს საქმეზე ჩართვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია, შემდგომში საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მიიღოს გადაწყვეტილება ამავე საქმეში ჩართვის თაობაზე და მოითხოვოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების წარმომადგენლად იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის მიღწევა, რომ იუსტიციის წარმომადგენლებს არ გაუჩნდეთ ე.წ. „შინაურულობის“ შეგრძნება და არ მოხდეს, სამართალწარმოების დაჩქარებისა თუ გამარტივების მიზნით, საპროცესო გარანტიების, ფაქტობრივად და სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების იგნორირება. საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირები ნეიტრალური მაცურებლის წინაშე უნდა აკმაყოფილებდნენ მიუკერძოებლობის მოთხოვნებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, სულ ასეთი კატეგორიის 36 საქმეში ჩაერთო იუსტიციის სამინისტრო, ხოლო 40 საქმეში ჩართვაზე უარი ეთქვათ ადმინისტრაციულ ორგანოებს. იმ საქმეებიდან, რომელშიც ჩაერთო

მოძრაობისა და წარმომადგენლის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე. www.matsne.gov.ge

²³⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №102, მე-4 მუხლი (29.05.2009) 500000 ლარზე მეტი ღირებულების დავის საგნის ან/და ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულის მქონე საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართვის, საქმის მასალების მოძრაობისა და წარმომადგენლის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე. www.matsne.gov.ge

²³⁶ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №102 (29.05.2009), მე-2 მუხლი, 500000 ლარზე მეტი ღირებულების დავის საგნის ან/და ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულის მქონე საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართვის, საქმის მასალების მოძრაობისა და წარმომადგენლის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე.

²³⁷ იქვე, მე-3 მუხლი.

იუსტიციის სამინისტრო 32 საქმე ადმინისტრაციული, ხოლო 4 სამოქალაქო წესით იქნა სასამართლოს მიერ განხილული²³⁸.

ამრიგად, ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს წარმომადგენლის როგორც ნებაყოფლობით, ისე სავალდებულო დანიშვნის წესს და, ამასთან, ადმინისტრაციულ ორგანოებს ანიჭებს უფლებას, სასამართლოში თავიანთი ინტერესების დასაცავად საქმე აწარმოონ წარმომადგენლის ან ადვოკატის მეშვეობით.

5.5.2. გადასახადის გადახდელის წარმომადგენელი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლი²³⁹ არეგულირებს გადასახადის გადახდელის წარმომადგენლის ინსტიტუტს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო სამართალში ეხვედებით ორი სახის საგადასახადო წარმომადგენლობას. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი გამოყოფს: ა. კანონისმიერ წარმომადგენლობას (კანონიერი წარმომადგენელი); ბ. წარმომადგენლობა უფლებამოსილი პირის მეშვეობით (უფლებამოსილი წარმომადგენელი).

საგადასახადო კოდექსი წარმომადგენლის სახეების განმარტებას ახდენს საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე და განმარტავს, თუ წარმომადგენლობა პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან ან სადამფუძნებლო დოკუმენტიდან, მაშინ სახეზეა კანონისმიერი წარმომადგენლობა, ხოლო, თუ წარმომადგენლობა წარმოიშობა მარწმუნებლის თავისუფალი ნების შედეგად, სახეზეა წარმომადგენლობა უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად²⁴⁰, გადასახადის გადახდელის უფლებამოსილ წარმომადგენლად ითვლება პირი, რომელიც გადასახადის გადახდელის რწმუნებით, უფლებამოსილია, წარმოადგინოს მისი ინტერესები საგადასახადო ორგანოებთან ან/და საგადასახადო ურთიერთობების სხვა მონაწილეებთან ურთიერთობებში, აგრეთვე სასამართლოში.

გადასახადის გადახდელის უფლებამოსილი წარმომადგენელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარების მიხედვით, გადასახადის გადახდელის უფლებამოსილი წარმომადგენელი შეიძლება იყოს როგორც სამეწარმეო (კომერციული), ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიც. როგორც წესი, სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები (შპს, სს, კს, სპს კოოპერატივი) საქმიანობას ახორციელებენ მოგების მიღების მიზნით. შესაბამისად, საგადასახადო წარმომადგენლობას ამ შემთხვევაში სასყიდლიანი ხასიათი გააჩნია. სასყიდლიანი საგადასახადო წარმომადგენლობის საფუძველი შეიძლება იყოს, მაგალითად, ხელშეკრულება სასყიდლიანი

²³⁸ აღნიშნული ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან პირად ელ-ფოსტაზე (20.05.2012. tskhadadze@constcourt.ge).

²³⁹ შეად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №3591, 17.09.2010, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>.

²⁴⁰ შეად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №3591, 17.09.2010, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>.

იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ, დავალების ხელშეკრულება და ა. შ.²⁴¹.

გადასახადის გადამხდელის უფლებამოსილი წარმომადგენელი წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის ინტერესებს არა მხოლოდ საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობებში, არამედ საგადასახადო კანონმდებლობით რეგულირებადი ურთიერთობების სხვა მონაწილეებთან (მაგალითად, საგადასახადო აგენტებთან და ა.შ.) ურთიერთობებშიც.

საგადასახადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებს სამართლებრივ მოქმედებათა განხორციელებისას ადგენს მინდობილობის შინაარსი. მინდობილობა განსაზღვრავს წარმომადგენლის უფლებამოსილების მოცულობას. საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად²⁴², საწარმოს (ორგანიზაციის) უფლებამოსილი წარმომადგენელი მოქმედებს ამ საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, ასეთი მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

მინდობილობა შეიძლება მიეცეს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. უკანასკნელ შემთხვევაში იურიდიული პირი მოქმედებს თავისი მმართველობის ორგანოების მეშვეობით. მინდობილობა შეიძლება მიეცეს ერთ ან რამდენიმე პირს. იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობა გაცემულია რამდენიმე პირზე, ყველა მათგანი სახელობით უნდა აღინიშნოს მინდობილობაში²⁴³.

საგადასახადო კოდექსი არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც არ გააჩნიათ გადასახადის გადამხდელის უფლებამოსილი წარმომადგენლობის უფლება. ბუნებრივია, აქ რეგულირება ხდება იმ საერთო წესის თანახმად, რომელიც დადგენილია ადმინისტრაციულ სამართალში. აქვე კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული სამართალი არ წარმოადგენს ჩაკეტილ სისტემას და შესაბამისად გარკვეული საკითხების მოწესრიგება ხდება სხვადასხვა ნორმების, კერძოდ, სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა სამართლის ანალოგიის გამოყენების გზით.

5.5.3. წარმომადგენლობა სახელმწიფოს ხარჯზე

სახელმწიფო უზრუნველყოფს ფიზიკური პირის იურიდიულ კონსულტაციას და დახმარებას სახელმწიფოს ხარჯზე. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ 2007 წლამდე, საქართველოს პარლამენტის მიერ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა უფასო წარმომადგენლობით

²⁴¹ შეად. ლ.ნადარაია, ზ.როგავა, კ.რუხაძე, ბ.ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, §§1-155, EWMIL, თბილისი, 2012. გვ.75.

²⁴² შეად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №3591, 17.09.2010, (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>).

²⁴³ შეად. ლ.ნადარაია, ზ.როგავა, კ.რუხაძე, ბ.ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, §§1-155, EWMIL, თბილისი, 2012. გვ.76.

სარგებლობის უფლებას. უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლამდე არსებული რეგულირებით გათვალისწინებული იყო მხოლოდ ადვოკატით სარგებლობის უფლება სახელწიფო ხაზინის ხარჯზე.

2007 წლის 19 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“²⁴⁴, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული დაცვის უფლების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი, სოციალურ მოთხოვნაზე ორიენტირებული, მდგრადი და საიმედო იურიდიული დახმარების სისტემის შექმნა²⁴⁵. აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონი იურიდიული დახმარების სახეობად გამოყოფს ორი სახის წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ სამართლის საქმეებზე. კერძოდ: წარმომადგენლობას სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით და წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოში²⁴⁶.

აღნიშნული კანონი ადგენს იურიდიული დახმარების პირობებს, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია, თუ პირი გადახდისუუნაროა და ამას მოითხოვს მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესები. ამასთან, კანონი ადგენს, იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის დამატებით პირობას. კერძოდ, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი²⁴⁷.

იმ პირობათვის, რომლებიც ამ კანონის მიზნებისათვის გადახდისუუნაროდ ითვლებიან, გადახდისუუნარობის დადასტურების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

²⁴⁴ იხ. იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, №4955, 19.06.2007, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604>.

²⁴⁵ შეად. იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, პირველი მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №4955, 19.06.2007, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604>.

²⁴⁶ შეად. იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №4955, 19.06.2007, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604>.

²⁴⁷ შეად. იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №4955, 19.06.2007, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604>.

თავი 6.
ადვოკატი როგორც წარმომადგენელი, განსხვავება მათ შორის

6.1. ადვოკატი როგორც წარმომადგენელი, განსხვავება მათ შორის

ადვოკატის და წარმომადგენლის ინსტიტუტების განხილვა და მათი შედარებით სამართლებრივი ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ორივე სამართლებრივი ინსტიტუტის შემთხვევაში, როგორც იურიდიული დახმარების სახეებისა, ადგილი აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელებას, რაც დაკავშირებულია პირის კანონიერი ინტერესების დაცვასთან.

შესაბამისად, როგორც ადვოკატის, ისე წარმომადგენლის არსებობა, პირველ რიგში, ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლების განხორციელების წინა პირობას წარმოადგენს. ამიტომ მნიშვნელოვანია, როდესაც წარმომადგენლის ინსტიტუტზე არის საუბარი, იქვე განხილული იქნეს ადვოკატის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება. ასევე მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ამ ორი ინსტიტუტის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

როგორც უკვე აღინიშნა, დაცვის უფლებიდან გამომდინარე, ნებისმიერი პირი (იურიდიული თუ ფიზიკური პირი) უფლებამოსილია, მისთვის სასურველი წარმომადგენლის მეშვეობით – მათ შორის, ადვოკატის და იურისტის კვალიფიკაციის არმქონე პირის მეშვეობით – დაიცვას საკუთარი უფლებები. გარდა ამისა, ნებისმიერ პირს უფლება აქვს, პირადად წარმოადგინოს საკუთარი თავი სასამართლოს ყველა ინსტანციაში და პირადად დაიცვას საკუთარი უფლებები. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, რაც ნაშრომის წინა თავებში იქნა განხილული, კანონმდებლობა ითვალისწინებს სავალდებულო წესით წარმომადგენლის ყოლასაც.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით წარმომადგენლის სავალდებულო წესით დანიშვნის გარდა, დადგენილია ადვოკატის სავალდებულო წარმომადგენლობაც, რათა პროფესიულად უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებების დაცვა. ამ შემთხვევაში გამოიკვეთება ადვოკატის საჯარო ფუნქცია და მისი საჯარო კონტროლი, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, განპირობებულია ადვოკატის პროფესიის მაღალი ფუნქციური დანიშნულებით, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში²⁴⁸. ამასთან, ადამიანის უფლებების დაცვა ადვოკატის უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ფუნქციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მან გარანტირებული გახადოს დაცვის უფლება, რაც, ცხადია, გულისხმობს ადამიანის არა მარტო

²⁴⁸ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/5/323 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, ნინო არჩვაძე და შორენა ოსკოპელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (III. მე-3 აბზ.).

ადვოკატით უზრუნველყოფას, არამედ კვალიფიციური და ეფექტური დაცვის განხორციელებას. ყოველივე ეს განაპირობებს ადვოკატის საქმიანობის სახელისუფლებო ფუნქციებთან სიახლოვეს და ადვოკატურის საჯარო ორგანიზაციის ფორმის მიზანშეწონილობას.

ადვოკატი ნებაყოფლობითი წარმომადგენლობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მაგრამ მათ შორის არსებული მთელი რიგი განსხვავებებით. პირველი, რაც განასხვავებს ადვოკატს წარმომადგენლისაგან არის ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რაც დაწესებულია ადვოკატისთვის. საქართველოში მოქმედი წესის თანახმად, ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს იურიდიული განათლება და გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და, ამასთან, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი²⁴⁹. ადვოკატისადმი წაყენებული ზემოაღნიშნული მოთხოვნები, პირველ რიგში, ეხება პირის განათლებას და პროფესიულ გამოცდილებას. ამ შემთხვევაში პირის ინტერესების დაცვისათვის აუცილებელია იურიდიული განათლება, მაშინ როცა წარმომადგენლობის შემთხვევაში, პირის ინტერესების წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ პირს, მიუხედავად მისი იურიდიული განათლებისა. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნები ხაზს უსვამს ადვოკატის სტატუსს, მაღალი სტანდარტის უფლებების დაცვის კუთხით.

როდესაც საუბარია იურიდიული დახმარების ზემოაღნიშნული სახეების ურთიერთგამიჯვნის პრობლემაზე, მხედველობაშია მისაღები პასუხისმგებლობის საკითხიც. ადვოკატის საქმიანობა ემყარება საიდუმლოების პრინციპს. საადვოკატო საიდუმლოება მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ადვოკატმა მიმდროისგან მიიღო. საადვოკატო საიდუმლოება არის სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ადვოკატის მიერ იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად. შესაბამისად, საადვოკატო საიდუმლოების დასაცავად მიზანშეწონილია, რომ საადვოკატო საიდუმლოება ფართოდ იყოს ინტერპრეტირებული, რათა მან მოიცვას კლიენტისგან ადვოკატისთვის მიცემული ინფორმაცია, რომელთა გავრცელება კლიენტისთვის არასასურველია²⁵⁰. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, მისი დარღვევისათვის ითვალისწინებს პასუხისმგებლობას. სწორედ იურიდიული დახმარების ამ ორ სახეს შორის კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანს საიდუმლოების გამჟღავნებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი წარმოადგენს, ვინაიდან შესაბამისი პასუხისმგებლობის სახეს წარმომადგენლობის ინსტიტუტის რეგულირებისას არ ვხვდებით.

მიუხედავად ამისა, ადვოკატის და წარმომადგენლის საერთო დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ორივე შემთხვევაში, საქმე გვაქვს „სხვისი ინტერესების“ დაცვაზე. ადვოკატი, როგორც წარმომადგენელი, სამართალწარმოების მონაწილეა, რომელიც ახორციელებს განსაზღვრულ პროცესუალურ ფუნქციას და მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებები და მოვალეობები. აქვე საინტერესოა განვიხილოთ,

²⁴⁹ იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-10 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

²⁵⁰ იხ. *Красавчикова Л.*, *Личная жизнь граждан под охраной закона*, М., 1983, с. 153.

როგორც ადვოკატის, ისე წარმომადგენლის საქმიანობის განხორციელების საფუძველი. ორივე შემთხვევაში უფლებამოსილების დაწყების საფუძველია ურთიერთშეთანხმება მარწმუნებელსა და რწმუნებულ პირს შორის. შეთანხმება ადვოკატსა და კლიენტს შორის შესაძლებელია დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად²⁵¹, აღნიშნული შეთანხმება განიხილება როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი ხელშეკრულებით ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე ქმედება კლიენტის სახელით და ხარჯზე. მაგრამ მიუხედავად დავალების ხელშეკრულების დადებისა ადვოკატსა და კლიენტს შორის, ასევე ადვოკატის საქმიანობის დაწყების აუციელებელ პირობას წარმოადგენს ნოტარიულად გაფორმებული მინდობილობა, რომელიც ადვოკატს ანიჭებს უფლებას, წარმოადგინოს მისი კლიენტის კანონიერი ინტერესები. აღნიშნული აუცილებელი პირობა საერთოა, როგორც ადვოკატის, ისე წარმომადგენლობის ინსტიტუტისათვის.

ადვოკატს, როგორც პირის წარმომადგენელს, ტერმინოლოგიურად ვხვდებით ასევე საკანონმდებლო აქტებშიც. კერძოდ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად²⁵², ადვოკატი კლიენტის წარმომადგენლობას ახორციელებს საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, ასევე არბიტრაჟში და სხვა ორგანოებში. ასევე, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი²⁵³ ადგენს ადვოკატის უფლებას, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის უფლებები და თავისუფლებები.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, „დაცვა“ და „წარმომადგენლობა“ ეს არის ორი განსხვავებული და დამოუკიდებელი ინსტიტუტი. შესაბამისად, ამ სამართლებრივი ცნებების აღრევა დაუშვებელია. „დაცვა“ განმარტებულია როგორც სისხლის სამართლებრივი საპროცესო ინსტიტუტი, ხოლო „წარმომადგენლობა“ კი არის შერეული, რომელიც შეიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების სამოქალაქო-სამართლებრივ ელემენტებს²⁵⁴.

ასევე არსებობს მოსაზრებები, რომლის თანახმადაც, დამცველი „სასამართლოს თანაშემწის“ როლს ასრულებს. იგი ეხმარება სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში და კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანაში²⁵⁵. მაგრამ აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ადვოკატის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს არა სასამართლოსათვის ხელის შეწყობა, არამედ იმ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომელმაც მიმართა მას იურიდიული დახმარებისათვის. მაგრამ

²⁵¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁵² შეად. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

²⁵³ შეად. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

²⁵⁴ იხ. *Кожевников, А.В.*, Адвокат-представитель потерпевшего, гражданского истца, гражданского ответчика в СУП. Автореф. дисс. канд. юр. наук, Свердловск, 1974, с.10.

²⁵⁵ იხ. *Стецовский, Ю.И.*, Адвокат в уголовном судепроизводстве. М., 1979, с.61.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, საბოლოოდ მათი საქმიანობა ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ, თუ წმინდა ტერმინოლოგიური განმარტებით ვიხედმდვანელებთ, პიროვნების ინტერესების წარმოდგენა გარკვეულწილად მოიცავს ამ ინტერესების დაცვასაც და პირიქით, დაცვა ყოველთვის გულისხმობს წარმომადგენლობასაც²⁵⁶.

6.2. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პრინციპები

როგორც მარწმუნებლისა და წარმომადგენლის, ისე ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მათი უფლება-მოვალეობები. ადვოკატის საქმიანობის ამოსავალი წერტილია კლიენტის ინტერესები. ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და კლიენტის ინტერესები ყველაზე წინ დააყენოს²⁵⁷. იგი უნდა დაეხმაროს კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღოს ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად²⁵⁸. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით²⁵⁹.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადვოკატის პროფესია თავისუფალ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება²⁶⁰, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატი უპირველეს ყოვლისა უნდა ემსახურებოდეს სამართლიანობის ინტერესებს და მათ, ვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაც აკისრია. გარდა ამისა, ადვოკატის მოვალეობაა არა მხოლოდ კლიენტის პოზიციის დაცვა, არამედ იგი ვალდებულიცაა, იყოს მისი მრჩეველი²⁶¹. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ადვოკატის როლისა და მოვალეობების განსაზღვრისას უთითებს ადვოკატის ვალდებულებაზე, რომ ყველა სამართლებრივი ქმედებები განახორციელონ თავიანთი კლიენტების უფლებებისა და ინტერესების

²⁵⁶ იხ. *ა. აქუბარდია*, დამცველის პროცესუალური მდგომარეობა, იურიდიული მეცნიერებანი, რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, №1(6), გვ.9.

²⁵⁷ იხ. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მე-2 მუხლის მე-7 ნაწილი, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebris_qcevis_kodeqsi.pdf.

²⁵⁸ იხ. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, პარაგრაფი 15, მიღებული (27.08-07.09.1990) გაერთიანებული ერების მერვე კონგრესის მიერ დანაშაულის აღმოფხვრისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპერობის შესახებ, http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gl_12_gaerTianebulierebisadamianisuflebaTadokumentebi.pdf.

²⁵⁹ იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

²⁶⁰ შეად. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, პირველი მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

²⁶¹ იხ. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, პიველი მუხლის პირველი ნაწილი, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebris_qcevis_kodeqsi.pdf.

დავის, პატივისცემისა და რეალიზაციის მიზნით²⁶². ქართული კანონმდებლობაც მიუთითებს ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემასა და დაცვაზე²⁶³.

საადვოკატო საქმიანობა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, შემოიფარგლება ადვოკატის მიერ რჩევის მიცემით იმ პირისათვის, ვინც მას დახმარებისათვის მიმართა, ასევე, იგი უფლებამოსილია, წარმოადგინოს კლიენტი საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, ასევე არბიტრაჟში, დაკავებისა და გამოძიების ორგანოებში. ადვოკატი ეხმარება კლიენტს მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში და კლიენტის სახელით ახდენს ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას, ასევე, ის ახორციელებს ისეთ იურიდიულ დახმარებას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ზემოთ აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი აღიარებს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, მის დამოუკიდებლობას²⁶⁴. შესაბამისად, ადვოკატი თავის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში თავისუფალია, დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია. ადვოკატის თავისუფლება და დამოუკიდებლობა გარანტირებულია ასევე ადვოკატთა ეთიკის კოდექსით, რომელიც მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ადვოკატის საქმიანობის განხორციელების პროცესში. ადვოკატთა ეთიკის კოდექსის თანახმად, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველნაირი გარეშე გავლენისაგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს²⁶⁵.

ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში ეყრდნობა ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორებიცაა პროფესიული საიდუმლოების დაცვა, კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და კანონიერება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის პრინციპის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც უნდა დაიცვას ადვოკატმა თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში. ვინაიდან კლიენტი ანდობს მას ნებისმიერ ინფორმაციას, ამ დროს კლიენტს აქვს ნდობა თავისი ადვოკატის მიმართ და ასევე მოლოდინი, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ გახდება ცნობილი სხვა პირთათვის. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის გახდა ცნობილი მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია, რომლის დაცვის ვალდებულებაც მას ეკისრება. მაგრამ, ამასთან ადვოკატთა

²⁶² იხ. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec 2001, 21, III პრინციპი, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

²⁶³ შეად. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

²⁶⁴ შეად. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

²⁶⁵ იხ. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf.

პროფესიული ეთიკის კოდექსი უშვებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც დასაშვებია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება. ეს ეხება სამ შემთხვევას, როდესაც ეს ხდება კლიენტის თანხმობის საფუძველზე, ასევე თუ ინფორმაციის გამოყენება დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისათვის წინასწარ არ აუკრძალავს ან თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებებისაგან ან მოთხოვნისაგან თავის დასაცავად, ან საკუთარი პონორარის მიღებისათვის²⁶⁶.

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის თანახმადაც აღიარებულია კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის პრინციპი. აღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლის²⁶⁷ შესაბამისად, ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. კოდექსის თანახმად, აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს.

ადვოკატი ვალდებულია, ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კლიენტს. აღსანიშნავია ეთიკის კოდექსისა და სპეციალური კანონის ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნება, კერძოდ: ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნორმა სახელდება „ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი“, ხოლო კანონის შესაბამისი ნორმა - ინტერესთა შეუთავსებლობაზე უთითებს²⁶⁸.

კანონის მე-8 მუხლში ჩამოყალიბებულია²⁶⁹, თუ რა შეიძლება იქნეს მიხნეული ინტერესთა შეუთავსებლობად, რომლის არსებობის ან წარმოშობის შემთხვევაში ადვოკატს ევალება, აცნობოს ამის თაობაზე კლიენტს. აღნიშნული მუხლის თანახმად, ინტერესთა შეუთავსებლობად მიიხნევა ადვოკატის ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. ასევე ინტერესთა შეუთავსებლობად ჩაითვლება, თუ ადვოკატმა იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ. ამასთან, დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან

²⁶⁶ იხ. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pd.

²⁶⁷ იხ. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-3 მუხლი, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pd.

²⁶⁸ იხ. *მკვაჭაძე, ეგახიტაშვილი, კობჭორიშვილი, იკორძია*, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით, 25.11.2011, გვ.20.

²⁶⁹ შეად. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-8 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპებს შორის უთითებს, რომ ადვოკატი ვალდებულია, არ დაუშვას ინტერესთა კონფლიქტი²⁷⁰. ასევე კოდექსი განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება გამოვლინდეს ინტერესთა კონფლიქტი²⁷¹. კერძოდ, სსენებული ნორმის მიხედვით, ადვოკატს უფლება არ აქვს, პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, თუკი არსებობს აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის ინტერესთა კონფლიქტი. სსენებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, საუბარია ერთსა და იმავე საქმეზე ორ ან მეტ კლიენტს შორის უკვე არსებულ ინტერესთა კონფლიქტზე, რა შემთხვევაშიც ადვოკატს უფლება არ აქვს გასწიოს კონსულტაცია ან იყოს კლიენტების წარმომადგენელი. ამავე ნორმით დადგენილია, რომ ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ, მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე საქმეზე, თუკი, ამ კლიენტებს შორის უკვე არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან ამ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე²⁷².

ინტერესთა კონფლიქტის ზემოხსენებული გამოვლინებები დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც წინასწარ არ იყო სახეზე ინტერესთა კონფლიქტი, არამედ წარმოიშვა საქმისწარმოების პროცესში ან წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე საქმის წარმოების პროცესში²⁷³. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმისწარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა. თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე ან არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე²⁷⁴.

ამასთან, აღსანიშნავია, ეთიკის კომისიის პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, კომისიამ კლიენტის მიერ ადვოკატის საწინააღმდეგოდ წარდგენილი რამდენიმე საჩივარი განიხილა და განმარტა ინტერესთა კონფლიქტისა და კლიენტის ინტერესების პროპორციულობის საკითხები²⁷⁵.

²⁷⁰ შეად. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pd.

²⁷¹ შეად. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pd.

²⁷² იხ. *მკვაჭაძე, ეგასიტაშვილი, კბოჭორიშვილი, ი.კორძია*, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით, 25.11.2011, გვ. 21.

²⁷³ შეად. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-6 მუხლის მე-4 ნაწილი, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pd.

²⁷⁴ შეად. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი, http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf.

²⁷⁵ ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საქმეზე № 027/11 ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ადვოკატი მომსახურებას ეწეოდა ორი კლიენტის სასარგებლოდ, მათივე თანხმობით და მათი ინტერესის საერთო ობიექტის - უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების თანაბარწილად რეგისტრაციის მიზნით. მაშინ, როდესაც ერთმა კლიენტმა „ა“-მ ადვოკატს უარი უთხრა საადვოკატო მომსახურებაზე და გამოართვა მას საკუთარი დოკუმენტაცია, ადვოკატს აღნიშნული უნდა

აღნიშნული გარანტიები, პირველ რიგში, ემსახურება კლიენტის ინტერესების დაცვას და მართლმსაჯულების განხორციელებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით, ისე საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პრინციპების დაცვა და უზრუნველყოფა ადვოკატთა მიერ თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში.

6.3. სასამართლოს უარი იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი

ადვოკატისა და წარმომადგენლობის გამიჯვნის საკითხის გარკვევისათვის აუცილებელია, გაანალიზებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ინ ნორმა, რომელიც ეხება ისეთი პირის წარმომადგენლად ჩართვაზე უარის თქმას პროცესში, რომელიც არ არის ადვოკატი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი შეიცავს დებულებას²⁷⁶, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუკი მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები, რათა დაიცვას წარმოდგენილი პირის ინტერესები.

აღნიშნული მუხლით დადგენილი წესი ემსახურება მხარის უფლების რეალურად დაცვის ინტერესებს²⁷⁷. ასევე, ეს რეგულირება მიზნად ისახავს სამართალწარმოების ეფექტური განხორციელებისათვის

ეცნობიბებინა მეორე კლიენტ „ბ“-სთვის. კომისიამ განმარტა: „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განხორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“. ამ შემთხვევაში ადვოკატის ერთ-ერთი კლიენტი მისი ახლობელი იყო.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით განმარტებულია: „ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც ადვოკატი აწარმოებდა სამართლებრივ საქმეს კლიენტის ინტერესების დასაცავად და ყოფილი კლიენტის და ამჟამად არსებული კლიენტის ინტერესებს შორის წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი, რაც მათ შორის სამოქალაქო საპროცესო წესით წარმოებულ დავაში გამოიხატა. ...ასეთ შემთხვევაში - ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს კლიენტის საქმის წარმოება, რადგან ყოფილი კლიენტის მიმართ შესაძლოა გაჩნდეს კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევის რისკი“. კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ: „კლიენტსა და ადვოკატს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ ადვოკატს კვლავ გააჩნია ვალდებულება, ყოფილი კლიენტის მიმართ კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამჟამად არსებულ და ყოფილ კლიენტს შორის შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე“.

²⁷⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №824, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁷⁷ იხ. *თ.ლილეაშვილი, ე.ხრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა სანი, თბილისი, 2007, გვ.184.

ხელის შეწყობას და, პირველ რიგში, მხარეთა უფლებების დაცვას, ვინაიდან, თუკი სასამართლოსათვის აშკარაა, რომ მხარის მიერ შერჩეული წარმომადგენელი ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, სათანადოდ დაიცვას მის მიერ წარმოდგენილი პირის კანონიერი ინტერესები, სასამართლო იტოვებს უფლებას, რომ ასეთ შემთხვევაში უარი თქვას ამ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე და ჩამოაშოროს იგი სასამართლო პროცესს.

ზემოაღნიშნული შემთხვევის არსებობისას სასამართლოს უარი პირის წარმომადგენლად დაშვებაზე შეიძლება ეფუძნებოდეს იმ გარემოებებს, რომელთა თანახმადაც, სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წარმოდგენილ პირს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა, ასევე შესაბამისი გამოცდილება სასამართლოში საქმის წარმოებისათვის ან პირი ვერ ასრულებს კანონით გათვალისწინებულ მის უფლებამოვალეობებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი²⁷⁸ ეხება იმ წარმომადგენლებს, რომლებიც არ არიან ადვოკატები. ვინაიდან იგულისხმება, რომ ადვოკატებს გააჩნიათ საკმარისი უნარი და ცოდნა, წარმართონ საქმე სასამართლოში და დაიცვან მხარის ინტერესები. შესაბამისად, აქ იგულისხმებიან როგორც ნებაყოფლობითი, ისე კანონიერი და ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება, რომ გამოვიდნენ მათი მარწმუნებლის უფლებების დამცველებად.

როდესაც საუბარია ზემოაღნიშნულ რეგულაციაზე, მხედველობაშია მისაღები ამ მუხლის ისტორიული განვითარება. ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, რის საფუძველზეც მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დღეისათვის აღნიშნული მუხლის სახეცვლილი რეგულაცია მოქმედებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა დავა საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ²⁷⁹. დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის ის ნაწილი, რომლის თანახმადაც, პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ საჩივრდება. საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ ხდიდა სწორედ ამ დებულებას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, დაცვის უფლება გარანტირებულია.

მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული ჩანაწერი იმიტომ იყო პრობლემური, რომ სადავო ნორმის მიხედვით, სასამართლო უარს აცხადებს პირის წარმომადგენლად დაშვებაზე იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნია საკმარისი მონაცემები, ვინაიდან კანონმდებელი არ განმარტავდა, თუ რა იგულისხმება „საკმარის მონაცემებში“ და, შესაბამისად,

²⁷⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №824, 27.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁷⁹ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/186.

შეფასების კრიტერიუმის დადგენა მხოლოდ სასამართლოს სუბიექტურ ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ პირობებში მოსარჩელე არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოროტად გამოყენებით, შეეცდებოდა მისთვის არასასურველი წარმომადგენლის ჩამოშორებას, რასაც მოჰყვება მხარის უფლების შელახვა. სადავო ნორმით კი განჩინება წარმომადგენლის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმა ხელყოფდა მხარის უფლებას – თავად აერჩია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული დაცვის უფლების განხორციელების გზა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის სადავო წინადადება ლახავდა დაცვის უფლებას და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ, ვინაიდან „საკმარისი მონაცემები“ არ არის კანონმდებლის მიერ განმარტებული, იგი მთლიანად სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული, აქედან გამომდინარე, სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია, რომ განჩინება პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, შესაძლოა ზოგჯერ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად იქნეს მიღებული. ამგვარი განჩინების გასაჩივრების აკრძალვა კი წარმომადგენლის ფუნქციის და მისი დანიშნულების გათვალისწინებით, შესაბამისი მხარის დაცვის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის მომასწავლებელია. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია კერძო საჩივრის დასაშვებობის დარეგულირება. ვინაიდან მხარე ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დარჩეს წარმომადგენლის გარეშე, რის გამოც იგი სათანადოდ ვერ მოახდენს გავლენას სასამართლო პროცესსა და გადაწყვეტილებაზე²⁸⁰.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პირის წარმომადგენლად არდაშვების შესახებ განჩინების გასაჩივრების აკრძალვით, ერთგვარად იზღუდება შესაბამისი მხარის სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთ ვითარებაში პირს წაერთმევა უფლება, ისარგებლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებით „დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს“. შესაბამისად, მხარის მიერ თავისი სურვილით არჩეული წარმომადგენლის დაშვებაზე უსაფუძვლო უარის თქმით და შესაბამისი განჩინების გასაჩივრების აკრძალვით მხარე აღმოჩნდება უთანასწორო პირობებში²⁸¹.

სადავო ნორმასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ითვალისწინებს სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად დებულებებს, კერძოდ, დისპოზიციურობას და შეჯიბრებითობას. სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების

²⁸⁰ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/186 (სამოტივაციო ნაწილი).

²⁸¹ იხ. იქვე.

შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხარის უფლება, რომ სასამართლოში საქმე აწარმოოს თავისი ნება-სურვილით შერჩეული წარმომადგენლის მეშვეობით. ამიტომაც, სასამართლოს განჩინებაზე ადვოკატის სტატუსის არამქონე პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ უნდა შეიძლებოდეს კერძო საჩივრის შეტანა. ამით მხარეს ექნება ასეთი განჩინების გასაჩივრების უფლება შესაბამისი გადაწყვეტილებისაგან განცალკევებით და მის გამოტანამდე. ეს იქნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ პრინციპის შესატყვისი, რომლის თანახმადაც, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება საქმის განხილვის დამაბრკოლებელ განჩინებებზე²⁸².

2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სადავოდ გამხდარი დებულება და, შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა აღნიშნული ჩანაწერი „სასამართლოს განჩინება ასეთი უარის შესახებ არ საჩივრდება“. აღსანიშნავია ასევე 2005 წლის 16 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი²⁸³ და ჩაიწერა ახალი რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას სასამართლოს იმ განჩინებაზე, რომლის მიხედვითაც პირს წარმომადგენლად დაშვებაზე უარი ეთქვა.

6.3.1. დასკვნა

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია წარმოადგენს ორივე მხარის, როგორც მოსარჩელის ისე მოპასუხის ინტერესების დაცვის მექანიზმს. პირის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ იგი წარმოდგენილი იყოს ისეთი წარმომადგენლის მიერ, რომელსაც შესწევს უნარი, კვალიფიციურად განახორციელოს მისი ინტერესების დაცვა. ასეთ დროს კი აუცილებელ დამცავ ბერკეტს წარმოადგენს სასამართლო, რომელიც არასათანადო ინტერესების დამცველს ჩამოაშორებს საქმისწარმოებას. უნდა აღინიშნოს, რომ, პირველ რიგში, აქ პირის ინტერესების დაცვა დგას, იგი არ უნდა აღმოჩნდეს სასამართლოს პირისპირ არათანაბარ მდგომარეობაში. ასევე ეს რეგულირება ემყარება სამართალწარმოების დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. აღნიშნული ხელს უწყობს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვას და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის განხორციელებას.

²⁸² შეად.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/186, (სამოტივაციო საწილი).

²⁸³ შეად.: საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ, №2270-რს, 2005 წლის 16 დეკემბერი.

6.4. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში განიხილა ადვოკატის და წარმომადგენლობის საკითხთან დაკავშირებული სადავო დებულებები, ასევე იმსჯელა ადვოკატთა ტესტირებასთან დაკავშირებითაც.

ადვოკატისა და ორგანიზაციის წარმომადგენლის ფუნქციები ვრცლად განხილულია 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კახაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”²⁸⁴.

ადვოკატის პროფესიის განხილვისას სასამართლომ აღნიშნა, რომ „ადვოკატი ჩართულია საჯარო ამოცანის განხორციელებაში. იგი თავისი კერძო საქმიანობით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასამართლო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ადვოკატი ერთდროულად ემსახურება როგორც კლიენტის კერძო ინტერესს, ისე სახელმწიფო ინტერესს. სწორედ იმის გამო, რომ ადვოკატი გარკვეულწილად ახორციელებს საჯარო ფუნქციებს, კანონმდებელი მას, თავისუფალი პროფესიის სხვა პირებთან შედარებით, უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებს და მოითხოვს მის სავალდებულო გაწვევრიანებას სპეციალურ პროფესიულ გაერთიანებაში.

გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ადვოკატთა პროფესიის მარეგულირებელი ნორმები, როგორცაა „ადვოკატთა ასოციაცია“, სახელმწიფომ ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად დააარსა. მასში შერწყმულია კერძო და საჯარო ინტერესები, რომელთაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს ვერც სახელმწიფო და ვერც ცალკეული პიროვნება თავისი ინდივიდუალური ინიციატივით”²⁸⁵.

ტესტირებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ადვოკატის განსაკუთრებული ფუნქციები და მნიშვნელობა მოითხოვს „ადვოკატთა საქმიანობისადმი და პროფესიული ეთიკის დაცვისადმი საჯარო კონტროლს“. ამავე დროს, ადვოკატთა დამოუკიდებლობა, შრომის თავისუფლება, ამ პროფესიის თავისუფალი ხასიათი კანონმდებლობით უზრუნველყოფილია. კერძოდ, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ „ადვოკატთა ასოციაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი“.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლომ განასხვავა: 1. ე.წ. საჯარო ფუნქციის მატარებელ „ადვოკატთა საქმიანობისადმი და პროფესიული ეთიკის დაცვისადმი საჯარო კონტროლი“, რაც, გამართლებულია და 2. „მკაცრი სახელმწიფოებრივი კონტროლი“, რაც

²⁸⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/5/323, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კახაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²⁸⁵ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, №1/5/323, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კახაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (II. მე-9 აბზ.).

ეწინააღმდეგება ადვოკატთა თავისუფალი პროფესიის პრინციპებს²⁸⁶.

გარდა ამისა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში 42-ე მუხლთან მიმართებით სასამართლომ განიხილა ადვოკატის პროფესიისა და დაცვის უფლების შინაარსი და აღნიშნა, რომ ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა განპირობებულია ადვოკატის პროფესიის მაღალი ფუნქციური დანიშნულებით, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ადამიანის უფლებების დაცვა ადვოკატის უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ფუნქციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მან გარანტირებული გახადოს დაცვის უფლება, რაც, ცხადია, გულისხმობს ადამიანის არა მარტო ადვოკატით უზრუნველყოფას, არამედ კვალიფიციური და ეფექტური დაცვის განხორციელებას. ყოველივე ეს განაპირობებს ადვოკატის საქმიანობის სახელისუფლებო ფუნქციებთან სიახლოვეს და ადვოკატურის საჯარო ორგანიზაციის ფორმის მიზანშეწონილობას. საადვოკატო საქმიანობა საჯარო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა. ამასთან, ადვოკატურა სახელმწიფო მმართველობისაგან განცალკევებული ორგანიზაციაა და ამ სახით ახორციელებს თავის ფუნქციებს.

ასევე მნიშვნელოვანია 2004 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება²⁸⁷ საქმეზე “მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,” რომლის დავის საგანი იყო „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის ის მუხლები²⁸⁸, რომლებიც ეხება ადვოკატთა ტესტირების ჩატარების ძირითად მოთხოვნებს, აგრეთვე ადვოკატთან ერთიანი სიის ფორმირების წესს.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ადვოკატთა ტესტირების სუბიექტთა წრეს და მოითხოვდა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრების ტესტირების გარეშე შეყვანას კანონით გათვალისწინებულ საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტა ადვოკატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. სასამართლომ ერთმანეთისაგან განასხვავა, ერთი მხრივ, საადვოკატო საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს ე.წ. „თავისუფალი პროფესიის პირი”, ხოლო, მეორე მხრივ, საჯარო სამსახურში და სახელმწიფო თანამდებობაზე მოღვაწეობა, რომლის პირობების კანონით გასაზღვრის ვალდებულებასაც ადგენს საქართველოს კონსტიტუციის 29-

²⁸⁶ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, №1/5/323, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კახაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, (III. მე-2 აბზ.).

²⁸⁷ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” №2/10/256.

²⁸⁸ „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტთან, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, აგრეთვე, ამავე კანონის მე-40 და 45-ე მუხლების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

ე მუხლის მე-2 პუნქტი და რომელიც ეხება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს და არ აწესრიგებს საადვოკატო საქმიანობას.

სასამართლომ სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატთა ტესტირების დაწესება მინიმალურ სტანდარტად მიიჩნია იმისათვის, რათა ადვოკატების მიერ კვალიფიციურად იქნეს განხორციელებული ადამიანის ინტერესების დაცვა. ამასთან, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ თითქოს სახელმწიფოს არა აქვს უფლება კანონით განსაზღვროს კერძო სამსახურის ძირითადი პირობები, მითუმეტეს, როდესაც საუბარია საადვოკატო საქმიანობაზე, რომლის დროსაც, ე.წ. „თავისუფალი პროფესიების“ სხვა სახეებისგან განსხვავებით, ადვოკატებს უფრო სახელშეკრულებო ვალდებულებების პირობებში უხდებათ საქმიანობის განხორციელება²⁸⁹.

6.4.1. დასკვნა

ერთი მხრივ, გამოცდას, ტესტირებას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი მხარე, რაც მკაცრად მაკონტროლებელ ფუნქციაში გამოიხატება. მეორე მხრივ კი, გამოცდისა და ტესტირების დადებითი მხარე არის ის, რომ იგი იძლევა ამა თუ იმ ადამიანის ცოდნის დონის განსაზღვრის საშუალებას. ხოლო რამდენად სანდოა ამა თუ იმ გამოცდის შედეგები – ეს სხვა საკითხია. მთავარია, რომ როგორც ზემოთ განვიხილეთ, ადვოკატთა ფუნქციების საჯარო ხასიათიდან გამომდინარე, ლეგიტიმურია მათ მიმართ გარკვეული საჯარო კონტროლი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადვოკატის სტატუსის მოპოვებისთვის და ადვოკატის პროფესიით საქმიანობისთვის დადგენილია ტესტირება, აგრეთვე ადვოკატთა ასოციაციაში სავალდებულო წევრობა. ტესტირებასთან დაკავშირებით ზემოთ დასახელებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ადვოკატის განსაკუთრებული ფუნქციები და მნიშვნელობა მოითხოვს „ადვოკატთა საქმიანობისადმი და პროფესიული ეთიკის დაცვისადმი საჯარო კონტროლს“²⁹⁰. თუმცა, ამავე დროს, ადვოკატთა დამოუკიდებლობა, შრომის თავისუფლება, ამ პროფესიის თავისუფალი ხასიათი კანონმდებლობით უზრუნველყოფილია.

²⁸⁹ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე “მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.” №2/10/256, (I პარაგ.)

²⁹⁰ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, №1/5/323, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, (III. მე-2 აბზ.).

თავი 7.
დამხმარე, კონსულტანტი გერმანული და შვეიცარიული
ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით

წარმომადგენლობის ინსტიტუტის შედარებითი სამართლებრივი ანალიზისათვის საინტერესოა განვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლობების ინსტიტუტების მარეგულირებელი კანონმდებლობები. ასევე აუცილებელია შესწავლილი იქნეს არა მარტო საერთო დამახასიათებელი ნიშნები, არამედ ის განსხვავებული რეგულაციები, რაც უცხოა ქართული საკანონმდებლო სივრცისათვის. შესაბამისად, აღნიშნულ თავში გაანალიზებული იქნება წარმომადგენლობის ინსტიტუტის სახესხვაობები და ასევე ის საკითხები, რომლის რეგულირების არსებობის შემთხვევაშიც წარმომადგენლობის ინსტიტუტი უფრო ეფექტური გახდება.

7.1. Beistände (დამხმარე, კონსულტანტი) - გერმანული სამართლის მიხედვით

გერმანული ადმინისტრაციული კანონმდებლობა იცნობს დამხმარის, კონსულტანტის (Beistände) ინსტიტუტს. როგორც ადმინისტრაციული წარმოებისას ისე ადმინისტრაციულ პროცესში წარმომადგენლის ინსტიტუტის გვერდით შესაძლებელია დამხმარის მონაწილეობაც.

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონი, იმ თავში, რომელიც ეხება ადმინისტრაციული წარმოების ზოგად დებულებებს, ადგილს უთმობს დამხმარის სამართლებრივ რეგულირებას. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლი²⁹¹ ეხება უფლებამოსილი პირის - წარმომადგენლის და დამხმარის, როგორც ადმინისტრაციული წარმოების მონაწილის უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-14 მუხლის მე-4 ნაწილის²⁹² თანახმად, მონაწილეს უფლება აქვს, ადმინისტრაციულ წარმოებაში ზეპირი განხილვის სხდომაზე გამოცხადდეს დამხმარესთან ერთად. ამასთან, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით²⁹³, ადმინისტრაციული სამართალწარმოების მონაწილესთან ერთად შეიძლება იყოს დამხმარეც.

მართალია, კანონმდებლობა დამხმარის ინსტიტუტის არსებობას მოიაზრებს წარმომადგენლის ინსტიტუტის გვერდით, მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვავება. შეიძლება ითქვას, იგი წარმომადგენლობის ერთ-ერთი სახეა, მაგრამ მთელი რიგი განსხვავებებით.

²⁹¹ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლი *Verwaltungsverfahrensgesetz art. 14*, <http://dejure.org/gesetze/BVwVfG/14.html>.

²⁹² იხ .იქვე.

²⁹³ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლის მე-7 ნაწილი, *Verwaltungsrechtsordnung VwGO art. 67.7*, <http://dejure.org/gesetze/VwGO/67.html>.

დამხმარე არის პირი, რომელიც მონაწილეობს საქმის ზეპირ განხილვაში ადმინისტრაციულ სასამართლოში. დამხმარის ინსტიტუტის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რითაც იგი განსხვავდება წარმომადგენლისაგან, რომ იგი კი არ წარმოადგენს პროცესის მონაწილეს სამართალწარმოებაში, არამედ იგი დგას მის გვერდით²⁹⁴. ამასთან, დამხმარე შეიძლება იყოს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერი პირი²⁹⁵ და მისი მონაწილეობა დასაშვებია როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო ადმინისტრაციულ სასამართლოში.

დამხმარეს არ შეუძლია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება, იგი მოქმედებს მონაწილესთან ერთად, ერთობლიობაში²⁹⁶. მას საკმაოდ მცირე უფლებამოსილება გააჩნია: არ შეუძლია დამოუკიდებლად მოთხოვნის ან შუამდგომლობის დაყენება წარმოებაში, მით უმეტეს საქმის მორიგებით დასრულება. ზოგადად, დამხმარის საქმეში ჩართვით არ ხდება იმის მიღწევა, რასაც ადგილი აქვს უფლებამოსილი პირის დროს. აქ მათ შორის საერთო არის მხოლოდ ის, რომ სახეზეა ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების მონაწილის დახმარება. რაც, რა თქმა უნდა, არ არის დაკავშირებული წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან²⁹⁷.

7.1.1. ზეპირი და წერილობითი გამოხატვის დასაშვებობა

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის 14-ე მუხლის მე-4 ნაწილის²⁹⁸ ფორმულირებიდან ჩანს, რომ დამხმარე საქმისწარმოების ზეპირი გამოხატვისას შეზღუდულია მონაწილის ყოფნით, არსებობით. მაგრამ მისი უმთავრესი ფუნქცია გამოიხატება სწორედ ზეპირი განხილვისას მონაწილის გვერდით ყოფნით და მისთვის დახმარების გაწევით²⁹⁹.

გარდა ამისა, აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილის³⁰⁰ თანახმად, დამხმარე მონაწილეობს არა მარტო ზეპირი განხილვისას, არამედ იგი შეიძლება დაეხმაროს მონაწილეს წერილობით გამოხატულებაში.

აღნიშნული ნორმის ვიწრო გაგებით განმარტების შემთხვევაში დამხმარემ შეიძლება დახმარება გაუწიოს მონაწილეს მხოლოდ ზეპირი განხილვის დროს, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების შესახებ 14-ე მუხლში მოცემული დამხმარის ცნების დეფინიციის თანახმად, დამხმარე

²⁹⁴ იხ. *Stern, K.*, *Verwaltungsprozessuale Probleme in der öffentlich-rechtlichen Arbeit*, 6.Auflage, Verlag Beck, München, 1987, S.135.

²⁹⁵ შეად. *Verwaltungsgerichtsordnung, VwGO § 67. II abs.3*, www.dejure.org.

²⁹⁶ იხ. *Ule C.H., Laubinger, H.W.*, *Verwaltungsverfahrenrecht*, C.Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München, 1986, S.144.

²⁹⁷ იხ. *Kopp, O., Ramsauer, U.*, *Verwaltungsverfahrensgesetz, Kommentar*, 12.Auflage, Verlag Beck, München, 2011, S.314.

²⁹⁸ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-4 ნაწილი, *Verwaltungsverfahrensgesetz art. 14.4* <http://dejure.org/gesetze/BVwVfG/14.html>.

²⁹⁹ იხ. *Ule, C.H.*, *Verwaltungsprozessrecht*, 9.Auflage, Verlag Beck, München, 1987, S.87.

³⁰⁰ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-6 ნაწილი, *Verwaltungsverfahrensgesetz art. 14.6* <http://dejure.org/gesetze/BVwVfG/14.html>.

მონაწილეობს ზეპირი განხილვის დროს. ის, რომ დამხმარე შეიძლება მონაწილეობდეს ასევე წერილობით პროცესშიც, მისი ინტერპრეტაცია გამოდინარეობს აღნიშნული კანონის რეგულირებიდან და ასევე დადგენილი პრაქტიკიდანაც, ვინაიდან იქმნება პრაქტიკული საჭიროებაც, რომ მონაწილეს წერილობითი მოსაზრებების წარდგენისას ესაჭიროება დახმარება³⁰¹. ეს კი განსაკუთრებით საჭირო ხდება მაშინ, როდესაც მონაწილე თავად მონაწილეობს ადმინისტრაციულ წარმოებაში და მას არ ჰყავს წარმომადგენელი. ამიტომ შესაძლებელია, რომ მონაწილე მხარეს რჩევა, კონსულტაცია დასჭირდეს.

7.1.2. დამხმარის აცილება, უფლებამოსილების შეწყვეტა

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილები³⁰² ეხება უფლებამოსილი პირის და დამხმარის აცილების საკითხებს. აღნიშნული დებულებები საერთოა, როგორც წარმომადგენლის, ისე დამხმარისათვის.

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, აცილება დააყენოს იმ უფლებამოსილი პირის თუ დამხმარის მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ფორმალურად ისეთ სამართლებრივ მომსახურებას, რისი განხორციელების უფლებამოსილებაც მათ არ გააჩნიათ შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე³⁰³. ამასთან, სამართლებრივი დახმარების შესახებ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვისი სახელით საქმის წარმოება ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც შესაბამისი ნებართვა გააჩნია.

2. წარმომადგენლის და დამხმარის აცილების მეორე საფუძველი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მე-14 მუხლის მე-6 ნაწილის³⁰⁴ შესაბამისი დებულებებით, თუკი დამხმარეს ან წარმომადგენელს არ შესწევს უნარი წარმართოს საქმე ადმინისტრაციულ ორგანოში. ეს შეზღუდვა მოქმედებს როგორც დამხმარის ზეპირი განხილვის დროს მონაწილეობისას, ისე მისი წერილობითი მოსაზრებების დროს დახმარების გაწევისას³⁰⁵. დამხმარე, რომელიც ნათლად ვერ გამოხატავს მოსაზრებას ან არ არის უნარიანი, შესაბამისი დახმარება გასწიოს როგორც ზეპირად, ისე წერილობითი სახით, აუცილებლად უნდა იქნეს საქმიდან ჩამოშორებული. რაც, პირველ რიგში, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ინტერესებიდან გამომდინარეობს, რათა დაცული იქნეს მისი კანონიერი უფლებები და მოვალეობები.

³⁰¹ იხ. Kopp, O., Ramsauer, U., *Verwaltungsverfahrensgesetz, Kommentar*, 12. Auflage, Verlag Beck, München, 2011, S.314.

³⁰² შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილები, *Verwaltungsverfahrensgesetz art.14 abs.5,7* <http://dejure.org/gesetze/BVwVfG/14.html>.

³⁰³ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-5 ნაწილი, *Verwaltungsverfahrensgesetz art. 13.5* <http://dejure.org/gesetze/BVwVfG/13.html>.

³⁰⁴ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-6 ნაწილი, *Verwaltungsverfahrensgesetz art. 14.6* <http://dejure.org/gesetze/BVwVfG/14.html>.

³⁰⁵ იხ. Ule, C.H., Laubinger, H.W., *Verwaltungsverfahrenrecht*, 3. Auflage, C. Heymanns verlag, Köln, Berlin, Bonn, München, 1986, S.145.

ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლით³⁰⁶ გათვალისწინებულ შემთხვევებზე, როდესაც პირები ადმინისტრაციულ სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობენ.

3. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-7 ნაწილი³⁰⁷ ითვალისწინებს იმ პირის ინფორმირებას დამხმარის ან უფლებამოსილი პირის აცილების საკითხის თაობაზე, რომელსაც ის წარმომადგენდა. ამასთან, კანონმდებლობით არ არის გაწერილი, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს შეტყობინების გადაცემა.

7.2. Verbeiständung (დამხმარე, კონსულტანტი) შვეიცარიული ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით

7.2.1. ისტორიული მიმოხილვა

შვეიცარიული ადმინისტრაციული სამართლისათვის არ არის უცხო წარმომადგენლობის ინსტიტუტის არსებობა, რომლის გვერდით რეგულირებულია ასევე Verbeiständung-ის ინსტიტუტი, რომლის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი „გვერდით მდგომს“³⁰⁸ გულისხმობს.

საინტერესოა წარმომადგენლობის და დამხმარის ინსტიტუტის წარმოშობის ისტორია. შვეიცარიის პარლამენტს თავიდან არა თუ დამხმარის ინსტიტუტის, არამედ არც წარმომადგენლობის ინსტიტუტის რეგულირება სურდა. თავდაპირველად, უფლება დახმარებაზე პარლამენტის მიერ განხილული იქნა ნაციონალური საბჭოს კომისიის განცხადების საფუძველზე 1968 წელს და, შესაბამისად, შეტანილი იქნა კანონში ადმინისტრაციული წარმოების შესახებ³⁰⁹, რასაც ზოგადად ამ ინსტიტუტის საჭიროების თაობაზე დიდხნიანი დებატები მოჰყვა. მაგრამ საბოლოოდ, 1977 წელს პარლამენტმა შეიტანა დამატება ფედერალური საბჭოს პროექტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, წარმომადგენლობის და დამხმარის ინსტიტუტის უმთავრეს მიზანს მოქალაქის პატივისა და უფლებების დაცვა წარმოადგენდა.

7.2.2. უფლება დამხმარეზე ადმინისტრაციულ წარმოებაში

შვეიცარიის კონსტიტუციის კომენტარების თანახმად³¹⁰, კონსტიტუცია იცავს პირის უფლებას, თავად გადაწყვიტოს და განსაზღვროს, თუ რომელი მეთოდით (საშუალებით), პირადად თუ

³⁰⁶ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლი, Verwaltungsgreichtsordnung VwGO art. 67, <http://dejure.org/gesetze/VwGO/67.html>.

³⁰⁷ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-7 ნაწილი, <http://dejure.org/gesetze/BVwVfG/14.html>.

³⁰⁸ ავტორის თარგმანი.

³⁰⁹ იხ. Auer, Müller, Schindler, Kommentar zum Bundesgesetz über das verwaltungsverfahren, Verlag Dike, Zürich, 2008, S.160.

³¹⁰ შეად. Reinhold Hotz, in: St.Galler Kommentar BV, art.29 N.38 ; Georg Müller, in: Kommentar BV 1874, art.4 N.117.ff.

წარმომადგენლის დახმარებით განახორციელოს საპროცესო უფლებები³¹¹. აღნიშნული უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ნაწილად განიხილება.

შვეიცარიულ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფს პროცესში მონაწილე მხარის თანამონაწილეობის უფლებას. მხარე არ უნდა განვიხილოთ როგორც წარმოების ან პროცესის შიშველი ობიექტი, არამედ როგორც პროცესის აქტიური მონაწილე სუბიექტი. შესაბამისად, აღნიშნული მონაწილეობის და გამოსატვის უფლება გულისხმობს წარმოების მხარეთა შესაძლებლობას, განახორციელოს თავად, დამოუკიდებლად ან მის მიერ არჩეული წარმომადგენლის მიერ. შინაარსობრივად დაცული უფლება წარმომადგენლის და დამხმარის ყოლაზე გულისხმობს უფლებამოსილებას, საპროცესო ქმედებები განახორციელოს პირადი არჩევანის საფუძველზე მესამე პირის – წარმომადგენლის მეშვეობით ან ზეპირი საქმის წარმოებისას ისარგებლოს დამხმარის საშუალებით³¹².

კონსტიტუციურად დაცული წარმომადგენლობით და დამხმარით სარგებლობის უფლება არ არის აბსოლუტური. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია თანაზომიერების პრინციპის დაცვის საფუძველზე³¹³. წარმომადგენლის ყოლა დაუშვებელია, როდესაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის პირადი მონაწილეობა აუცილებელია. განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს პირის პერსონალურად მონაწილეობა მხარეთა დაკითხვისა და სამედიცინო გამოკვლევის ან ექსპერტიზის დროს³¹⁴.

შვეიცარიული ადმინისტრაციული კანონმდებლობა ადგენს, რომ პირს უფლება აქვს, წარმომადგენლის გარეშე, თავად აწარმოოს სამართლებრივი ურთიერთობა როგორც ადმინისტრაციულ ორგანოსთან ისე, ადმინისტრაციულ სასამართლოში. შესაბამისად, არ არსებობს წარმომადგენლით სარგებლობის იძულება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა³¹⁵. ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც წარმოების მხარე ადგილზე არ იმყოფება და არ შეუძლია თავად დაიცვას მისი ინტერესები. ასევე, თუ წარმოებაში მონაწილეობს 20-ზე მეტი პირი, რომელთაც საერთო ინტერესები გააჩნიათ. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინიშნება ერთ-ერთი მონაწილე წარმომადგენლად³¹⁶.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-11 მუხლი³¹⁷ წარმომადგენლობითი ინსტიტუტის გვერდით იხსენიებს დამხმარის ტერმინსაც. შესაბამისად, წარმომადგენლობის

³¹¹ იხ. BGE 132 V 443 E.3.3, S.445 (შვეიცარიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება)

³¹² იხ. Auer, Müller, Schindler, Kommentar zum Bundesgesetz über das verwaltungsverfahren, Verlag Dike, Zürich, 2008, S.161.

³¹³ იხ. Reinhold Hotz, in: St.Galler Kommentar BV, art.29 N.38, 3. Auflage, Zürich, St.Gallen, 2014;

³¹⁴ იხ. BGE 132 V 443, E. 3.5, 446 ff.

³¹⁵ იხ. Kiener, Rüttsche, Khun, Öffentliches Verfahrensrecht, Verlag Dike, Zürich, 2012, S.144.

³¹⁶ შეად. Verwaltungsverfahrensgesetz, art.11a, abs.2.

³¹⁷ შეად. შვეიცარიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-11 მუხლი, Verwaltungsverfahrensgesetz, VwVG art.11, http://www.gesetze.ch/sr/172.021/172.021_001.htm.

საქმიანობის ქვეშ მოიაზრება ქმედება „სხვისთვის“, ხოლო დამხმარის ცნების ქვეშ იგულისხმება წარმოების მხარის ერთობლივი საქმიანობა დამხმარის, კონსულტანტის მეშვეობით. შესაბამისად, დამხმარე სხვა არაფერია, თუ არა „საპროცესო თანადგომა“ ზეპირი საქმისწარმოებისას³¹⁸. დამხმარით სარგებლობის უფლება, პირველ რიგში, გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, მესამე პირმა გაუწიოს მას თანხლება და დახმარება პროცესის მსვლელობისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარე მოქმედებს მხოლოდ მხარეთა ყოფნის (მონაწილეობის) დროს, დაუშვებელია მისი მონაწილეობა მხარეთა დაუსწრებლობის შემთხვევაში.

ამასთან, უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი წარმომადგენელსა და დამხმარეს შორის არის ის, რომ წარმომადგენელი მოქმედებს სხვისი სახელით და, შესაბამისად, სამართლებრივი შედეგი დგება წარმოდგენილი პირის მიმართ, ხოლო დამხმარის არსებობისას მხარე თვითონ მოქმედებს და დამხმარე მხარეს მხოლოდ თან ახლავს და უწევს მას კონსულტაციას, რჩევას³¹⁹.

7.3. დასკვნა

ზემოთ განხილული დამხმარის ინსტიტუტი საინტერესოა როგორც თეორიული, ისე მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. დამხმარის საჭიროება ვლინდება ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. აღნიშნული ინსტიტუტის მოწესრიგება უცხოა ქართული კანონმდებლობისათვის. ნაშრომში განხილული დამხმარის ინსტიტუტის გერმანული და შვეიცარიული სამართლის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს ქართული კანონმდებლობაში ახალი რეგულირების შემოღების მიზანშეწონილობას.

თუკი ზემოთ განხილულ დამხმარის ინსტიტუტთან მისი ფუნქციის სფეროვიკიდან გამომდინარე გავავლებთ პარალელს ქართული კანონმდებლობასთან, საერთო დამახასიათებელ ნიშანს დავინახავთ მხოლოდ ადვოკატის თანაშემწის ინსტიტუტთან, რომელიც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად³²⁰, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით, ეხმარება ადვოკატს. თანაშემწე არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში. ადვოკატის თანაშემწეს უფლება აქვს, შესაბამისი ადვოკატის თანდასწრებით ან მისი დავალებით, ადვოკატის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ნებართვის საფუძველზე, გაეცნოს მის წარმოებაში არსებულ საქმის მასალებს სასამართლოში და სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში.

³¹⁸ იხ. *Gygi, Fritz*, Bundesverwaltungsrechtspflege, 2.Auflage, Verlag Stämpfli, Bern, 1983, S.185.

³¹⁹ იხ. *Auer, Müller, Schindler*, Kommentar zum Bundesgesetz über das verwaltungsverfahren, Verlag Dike, Zürich, 2008, S.160.

³²⁰ იხ.იქვე.

შესაბამისად, ადვოკატის თანაშემწე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სარგებლობს უფრო შეზღუდული უფლებამოსილებით, ვიდრე დამხმარის ინსტიტუტი გერმანულ და შვეიცარიულ კანონმდებლობაში. იგი უფრო ტექნიკური ხასიათის დავალებათა შესასრულებლად არის საჭირო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანაშემწის ინსტიტუტს ვხვდებით მხოლოდ ადვოკატის საქმიანობის განხორციელების პროცესში, რაც განსხვავდება დამხმარის ინსტიტუტის ფუნქციისაგან, რომლის უმთავრესი მიზანია, მხარისათვის დახმარების გაწევა.

თავი 8.

ადმინისტრაციული ორგანო როგორც წარმომადგენელი

ადმინისტრაციულ სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ის აუცილებელი ელემენტია, რომელიც ქმნის ადმინისტრაციული ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული წარმოების შემოქმედია და, ამასთან, ადმინისტრაციული სამართალწარმოების სავალდებულო მხარე, რომლის არსებობის გარეშეც შეუძლებელია ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელება. ამიტომ მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს ადმინისტრაციული ორგანო, როგორც საჯარო ინტერესების წარმომადგენელი მისი როლისა და ფუნქციის ანალიზის საფუძველზე. ასევე აუცილებელია გაირკვეს, რომ საჯარო მმართველობის განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო ხომ არ გვევლინება საჯარო ინტერესების მონოპოლიურ წარმომადგენლად.

8.1. ადმინისტრაციული ორგანოს ამბივალენტური³²¹ ფუნქცია

ადმინისტრაციული ორგანოს უპირველეს კომპეტენციას ინტერესთა დაცვა წარმოადგენს. შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებასა და ასევე სასამართლო ინსტანციებში ადმინისტრაციულ ორგანოს როგორც სამართალწარმოების მონაწილეს აქვს ცენტრალური ფუნქციაც და პოზიციაც.

ფორმალური კუთხით თუ განვიხილავთ, ადმინისტრაციულ ორგანოს პირველი ინსტანციის წარმოებაში (აქ იგულისხმება ადმინისტრაციული წესით ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებაც) ორმაგი როლი აკისრია. ერთი მხრივ, იგი ვალდებულია, ობიექტურად გამოიყენოს ნორმები და გაითვალისწინოს მისი მოქმედების ადრესატის (ანუ პირის) ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, იგი, იმავდროულად, არის საჯარო ინტერესების წარმომადგენელი და გამტარებელი³²².

ორმაგი როლი კიდევ უფრო უკეთ წარმოჩინდება, თუ პარალელს გავავლებთ სისხლის სამართლის წარმოებასთან, სადაც მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს საგამოძიებო ორგანოებისა და განაჩენის გამომტანი მოსამართლის საქმიანობა. მაშინ, როდესაც საგამოძიებო ორგანოსათვის, უპირველესად, სავალდებულოა საჯარო ინტერესი, კერძოდ, სისხლის-სამართლებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების განხორციელება და აღნიშნული მას ანიჭებს მხარის მსგავს სტატუსს. ხოლო სამართლის ნორმების ობიექტური გამოყენება დამოუკიდებელი სასამართლოს

³²¹ შეად. ამბივალენტურობა გულისხმობს ორმაგ ფუნქციას, გაორებულ უფლებამოსილებას, (მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=14063>)

³²² იხ. Kölz, Die Vertretung des öffentlichen Interesses in der Verwaltungsrechtspflege, in : Zbl, 1985 S.55; Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, unter besonderer Berücksichtigung der Verwaltungsverfahrens und des Verwaltungsprozesses im Bund, Zürich, Schulthess, Polygraph. Verl. S. 200.

ხელშია, რომელმაც, როგორც გადაწყვეტილების გამომტანმა მომრიგებელმა ინსტანციამ უნდა გაითვალისწინოს ორივე მხარის ინტერესები, უფლებები და მოთხოვნები³²³. ადმინისტრაციულ წარმოებაში კი ეს ასე არ არის. აქ სამართლის შესაბამისი ნორმების მიხედვით, ოფიციალური მაქსიმალურობის გათვალისწინებით (Offizialmaxime), ადმინისტრაციული ორგანო თვითონ არის უფლებამოსილი წარმოების დაწყებასა და ფაქტობრივი გარემოებების შემდგომ გამორკვევაზე. ბოლოს კი იგი იღებს გადაწყვეტილებას ისე, როგორც სისხლის სამართლის წარმოების ფარგლებში დამოუკიდებელი სასამართლო.

ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის ამბივალენტურობა ასევე ნათლად ჩანს საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაშიც, სადაც ადმინისტრაციული ორგანო იკავებს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას³²⁴. თუ წარმოება განხორციელდა მხოლოდ ორ მხარეს შორის, სადაც პირი ასაჩივრებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტს ან ქმედებას, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო ხდება საჯარო ინტერესების წარმომადგენელი. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ აქ უნდა გამოიჩინოს გარკვეული თავშეკავება. მას არ შეუძლია გასცდეს მისი გადაწყვეტილების ფარგლებს, რომელიც უნდა იყოს სამართლის ნორმის ობიექტური გამოყენების შესატყვისი. ამ კუთხით, ადმინისტრაციული ორგანო ყოველთვის წინარე ინსტანციადაც გვევლინება³²⁵. ადრესატის მხარეს კი ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევებში დგას, როდესაც განმცხადებლები არიან მესამე პირები, რომლებიც წარმოადგენენ კერძო ან საჯარო ინტერესებს და რომლებზეც ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ადრესატის მიმართ გამოცემულმა აღმჭურველმა ინდივიდუალურმა სამართლებრივმა აქტმა. ასეთ შემთხვევაშიც ადმინისტრაციული ორგანო მხარს დაუჭერს და წარმოადგენს კერძო ინტერესებს, თუმცა შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში.

8.2 ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი ინტერესები

8.2.1. ასიმეტრიები ინტერესთა წარმოდგენისას საჯარო მმართველობის ორმაგი ფუნქციის გამო

ადმინისტრაციული ორგანო, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს საჯარო ინტერესებს, იმავდროულად არის გადაწყვეტილების გამომტანი ინსტანციაც, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს როგორც საჯარო ინტერესები, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის კერძო ინტერესებიც. სამართლის ნორმების ობიექტური გამოყენება კი მოითხოვს მაქსიმალურ დამოუკიდებლობასა და

³²³ იხ. Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, unter besonderer Berücksichtigung der Verwaltungsverfahrens und des Verwaltungsprozesses im Bund, Zürich, Schulthess, Polygraph. Verl., 2000 S.200.

³²⁴ იხ. Kölz, Die Vertetung des öffentlichen Interesses in der Verwaltungsrechtspflege, in : Zbl, 1985 S.59; Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, Zürich, Schulthess, Polygraph. Verl., 2000, S. 200

³²⁵ იხ. Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, S. 200

მიუკერძოებლობას. ზოგადად, მიღწეული უნდა იქნეს ერთგვარი „თამაშგარე“ პოზიცია, რომელიც წარმოშობს გარკვეულ დისტანციურ დამოკიდებულებას კონკრეტული საქმის გარემოებების მიმართ. ხოლო ასეთი წარმოების პირობებში მეტია ალბათობა იმისა, რომ მიღებული გადაწყვეტილება იქნება არათვითნებური და სამართლიანი.

მიუკერძოებლობა გულისხმობს ასევე იმას, რომ ინტერესთა წარმომადგენლობის ფარგლებში არსებობს გარკვეული ბალანსი. თუ მესამე მხარე წარმოებაში ჩართავს და განახორციელებს ყველა არსებით ინტერესს, მაშინ კიდევ უფრო ძლიერდება ადმინისტრაციული ორგანოს შუამავლის ფუნქცია, რომელიც, როგორც წესი, სასამართლოებისათვის არის დამახასიათებელი.

ის გარემოება, რომ მხოლოდ საჯარო მმართველობა გვევლინება საჯარო ინტერესების წარმომადგენლად, რომელიც, იმავდროულად, არის გადაწყვეტილების გამომტანი ინსტანციაც, წარმოშობს ასიმეტრიის ორმხრივ საფრთხეს. ერთი მხრივ, მიუკერძოებლობა თუნდაც იმიტომ არ არის უზრუნველყოფილი, რომ ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ყოველთვის იღებს საკუთარ საქმეში, კერძოდ, იმ საჯარო ინტერესების თაობაზე, რომელთა წარმოდგენა და დაცვა მასვე აკისრია³²⁶.

აღნიშნულთან დაკავშირებით კანონმდებლობა ცდილობს ბალანსის აღდგენას და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატს ანიჭებს წარმოების სუბიექტის სტატუსს და პროცესუალურ-სამართლებრივი კუთხით ამკვიდრებს გარკვეულ წონასწორობას საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატს აქვს უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოყენების უფლება, რაც პირველ ინსტანციაში დამატებით აძლიერებს მის პოზიციებს³²⁷.

თუკი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატები მოიაზრებიან თავიანთი საკუთარი ინტერესების დამოუკიდებელ წარმომადგენლებად და გამტარებლებად წარმოებაში, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გაითვალისწინოს როგორც საჯარო, ისევე კერძო ინტერესები, ამით იქმნება ახალი, ცოტა სხვაგვარი ასიმეტრიის საფრთხე³²⁸. ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ ობიექტურად უნდა გამოიყენოს სამართლის ნორმები, იგი ვალდებულია როგორც კერძო, ასევე საჯარო ინტერესების წინაშე. ამ პერსპექტივიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატები შედარებით უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან საჯარო ინტერესებთან შედარებით, ვინაიდან მათი ინტერესების გათვალისწინება ორმხრივად ხდება. არსებობს საფრთხე, რომ ადმინისტრაციული ორგანოები უსაფუძვლო პრივილეგიებს მიანიჭებენ კერძო ინტერესებს. საბოლოოდ კი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატებს შეუძლიათ სამართლებრივი საშუალებების გამოყენება, მაშინ როდესაც საჯარო ინტერესების მხარეს, ზოგადად, ასეთი საშუალებები არ არის გათვალისწინებული.

³²⁶ იხ. Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, S. 201

³²⁷ იხ. Wullschleger, S., Das Beschwerderecht der ideellen Verbände und das Erfordernis der formellen Beschwer, in ZBl 94/1993, S.372.

³²⁸ იხ. Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, S. 202

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უშუალოდ რელევანტური საჯარო ინტერესების პარალელურად შეიძლება გასათვალისწინებელი იყოს სხვა დამატებითი საჯარო ინტერესები, მაგალითად, გარემოს დაცვის ინტერესები, წარმოიქმნება კიდევ სხვა ასიმეტრიები³²⁹. new public management-ის შემოღებით იზრდება საფრთხე ადრესატთა სასარგებლოდ მიკერძოებული გადაწყვეტილებებისა, ვინაიდან შედეგებზე ორიენტირებული საჯარო მმართველობა, როგორც მას უწოდებენ new public management-ის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მომხმარებელზე, ანუ მოქალაქეზე ორიენტირებულ საჯარო მმართველობას³³⁰.

ბუნებრივია, ვერ მოხდება იმის თავიდან აცილება, რომ კონკრეტული გადაწყვეტილების გამომტან ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდეს თუნდაც თავისი უფლებამოსილებისა და განსჯადობის ფარგლებში შემაგალი საჯარო ინტერესების წარმოდგენა. საჯარო მმართველობას, როგორც კანონის მიზნის და, აქედან გამომდინარე, საჯარო ინტერესების განხორციელებაზე პასუხისმგებელ ბოლო რგოლს, იმავედროულად, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებასთან ერთად, მაინც მოუწევს ამ ინტერესების წარმოდგენა ძალიან ბევრ შემთხვევაში, თუ არ არის ადმინისტრაციული წარმოების რეგულირება სისხლის სამართლის წარმოებების მსგავსად, რაც გულისხმობს გამოძიების ეტაპის სრულიად განცალკევებას გადაწყვეტილების მიღების სტადიისაგან და აღნიშნული უფლებამოსილებების გადანაწილებას ორ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოზე.

8.2.2. საჯარო მმართველობის მონოპოლია საჯარო ინტერესების წარმოდგენის სფეროში?

ინტერესთა წარმომადგენლობის ფარგლებში ზემოთ წარმოდგენილი ასიმეტრიებიდან გამომდინარე, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სამართლის ნორმების ობიექტურ გამოყენებას, კრიტიკული განხილვის საგანი იყო, როგორც პრაქტიკაში, ასევე მეცნიერებაში³³¹.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინტერესების მონოპოლიურ წარმომადგენლად განხილვა შეიძლება ორი არგუმენტის საფუძველზე: პირველი, ის, რომ აღნიშნული მონოპოლიით უნდა სარგებლობდნენ მხოლოდ დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე ორგანოები. მეორე, ის, რომ სხვა ინსტიტუციებთან შედარებით ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ასეთი კომპეტენციის განხორციელების განსაკუთრებული უნარი³³².

დასაწყისშივე გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებაში საჯარო ინტერესების წარმოდგენა კერძო პირების მიერ მანამ არ წარმოადგენს არანაირ პრობლემას, სანამ არ მოხდება შეხება სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მონოპოლიასთან. კერძო

³²⁹ იხ. Gygi, Verwaltungsprozess, Stämpfli verlag, Bern, 1986. S.478

³³⁰ იხ. Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, S. 202

³³¹ იხ. Kölz, Die Vertetung des öffentlichen Interesses in der Verwaltungsrechtspflege, in : Zbl, 1985, S.61.

³³² იხ. Riva, E., Beschwerdebefugnis der Natur, Stampfli, Bern, 1980, S.173.

პირების მიერ საჯარო ინტერესების წარმოდგენით არც საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ (კონსტიტუციით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან) განტვირთვას აქვს ადგილი, თუ, რა თქმა უნდა, კერძო პირებს, იმავდროულად, არ დაეკისრებათ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაში თანამონაწილეობის ვალდებულებები და, შესაბამისად, არ შემცირდება საჯარო მმართველობის პასუხისმგებლობაც.

საჯარო ინტერესების წარმომადგენლობის მონოპოლიას მოქმედი საპროცესო ნორმების მიხედვით, საკმაოდ მასშტაბური შეზღუდვები აქვს. თუ ყოველივეს კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ პრაქტიკაში არ არის ისე, რომ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ საჯარო მმართველობა წარმოადგენდეს საჯარო ინტერესებს. მაგალითად, ნებისმიერ კერძო პირს, რომელსაც დელეგირებული აქვს საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, შეუძლია საჯარო ინტერესებთან დაკავშირებული ნორმების დარღვევის გასაჩივრება.

ლოგიკასთან ახლოა იმის ვარაუდი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ე.წ. მონოპოლია საჯარო ინტერესების წარმოდგენისას კანონიერი ინტერესების მრავალფეროვნებიდან და ასევე ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იქნეს დათმობილი. ხოლო წარმოებაში მეტი დაინტერესებული პირის ჩართვით ამადღდება ასევე აღიარება იმისა, რომ, ერთი მხრივ, საჯარო ინტერესი რჩება მჭიდრო კავშირში კერძო პირებთან, ხოლო, მეორე მხრივ კი, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა გამოვლინდეს ისეთი შემხებლობა და დაინტერესება, რომელიც ვერ დაინახა და გაითვალისწინა კანონმდებელმა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მოგვიანებით ეტაპზე³³³.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინტერესების წარმომადგენლობაზე მსჯელობისას აუცილებელია განხილული იქნას ადმინისტრაციული ორგანოს მონოპოლიურმა მდგომარეობამ რა წვლილი შეიძლება შეიტანოს სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების ძიების საქმეში და რამდენად არის საჭირო სათანადო ღონისძიებების გატარება, რათა აღმოიფხვრას ასიმეტრიები, რომლებიც წარმოიშობა და გამომდინარეობს საჯარო მმართველობის ორმაგი ფუნქციიდან.

8.3. უფლების დაცვა და ადმინისტრაციული ორგანოს ეფექტიანობა როგორც სამართლებრივი შედარების თეორიული საფუძველი

გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება, მისი მრავალფუნქციულობის მიუხედავად, უმთავრესად ემსახურება უფლების დაცვასა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობას³³⁴. როგორც უკვე

³³³ იხ. *Hoffmann-Riem*, *Verwaltungsverfahrenrecht*, S.621.

³³⁴ შეად: იხ. *In-Chin Chen*, *Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwieschen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag*; *Steinberg*, *DÖV* 1982, S.619; *Ossenbühl*, *NVwZ* 1982, 465 ff; *Trute*, *Die Verwaltung und das Verwaltungsrecht zwischen gesellschaftlicher Selbstregulierung und staatlicher Steuerung*, *DVBI* 1996, s. 950.

აღინიშნა, ადმინისტრაციულ წარმოებათა შესახებ გერმანიის კანონის მე-14 მუხლი³³⁵ მჭიდრო კავშირშია წარმომადგენლობის უფლებასთან, ვინაიდან აღნიშნული მუხლით ხდება წარმომადგენლობის და დამხმარის ინსტიტუტების რეგულირება³³⁶. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, უფლების დაცვა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობა განისაზღვროს აღნიშნული სამართლებრივი შედარების თეორიულ საფუძვლად³³⁷. აქ, პირველ რიგში, მოკლედ უნდა განიმარტოს, თუ რა ნორმატიული მნიშვნელობა აქვს გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში უფლების დაცვასა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობას წარმომადგენლობის კუთხით. გერმანული სამართლებრივი დოგმატიკის ფარგლებში ცნების ნორმატიული დატვირთვა განსხვავდება იმ ფუნქციისაგან, რომელიც აღნიშნულ ცნებას, როგორც სამართლებრივი შედარების თეორიულ საფუძველს გააჩნია. მაგრამ სამართლებრივი დოგმატური განხილვა გვთავაზობს მნიშვნელოვან ასპექტებს იმისათვის, რომ უფლების დაცვა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობა განისაზღვროს სამართლებრივი შედარების თეორიულ საფუძვლად.

თავისთავად ცხადია, რომ წარმოდგენილი პირის უფლებების დაცვა არის ადმინისტრაციული წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. წარმომადგენლის დანიშვნა არსებით გავლენას ახდენს წარმოდგენილი პირის საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებზე. სახელმწიფოში მოქალაქის სტატუსის განმსაზღვრელი პრინციპის მიხედვით, რომელიც აღმოცენდა ძირითადი უფლებების ნიადაგზე, მოქალაქე არ შეიძლება იყოს წარმოების ობიექტი. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები მოითხოვს, რომ მოქალაქეს საკუთარი აზრის გამოთქმის გზით, შესაძლებლობა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს წარმოების მიმდინარეობის პროცესში და გავლენა მოახდინოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე, ანუ მოქალაქე უნდა იყოს წარმოების სუბიექტი³³⁸. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს საჯარო მმართველობასა და მოქალაქეს შორის დიალოგის, კომუნიკაციის აუცილებლობა. თავის მხრივ, წარმოების სუბიექტის სამართლებრივი სტატუსი უამრავ უფლებასა და მოვალეობას წარმოშობს.

შესაძლებელია დაისვას კითხვა: უზრუნველყოფილია თუ არა კონსტიტუციურ-სამართლებრივად წარმომადგენლობის უფლება. რა შემთხვევებში შეიძლება წარმოების მონაწილეს მისი ნების საწინააღმდეგოდ დაენიშნოს წარმომადგენელი, განსაკუთრებით კი, როდესაც საქმე ეხება საჯარო მმართველობის ეფექტიანობას? მაგრამ უმთავრესად საუბარია იმაზე, თუ როგორ არის სტრუქტურირებული

³³⁵ შეად. *Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG) art. 14, Stelkens/Bonk/Sachs, VwVfG, 5. Aufl., §9.*

³³⁶ გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-16-19 მუხლები მჭიდრო კავშირშია საჯარო მმართველობის განხორციელების ეფექტურობასთან. კერძოდ, მე-16 მუხლი ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმომადგენლის დანიშვნის წესს, ხოლო მე-17-19 მუხლები კი არეგულირებს საერთო ინტერესების არსებობისას წარმომადგენლის დანიშვნას. შეად. *VwVfG art. 14, 16-19.*

³³⁷ იხ. *In-Chin Chen, Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwieschen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag*, Peter Lang, Frankfurt, 2000, S. 25.

³³⁸ იხ. *BVerfGE 45,297 (330-335)*

ეროვნული ინსტიტუციონალური ღონისძიებებით წარმოების მონაწილეთა უფლებები წარმომადგენლობის კუთხით. ბალანსი უფლების დაცვასა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობას შორის აისახება წარმომადგენლის დანიშვნის პირობებსა და წარმომადგენლობის სამართლებრივ სტრუქტურაში.

საჯარო მმართველობის ეფექტიანობა გულისხმობს „საჯარო მმართველობის მიერ მისი სამართლებრივი და სხვა ამოცანების (დაკვეთის) მაქსიმალურად კარგ შესრულებას დროის, ფინანსური და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით“³³⁹. აღნიშნული ცნების შინაარსი, პირველ რიგში, განპირობებულია მიზნისა და საშუალების ურთიერთკავშირით. საჯარო მმართველობის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მის დასახულ მიზნებთან მიმართებით.

დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში საჯარო მმართველობის მიზნები უნდა განისაზღვროს კონსტიტუციით და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირებით. დღევანდელი გაგებით ადმინისტრაციულმა წარმოებამ უფლების დაცვის გარდა შეიძლება განახორციელოს სხვა ფუნქციებიც: ინტერესთა არტიკულაცია გადაწყვეტილების მიღების რთულ, კომპლექსურ პროცესში, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ინფორმაციის მოპოვება, მმართველობის გამჭვირვალება, გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია მოქალაქეებში კონსენსუსის მიღწევით (მოქალაქეების მიერ გადაწყვეტილებების მიღება, აქცეპტირება) და ა.შ.

საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ფარგლებში პრობლემებს ქმნის ის, რომ აღნიშნული სხვადასხვა ფასეულობები (ფუნქციები) პირდაპირ ვერ იზომება ფულადი ერთეულებით. შესაბამისად, რთულია ეფექტიანობის მათემატიკური მასშტაბისა და მაჩვენებლის განსაზღვრა. უმთავრესად ძალიან რთულია იმის დადგენა და შეფასება, თუ რომელ მდგომარეობას ეწოდება „აბსოლუტური ეფექტიანობა“. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს ორი ალტერნატიული შესაძლებლობის ურთიერთშედარების და ეფექტიანობის ამ გზით შეფასებით. მაგრამ ეს „მარტივი“ შედარება ითვალისწინებს ასევე ერთმანეთთან კოლიზიაში მყოფი ფასეულობებისა და მიზნების შედარების შესაძლებლობას. ეფექტიანობის კრიტერიუმი ვერც გადაჭრის და ვერც აიცილებს შედარების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მართალია, ადმინისტრაციული წარმოება შეიძლება შეფასდეს ფინანსური ან დროის ფაქტორით, მაგრამ ეს მასშტაბები ვერც სამართლებრივ-დოგმატური და ვერც თეორიული კუთხით ვერ იქნება საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ერთადერთი განმსაზღვრელი.

ბუნდოვანია ჯერ კიდევ, თუ რა ნორმატიული სატატუსი/პოზიცია უნდა მიენიჭოს რესურსთა ეფექტიან გამოყენებას იმ ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში, რომელთანაც ხორციელდება სამართალშედარება. თუმცა, დადგენილი და ნათელია ის, რომ რესურსების არარსებობა ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებს

³³⁹ იხ: *In-Chin Chen, Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwieschen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag*, S. 28.

თავისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების განხორციელების ვალდებულებისაგან³⁴⁰. იქ, სადაც საჯარო მმართველობას აქვს მოქმედების გარკვეული ასპარეზი, მას შეუძლია განახორციელოს ხარჯისა და სარგებლის ანალიზი რესურსების მართვისა და მათი მოხმარების კუთხით. თუმცა, აღნიშნული ოდნავაც არ ამცირებს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მათთვის დაკისრებულ ფუნქციებთან დაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო ნორმებისა და რეგულირებების სავალდებულოებას. კანონით გათვალისწინებული ამოცანები და შესაბამისი მიზნები, ბუნებრივია, მეტია, ვიდრე რესურსების ეფექტიანი მოხმარება. აქედან გამომდინარე, საჯარო მმართველობის ეფექტიანობა არის ყველა კანონისმიერი მიზნის მაქსიმალური განხორციელების საშუალება და არა მხოლოდ რესურსების მოხმარებისა და მართვის მაქსიმალური სრულყოფა³⁴¹.

დღემდე სადავოა, თუ რა ფორმით და ასევე რა სახის გავლენას მოახდენს წარმოებათა დაჩქარება საჯარო მმართველობის ეფექტიანობაზე. აქ საუბარი ეხება საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ფარგლებში დროის ფაქტორთან დაკავშირებულ ასპექტებს.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა წარმოებათა დაჩქარების საჭიროებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ წარმოებების ძლიერი გაჭიანურება შესაძლოა სცდებოდეს კონსტიტუციით დაწესებულ თვითნებობის ზღვარს მაშინაც კი, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება³⁴².

ცხადია ის გარემოება, რომ საჯარო მმართველობის ეფექტიანობა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ წარმოებათა მაქსიმალური დაჩქარების ჭრილში. წარმოების დაჩქარების ფარგლებში და მისი მიზნებისათვის დაუშვებელია მესამე პირების ან საზოგადოების უფლებების შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, მოქალაქეთა თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც გამოიწვევს ღონისძიებისა თუ პროექტის უფრო წარმატებულ მიღებას (აქცეპტირებას) მოქალაქეების მიერ, იმ შემთხვევაშიც იქნება ეფექტური, როდესაც მოქალაქეთა მონაწილეობის შედეგად ჭიანჭურდება აღნიშნული პროექტის განხორციელება. აღნიშნულისაგან განსხვავებით კი, არაეფექტიანია წარმოების იმგვარი დაჩქარება, რომლის შედეგადაც საქმის გარემოებების გამოკვლევა და შესწავლა ადმინისტრაციული ორგანოდან მთლიანად სასამართლო წარმოებაში გადაინაცვლებს.

საჯარო მმართველობის დოგმატური წარმოდგენით შესაძლებელია განისაზღვროს სამი ძირითადი ასპექტი³⁴³. პირველი - კონსტიტუციის დონეზე შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს მაქსიმალური ხანგრძლივობა (დროის ზღვარი); მეორე - დაუშვებელია,

³⁴⁰ იხ. *Stelkens/Bonk/Sachs*, VwVfG, 5. Aufl., §10 Rn.20.

³⁴¹ იხ. *In-Chin Chen*, Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwieschen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag, S. 29.

³⁴² იხ. BVerfGE 69,161.

³⁴³ იხ: *In-Chin Chen*, Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwieschen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag, S. 31

რომ საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპი შესუსტებულ იქნას ფინანსური და დროსთან დაკავშირებული ფაქტორებისა და მოსაზრებების გამო; და მესამე - საჯარო მმართველობის ეფექტიანობა და უფლების დაცვა არ უნდა მოიაზრებოდეს ურთიერთგამომრიცხავ პრინციპებად³⁴⁴.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დემოკრატიულ სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოში საჯარო მმართველობის ეფექტიანობა უკავშირდება მოქალაქეებსა და მათ ინტერესებს. შესაბამისად, მოქალაქეთა უფლებების დაცვა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობა შესაძლოა ურთიერთგანპირობებულ იყოს და აძლიერებდეს კიდევ ერთმანეთს. იქ, სადაც მათ შორის მოსალოდნელია გარკვეული დაძაბულობა, მათი მოწესრიგება შეზღუდული მოცულობით ხდება ეროვნული კონსტიტუციით. კონფლიქტური ფასეულობების რელაციური დანიშნულების შესახებ კი ეროვნული კანონმდებელი იღებს გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, კანონი ასევე აწესრიგებს დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო საშუალებებს. აღნიშნული მოიცავს ადმინისტრაციულ საპროცესო ნორმებსაც – უფლებების კუთხით. ადმინისტრაციული წარმოების მიზნები ან კონკრეტულად არის განსაზღვრული, ან კი, ზოგადად არის ჩამოყალიბებული კანონისმიერი რეგულირებებით. თუმცა, მიზნის განსაზღვრება შესაძლოა კონკრეტული შემთხვევის ფარგლებში. სამართალშედარების ძირითადი მიმართულებაა წარმოადგინოს უფლების დაცვასა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობას შორის ბალანსის მიღწევისა და შენარჩუნების სხვადასხვა მოდელები და საშუალებები. ამასთან, დაკვირვების საგანია არა მხოლოდ კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნები საჯარო მმართველობის ეფექტიანობის მიმართ, არამედ ასევე ინსტიტუციონალური სტრუქტურირება კანონის დონეზე.

8.4. დასკვნა

ზემოთ განხილული მოსაზრებების გათვალისწინებით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ორი პრინციპული პოზიცია. ერთ-ერთი, უფრო რადიკალური პოზიცია, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი წარმოების მსგავსად, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საჯარო მმართველობის ორი ფუნქცია, ანუ საჯარო ინტერესის წარმომადგენლობა გამოყოფოდა გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციას და გადანაწილებულიყო ორ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოზე. ხოლო მეორე, მოქმედ სამართალთან უფრო ახლოს მდგომი პოზიცია, რომელიც იხრება საჯარო ინტერესების თანაბარი წარმომადგენლობისაკენ და აფართოებს ადმინისტრაციული ორგანოს საჩივრის ინსტიტუტს. მაგრამ ამასთან უნდა

³⁴⁴ იხ: *Ossenbühl, Grundrechtsschutz im und durch Verfahrensrecht*, S.164f.

აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციისათვის კი, რომელიც საჯარო მმართველობის ორმაგი ფუნქციის მიუხედავად, მაინც რჩება ძალაში სამართლის ნორმების ობიექტური გამოყენებისას, იბადება შეკითხვა, ხომ არ უნდა გაძლიერდეს და ამაღლდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა³⁴⁵.

იმისათვის, რომ არ წარმოიშვას უთანასწორობა სხვადასხვა და თანაბრად დაინტერესებულ კერძო პირთა შორის, მონაწილეობის უფლება უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, არის თუ არა სახეზე კანონიერი ინტერესი, რომელიც უტოლდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის ინტერესს და არ უნდა მოხდეს განსაზღვრება იმის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა საუბარი რაიმე განსაკუთრებულ დაინტერესებაზე, რომელიც შესაძლებელია ჰქონდეს საზოგადოების ნებისმიერ წევრს.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ: ისეთ წარმოებებში, რომლებშიც აუცილებლად მონაწილეობენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატები, შედარების თეორიული საფუძველი და ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატის და არა საზოგადოების კანონიერი ინტერესის (დაინტერესების) ბუნება. იმისათვის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული კანონიერი ინტერესების მასშტაბისა და ინტენსიურობის წინასწარი მცდარი შეფასება, შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს მხოლოდ აბსტრაქტული. შესაბამისად, შედარებისათვის განმსაზღვრელი იქნება არა ცალკეული კონკრეტული შემთხვევა, არამედ აქ საუბარია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატებისათვის კანონით მინიჭებულ მონაწილეობის ზოგად შესაძლებლობებზე.

საჯარო მმართველობის მიერ ინდივიდუალური ინტერესების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისათვის კი, აღნიშნული ნიშნავს, რომ ასეთი უფლებამოსილება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის სახეზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატებისათვის დამახასიათებელი კანონიერი ინტერესი, თუ აღნიშნული ინტერესი იმავდროულად აღიარებული და მიჩნეულია საჯარო ინტერესად და თუ ამ ინტერესების დაცვა შედის ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციებში. ეს ხშირ შემთხვევაში ასეც არის, როდესაც კონკრეტული საკითხების ფარგლებში საუბარია ვირტუალურ ინტერესებთან შემხებლობაზე, რომელთა დაცვის აუცილებლობის დასაბუთება ფაქტობრივად შეუძლებელია.

ასევე მოსაზრება, პოზიცია, რომელიც ეფუძნება საჯარო მმართველობის მონოპოლიას საჯარო ინტერესების წარმომადგენლობის კუთხით, შესაძლებელია გაიქარწყლოს თვითონ მმართველობაში არსებული რეალური ურთიერთობებიდან გამომდინარე. საზოგადო სიკეთის (კეთილდღეობის) თეორიის ფარგლებში საჯარო მოხელეს გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია განიხილება იმ ასპექტით, თუ რამდენად არის ფაქტობრივად გადაწყვეტილება მორგებული საჯარო ინტერესს. მაგრამ ამასთანავე, კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ

³⁴⁵ იხ. Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, S.208.

ვადლებულება საზოგადო კეთილდღეობის, სიკეთის წინაშე არ შეიძლება იყოს ერთადერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი:

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მმართველობა უკვე დიდი ხანია აღარ არის ხელისუფლების ერთიანი განმახორციელებელი, რომელიც იმართება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, კერძოდ, მთავრობის მიერ. აქ, ერთი მხრივ, საუბარია იმაზე, რომ იერარქიულად ზემდგომ ორგანოს და განსაკუთრებით კი, უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს, ანუ - მთავრობას არ აქვს ზუსტი ინფორმაცია ქვემდგომის მიერ მისთვის დაკისრებული ამოცანების განხორციელების შესახებ. შესაბამისად, წინა პლანზე იწევს ცალკეული მმართველი უწყებები და მექანიზმები.

ხოლო რაც შეეხება საჯარო მოსამსახურე პირებს, მათ ეკისრებათ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის შესაბამისად იმოქმედონ და კეთილსინდისიერად განახორციელონ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული უფლება-მოვალეობანი. ხოლო ის, რაც დიდი ხანია აღიარებულია სასამართლოს მიერ, ბუნებრივია, ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოებზეც, კერძოდ, გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარკვეული წინასწარი აზრის ჩამოყალიბების გარეშე.

თავი 9.

წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაფორმება და წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურება

9.1. წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაფორმება

კანონმდებლობით დადგენილია წარმომადგენლის უფლებამოსილების წერილობითი გაფორმება. აღნიშნული წესი შეეხება ყველა სახის წარმომადგენლის მონაწილეობას როგორც ადმინისტრაციულ წარმოებაში და ისე ადმინისტრაციულ პროცესში. მაგრამ, ამასთან, ზოგადი წესის გარდა, კანონმდებლობა ადგენს თითოეული წარმომადგენლობის გაფორმების თავისებურებებს და კანონისმიერ მოთხოვნებს.

წარმომადგენლობის ნამდვილობის ერთ-ერთი აუცილებელი წინა პირობაა წარმომადგენლის ნების გამოვლენა³⁴⁶. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით წარმომადგენლობის უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველს ქმნის დავალების - მინდობილობის ხელშეკრულება³⁴⁷. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად³⁴⁸, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. შესაბამისად, ნების გამოვლენა წარმომადგენლობითი გარიგების აუცილებელი კომპონენტია. ვინაიდან, გარიგების მხარეები ადასტურებენ იმ სურვილს, რისი მიღწევაც მათ სურთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გზით.

წარმომადგენლობითი გარიგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ იმ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, მარწმუნებელი მოითხოვს განსაზღვრული ქმედებების განხორციელებას წარმომადგენლის მეშვეობით. შესაბამისად, მისი მოთხოვნის განხორციელება უკავშირდება წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელებას. რწმუნებულების ნაკლი სახეზეა, თუ წარმომადგენლის ნების გამოვლენა არ ემთხვევა მარწმუნებელის პირის ნებას, ასევე, თუ რწმუნებულებითი უფლებამოსილება დროის ინტერვალში შეწყდა, როდესაც რწმუნებულებითი უფლებამოსილების ფარგლები შეზღუდულია ან სახეზეა უფლებამოსილების ფარგლების გადამეტება³⁴⁹.

გერმანული სამართლის მიხედვითაც, დამატებით, წარმომადგენლის მიერ საკუთარი ნების გამოვლენის აუცილებლობასთან

³⁴⁶ იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ.418.

³⁴⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

³⁴⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104, მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>.

³⁴⁹ იხ. *Palm, Erman*, BGB, 12.Auflage, Band I., Verlag Beck, München, 2008, art.179, Rdnr.11.

ერთად³⁵⁰, მხედველობაში მიიღება მის მიერ გამოვლენილი ნების შინაარსი. ასევე მისი ნამდვილობის განსაზღვრისას წარმომადგენლის პიროვნება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 166-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი³⁵¹ პირდაპირ მიუთითებს, რომ, თუ ნების გამოვლენის სამართლებრივ შედეგზე გავლენას ახდენს ნების ნაკლი ან განსაზღვრული გარემოებების ცოდნა, მხედველობაში მიიღება არა მარწმუნებლის, არამედ წარმომადგენლის პიროვნება. ასევე გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, წარმომადგენლის ნამდვილობა უკავშირდება ნების გამოხატვის შეცნობადობას. კერძოდ, თუ სხვა პირის სახელით მოქმედების ნება არ არის ნათლად გამოხატული, მაშინ საკუთარი სახელით მოქმედების ნების არარსებობა მხედველობაში არ მიიღება³⁵². აქ იგულისხმება, პირველ რიგში, ის, რომ წარმომადგენლის მოქმედება მესამე პირისათვის შეცნობადი უნდა იყოს.

9.1.1. ფორმა

როგორც აღინიშნა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველია რწმუნებულებითი უფლებამოსილება. გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, დაუშვებელია ზეპირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადება და ასევე გარიგების ბუნებიდან გამომდინარე, ისეთი რწმუნებულების გაფორმება, რომლის წარმომადგენლის მეშვეობით დადება კანონით აკრძალულია.

წარმომადგენლობა პირის სუბიექტურ უფლებასთან ერთად არის პირის პირადი სამართლებრივი უფლებამოსილების გამოხატულება³⁵³, ვინაიდან წარმომადგენლობის უფლებამოსილების წარმოშობას საფუძვლად უდევს შიდა ურთიერთობა წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია წარმომადგენლის უფლებამოსილების კანონით დადგენილი წესით გაფორმება³⁵⁴. კანონმდებლობას აღნიშნული უფლებამოსილების გაფორმებისათვის სპეციალური ტერმინი შემოაქვს და მას „მინდობილობას“ უწოდებს.

მინდობილობის ლეგიტიმურობას, პირველ რიგში, განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც იმპერატიულად მოითხოვს წარმომადგენლის უფლებამოსილების ჩამოყალიბებას კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ

³⁵⁰ იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის პირველი ნაწილი, (BGB art. 164. abs. 1., <http://dejure.org/gesetze/BGB/164.html>).

³⁵¹ იხ. იქვე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილი, (BGB art. 166. abs. 1., <http://dejure.org/gesetze/BGB/166.html>).

³⁵² იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის მე-2 ნაწილი, (BGB art. 164. abs. 2., <http://dejure.org/gesetze/BGB/164.html>).

³⁵³ იხ. *Palandt*, BGB Kommentar, 26. Auflage, verlag Beck, München, 2006, art.164, Rd.13.

³⁵⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

მინდობილობაში³⁵⁵. აღნიშნული ჩანაწერი ცხადყოფს მხოლოდ იმას, რომ კანონმდებლობით სრულად უნდა იყოს გაწერილი, როგორ და რა ფორმით ხდება მსგავსი მინდობილობის გაფორმება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი³⁵⁶ განსაზღვრავს მხოლოდ იმას, თუ რომელ ორგანოს და რა პირობების არსებობისას შეუძლია დაამოწმოს მინდობილობა. მაგრამ არ არის აღნიშნული ის, თუ რა აუცილებელ მოთხოვნებს უნდა შეიცავდეს მინდობილობის ფორმალური მხარე. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მინდობილობაში უნდა იყოს მითითებული იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც დაამოწმა მინდობილობა, ასევე რწმუნებულის სახელი და გვარი. ასევე მითითებული უნდა იყოს ის უფლებამოსილება, რისი შესრულებაც დააკისრა მას მარწმუნებელმა. ეს გულისხმობს მინდობილობის გაფორმების ფორმალურ შინაარსს, რაც დაკავშირებულია მინდობილობის ნამდვილობასთან. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი ხარვეზიანია იმ თვალსაზრისით, რომ არ შეიცავს საკანონმდებლო მოთხოვნებს მინდობილობის ფორმალურ მხარესთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მინდობილობას სამართლებრივად სრულყოფილი სახე ჰქონდეს აუცილებელია როგორც შინაარსობრივი ასევე ფორმალური მხარის დაკმაყოფილება. კანონმდებელმა აღნიშნული საკითხი დეტალურად უნდა მოაწესრიგოს და მიუთითოს მინდობილობის ფორმალური მხარის სავალდებულო რეკვიზიტებზე.

როგორც აღინიშნა, კანონმდებლობით ადგილი აქვს მინდობილობის წერილობითი გაფორმების სავალდებულობას. იმის მიხედვით, თუ პროცესის რომელ მონაწილესთან გვაქვს საქმე, მინდობილობის გაფორმების წესსაც კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად არეგულირებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით³⁵⁷, მოქალაქის მიერ გაცემული მინდობილობა აუცილებლად უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ამასთანავე, აღნიშნული მუხლი არეგულირებს მინდობილობის გაცემის ცალკეულ შემთხვევებს. კერძოდ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე იმყოფება სამკურნალოდ, მინდობილობას გასცემს ის სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაცია, სადაც მკურნალობას გადის აღნიშნული მოქალაქე, ხოლო, თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გასცემს, მისი გაფორმება ხდება შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ. რაც შეეხება საპატიმროში მყოფი პირის მიერ გაცემულ მინდობილობას, ასეთ შემთხვევაში მინდობილობას ამოწმებს შესაბამისი საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია³⁵⁸.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, როდესაც მინდობილობა უნდა გაიცეს ორგანიზაციის მიერ, მას გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის

³⁵⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁵⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁵⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁵⁸ იხ.იქვე.

ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი³⁵⁹. მაგრამ ამასთან, რა თქმა უნდა, ეს არ ართმევს უფლებას მხარეს, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სანოტარო წესით დაამოწმოს მინდობილობა³⁶⁰.

9.2. მინდობილობის სახეები

9.2.1. უფლებამოსილება მინდობილობის გარეშე

საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც წარმომადგენლის მონაწილეობა დასაშვებია მინდობილობის გარეშე. კერძოდ, ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში შეიძლება მიიღოს მონაწილეობა იმ თანამდებობის პირმა, რომელიც კანონით ან წესდებით აღჭურვილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. ასეთი შემთხვევაა, როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის თანახმად³⁶¹, საზოგადოებას სასამართლოში წარმოადგენენ დირექტორები, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ ამისათვის არ სჭირდებათ მინდობილობის გაფორმება. ასეთ შემთხვევაში საკმარისია მან სასამართლოს წარუდგინოს მისი დირექტორის დამადასტურებელი საბუთი³⁶². ხოლო ისეთ შემთხვევაში, თუ იურიდიულ პირს ჰყავს რამდენიმე დირექტორი ან ხელმძღვანელი, რომლებიც აღჭურვილი არიან თანაბარი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, ასეთ შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან, გასცენ სპეციალური უფლებამოსილება ერთ-ერთ მათგანზე³⁶³.

ასევე სამოქალაქო კანონმდებლობით, სპეციალური მინდობილობის გაფორმება არ არის საჭირო კანონიერი წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად³⁶⁴, მშობლები შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოშიც. ისეთ შემთხვევაში, თუკი მშობლები, როგორც კანონიერი წარმომადგენლები, გამოდიან სასამართლოში მათი შვილების უფლებების დასაცავად, მათ სასამართლოს უნდა წარუდგინონ იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ისინი არიან კანონიერი წარმომადგენლები. მაგ., არასრულწლოვნის დაბადების მოწმობა, შვილად აყვანის მოწმობა, მეურვეობის თუ მზრუნველობის დამადასტურებელი საბუთი.

³⁵⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁶⁰ იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო პროცესის კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა სანი, თბილისი, 2007, გვ. 187.

³⁶¹ შეად. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 56-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №577, 28.10.1994, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408>.

³⁶² იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო პროცესის კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა სანი, თბილისი, 2007, გვ. 188.

³⁶³ იხ. იქვე.

³⁶⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

9.2.2. ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობა

წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაფორმების საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე მინდობილობის ისეთ ფორმაზე, რომელსაც გასცემს ორგანიზაცია. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი³⁶⁵ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მხარეს წარმოადგენს ორგანიზაცია და, შესაბამისად, იგი გასცემს მინდობილობას ამ ორგანიზაციის სახელით.

ორგანიზაციის წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გაწერილია კანონით ან წესდებით. ასეთ შემთხვევაში ორი სახის მინდობილობასთან გვაქვს საქმე: პირველი, როდესაც იურიდიულ პირს/ ორგანიზაციას წესდებით აქვს რეგულირებული ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზოგ შემთხვევაში არ საჭიროებს სპეციალური მინდობილობის გაფორმებას, ვინაიდან აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი იქნება სწორედ აღნიშნული ორგანიზაციის წესდება.

მეორე შემთხვევაა, როდესაც სამართლებრივ ურთიერთობაში იურიდიული პირის სახელით, როგორც წარმომადგენელი მონაწილეობს აღნიშნული იურიდიული პირის თანამშრომელი. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული ორგანიზაცია თავად წყვეტს საქმის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, თუ რომელმა თანამშრომელმა უნდა წარადგინოს აღნიშნული ორგანიზაცია და იმოქმედოს მისი სახელით. აღნიშნულ მინდობილობას, რომლითაც აღჭურავს კონკრეტული ორგანიზაცია მის წარმომადგენელს უფლებამოსილებით, გასცემს აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.

9.2.3. ადვოკატის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

ზემოთ განხილული შემთხვევების გარდა, წარმომადგენლობის მინდობილობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად³⁶⁶, ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდა ამისა, საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს ადვოკატსა და მარწმუნებელს შორის მინდობილობის გაფორმება ან ორდერის არსებობა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმის განხილვაში ორდერის

³⁶⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁶⁶ შეად. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №976, 20.06.2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>.

საფუძველზე მონაწილე ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით³⁶⁷.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია, კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას, როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. სასამართლოს განმარტებით, ადვოკატის ორდერი, ისე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. აღნიშნული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლება არ აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. შესაბამისად, იმის მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის საფუძველზე (ორდერისა თუ მინდობილობის) ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება, შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, თუ ამის თაობაზე მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურად არის აღნიშნული ამ მოქმედებების შესრულების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე³⁶⁸.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით, განსაზღვრულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადვოკატის ორდერი³⁶⁹. კერძოდ, ორდერის სავალდებულო რეკვიზიტებია: ა) იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი, ბ) დოკუმენტის დასახელება – ორდერი, გ) ადვოკატის სახელი, გვარი, სითითი ნომერი, დ) დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს, ე) ორდერის გამცემის პირის ხელმოწერა, ზ) ორდერის მოქმედების ვადა.

შესაბამისად, აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს, ადვოკატს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ანიჭებს ადვოკატს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული მინდობილობა. აქედან

³⁶⁷ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება №ას-1614-1608-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება № ას-1269-1289-2011.

³⁶⁸ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება №ას-1614-1608-2011.

³⁶⁹ იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის სხდომის ოქმი,

<http://gba.ge/uploads/resolutions/2013/11/04/6a3256d512b8c5bab8ba5339c40bcf5d.pdf>.

გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, ადვოკატს უფლებას ანიჭებს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა.

9.3. წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურება

9.3.1. სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების რეგულირება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით³⁷⁰, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით³⁷¹ განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი. კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

რაც შეეხება საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათი ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში³⁷², რომლის თანახმადაც, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია: მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები; თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები; ადგილობრივ დათვალიერებებზე გაწეული ხარჯები; სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციაზე გაწეული ხარჯები; მოპასუხის მოძებნის ხარჯები; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; ადვოკატისათვის სახელმწიფო საღაროდან გადახდილი თანხები; სპეციალურ საქსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის

³⁷⁰ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 37-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁷¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 37-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁷² შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 44-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

ჩატარების ხარჯები. ამდენად, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს იმ პირებისათვის ასანაზღაურებელ ხარჯებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სასამართლოს (მოწმეები, სპეციალისტები, ექსპერტები, თარჯიმნები და ა.შ.).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად³⁷³, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები სასამართლოს გარეშე გაწეული პროცესის ხარჯებს წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაღებულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2000 ლარამდე ოდენობით³⁷⁴.

რაც შეეხება წარმომადგენლობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ამგვარ სპეციალურ რეგულაციას კანონმდებლობა არ შეიცავს. ამიტომ წარმომადგენლობის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შესაძლებელია მიკუთვნებული იქნეს სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯებთან, ვინაიდან სწორედ მხარეთა სხვა აუცილებელ ხარჯებს წარმოადგენს მხარეთა წარმომადგენლის საქმიანობისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

9.4. საპროცესო ხარჯებისაგან გათავისუფლება

ყველა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, შემცირების ან გადავადების შესაძლებლობას მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ამ შესაძლებლობას ადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლებით³⁷⁵. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი³⁷⁶ სასამართლოს უფლებას ანიჭებს, მოქალაქე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მთლიანად ან ნაწილობრივ

³⁷³ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე № ბს-234-221 (2კ-07); საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე № ბს-795-757 (2კ-07).

³⁷⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 53-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁷⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 47-ე და 48-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁷⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 47-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

გათავისუფლოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებისაგან. ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით³⁷⁷ კი გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მხარისათვის ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადება, ანდა მათი ოდენობის შემცირება. აღნიშნული შეღავათების არსებობა ქმნის საფუძველს, რომ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ გადაუხდელობამ, ანუ მატერიალურმა უსახსრობამ არ დააბრკოლოს და მხარეს არ წაართვას დარღვეული უფლების აღდგენისა და პროცესუალური საშუალებით დაცვის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სასამართლოს ხარჯებისგან გათავისუფლების, გადავადების ან შემცირების შესახებ, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს ბაჟის გადახდის შეუძლებლობის შესახებ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ერთი მხარის გათავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს³⁷⁸. გარდა ამისა, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს³⁷⁹.

ამასთან, მხარეთა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების პირობებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი³⁸⁰ და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის³⁸¹ საფუძველზე, როდესაც ერთ-ერთი მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, არ ნიშნავს მხარის გათავისუფლებას იმ ხარჯებისაგან, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი აზუსტებს, რომ ესა თუ ის მხარე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ სასამართლო ხარჯებისაგან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი. ხოლო რაც შეეხება იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა

³⁷⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 48-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁷⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 47-ე და 48-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁷⁹ იხ. იქვე.

³⁸⁰ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 46-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁸¹ შეად. სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, №1363, 29.04.1998, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93718>.

გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს³⁸².

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სახელმწიფო ბაუის გადახდის ვალდებულებას პროპორციული მეთოდის საფუძველზე. კერძოდ, იმ მხარის მიერ გადახდილი ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, მოპასუხეს არ ეკისრება მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ხოლო თუ მოპასუხე ნებაყოფლობით დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით, სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას. მორიგების შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ სასამართლო ხარჯების განაწილების წესზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის³⁸³.

აქვე აღსანიშნავია, რომ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად³⁸⁴, თუ სასამართლომ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის განხილვისას გადაწყვეტილება გამოიტანა იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის სასარგებლოდ, იურიდიული დახმარების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მოწინააღმდეგე მხარეს. აქვე კანონი აღგენს ისეთ შემთხვევას, თუ იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირმა იურიდიული დახმარება მიიღო გადახდისუნარობის შესახებ ყალბი, ცრუ ინფორმაციის წარდგენით, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მისთვის გაწეული იურიდიული დახმარების ხარჯები.

³⁸² შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის ბს-117-112(2-კ-ს-09) განჩინება.

³⁸³ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 53-ე და 54-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, №1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁸⁴ შეად. იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, მე-7 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №4955, 19.06.2007, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604>.

დასკვნა

ნაშრომში მოცემული საკითხების განხილვამ და კვლევისას გამოკვეთილმა პრობლემურმა თემებმა კიდევ დაადასტურა წარმომადგენლობის ინსტიტუტის გამიჯვნის საკითხი როგორც კერძო და საჯარო სამართლის კუთხით, ასევე მატერიალურ და პროცესუალურ სამართალს შორის, ვინაიდან წარმომადგენლობის ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო, სამეწარმეო და საგადასახადო სამართალში.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს რიგი დასკვნები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია წარმომადგენლობის ინსტიტუტის განვითარებისათვის საქართველოში. აქვე აღვნიშნავ, რომ ნაშრომის თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილი დასკვნების გარდა, დამატებით წარმოვადგენ იმ საკითხებს, რომლებიც აქტუალურია და რომელთა გათვალისწინება და გაანალიზება მნიშვნელოვნად მიმანია:

- წარმომადგენლობის ინსტიტუტის მომწესრიგებელი სამეწარმეო და საგადასახადო-სამართლებრივი დებულებების შემოღებამ გარკვეული გარდატეხა შეიტანა ადმინისტრაციულ-მმართველობით სფეროში, ვინაიდან სამოქალაქო-სამართლებრივი დებულებები დაინერგა საჯარო-სამართლებრივი ინტერესების შესაბამისად. შესაბამისად, წარმომადგენლობის სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღებამ წარმოშვა სამეწარმეო და საგადასახადო სამართალში (ამ სფეროებში) არსებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობა;

- წარმომადგენლობის ის დებულებები, რომლებსაც, ერთი მხრივ, ვხვდებით სამეწარმეო და საგადასახადო სამართალში, ხოლო, მეორე მხრივ, გაბნეული სახით მოიპოვება ადმინისტრაციულ სამართალში, თვალნათლივ ცხადყოფს, რომ ისინი ვერ ქმნიან წარმომადგენლობის ერთიან და მასშტაბურ ინსტიტუტს³⁸⁵. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალში წარმომადგენლობის ინსტიტუტის მოსაწესრიგებლად წარმომადგენლობის სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული დებულებების გამოყენება იმ შემთხვევაშია აუცილებელი, თუ ადმინისტრაციულ სამართალში ვერ მოიძებნება წარმომადგენლობის ზოგადი სამართლებრივი ფორმები. გაბატონებული დოქტრინა თანხმდება იმაში, რომ წარმომადგენლობის სამართლებრივი ფორმების დანერგვა უნდა მოხდეს საჯარო სამართალში სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე³⁸⁶;

- თუმცა, ამავდროულად, დაუშვებელია სამოქალაქო-სამართლებრივი დებულებების პირდაპირი და უშუალო გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში. რაც შეეხება კერძო-სამართლებრივ

³⁸⁵ იხ. Fritz H., Die Vertretung im Verwaltungsrecht, Tübingen, Univ., Diss., 1962, 73.

³⁸⁶ იხ. Forsthoff E., Lehrbuch des Verwaltungsrechts, Bd. 1., Allgemeiner Teil, Beck, München, 1961, 168.

დებულებებს, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ანალოგიით, ადმინისტრაციული სამართლის საჯარო-სამართლებრივ ინტერესებთან მისადაგებით³⁸⁷. სამოქალაქო-სამართლებრივი დებულებების მისადაგებამ შეიძლება საჯარო-სამართლებრივ ნორმებთან ის შედეგი იქონიოს, რომ მოხდეს კერძო სამართლის ცალკეული ფორმების ტრანსფორმაცია, რათა მათ, როგორც აუცილებელმა კომპონენტებმა, დაიმკვიდრონ ადგილი ადმინისტრაციულ სამართალში წარმომადგენლობის სამართლებრივი ინსტიტუტის სახით.

სადისერატციო ნაშრომში დასახელებული საკითხების კვლევისას გამოიყო წარმომადგენლობის ინსტიტუტის სახეები. აღნიშნული ინსტიტუტის სახეების შესწავლა და გამოყოფა მოხდა შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე. მართალია, წარმომადგენლობის ინსტიტუტი სამოქალაქო სამართლის წიაღიდან წარმოიშვა, მაგრამ ადმინისტრაციული სამართლის სფეროშიდან გამომდინარე, წარმომადგენლობის ინსტიტუტს ადმინისტრაციულ სამართალში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები და სახეები გააჩნია. სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის თანახმად, არსებული სამი ძირითადი სახის: ნებაყოფლობითი, კანონიერი და ორგანიზაციის წარმომადგენლობის გარდა, ნაშრომში გამოიყო წარმომადგენლობის ცალკეული სახეები: იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი, წარმომადგენლობა სახელმწიფოს ხარჯზე. ამასთან, გამოიკვეთა ადვოკატი როგორც წარმომადგენელი. ადვოკატი, ნებაყოფლობითი წარმომადგენლობით ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მაგრამ მათ შორის არსებული მთელი რიგი განსხვავებებით. პირველი, რაც განასხვავებს ადვოკატს წარმომადგენლისაგან, არის ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რაც დაწესებულია ადვოკატისადმი. თუ წმინდა ტერმინოლოგიური განმარტებით ვიხელმძღვანელებთ, პიროვნების ინტერესების წარმოდგენა გარკვეულწილად მოიცავს ამ ინტერესების დაცვასაც და პირიქით, დაცვა ყოველთვის გულისხმობს წარმომადგენლობასაც.

გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების ანალიზის საფუძველზე, ყურადღება გამახვილდა ადმინისტრაციულ წარმოებაში დამხმარის ყოლის უფლების თაობაზე. როგორც ადმინისტრაციული წარმოებისას, ისე ადმინისტრაციულ პროცესში წარმომადგენლის ინსტიტუტის გვერდით შესაძლებელია დამხმარის, კონსულტანტის მონაწილეობაც, რაც ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობისათვის სიახლეს წარმოადგენს. აღნიშნული ინსტიტუტის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევა უფრო ეფექტურს და მოქნილს გახდის ადმინისტრაციულ წარმოებას.

ნაშრომის კვლევის შედეგად გამოვლინდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უაღრესად მნიშვნელოვანია წარმომადგენლით სარგებლობის უფლება:

- განსაკუთრებით ეს ეხება კომპლექსურ ადმინისტრაციულ წარმოებებს, როდესაც უფრო ეფექტურია, მონაწილეობდეს შესაბამისი გამოცდილების მქონე წარმომადგენელი,

³⁸⁷ იხ. Gygi F., Verwaltungsrecht und Privatrecht: über die Bedeutung des Bedeutung des Privatrechts für die öffentliche Verwaltung und seine Beziehungen zum Verwaltungsrecht, Verlag Stämpfli, Bern, 1956, 32.

ვინაიდან საკუთარი ინტერესების ქმედითი დაცვა, პირველ რიგში, დამოკიდებულია სამართლის ცოდნაზე, ამიტომ წარმომადგენელს მარწმუნებლის მიერ მინდობილი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა შეეძლოს თავისი ფუნქციების კეთილსინდისიერად განხორციელება. ამის გარდა, წარმომადგენლის ჩართვა იმ შემთხვევაშიც არის აუცილებელი, როცა მარწმუნებელს სუბიექტური საფუძვლებიდან გამომდინარე, ხელი ეშლება საკუთარი ინტერესების განხორციელებაში.

- რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოსა და მოქალაქის ურთიერთკავშირს, ადმინისტრაციულ წარმოებაში პროფესიული წარმომადგენლის კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მიღწეულ იქნეს მარწმუნებლის ინტერესების გატარება ან ამ ინტერესების გატარების ხელშეწყობა. მოქალაქე, რომელიც თვითონ იცავს საკუთარ ინტერესებს და მრავალმხრივ რთულ სამართლებრივ თუ ფაქტობრივ პრობლემებს თითქმის ვერ ართმევს თავს, ხშირად მიიჩნევს ხოლმე, რომ მოქცეულია თითქოსდა თვითნებური უწყებრივი ღონისძიებების მარწმუნებში, არადა მას მიკუთვნებული აქვს მონაწილეობის გარკვეული უფლებები.
- წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში მნიშვნელოვანი და ამავე დროს ეფექტურია თავად ადმინისტრაციული ორგანოსათვის, ვინაიდან წარმომადგენლის, განსაკუთრებით კი პროფესიონალი წარმომადგენლის ჩართვის გზით აღვილდება ადმინისტრაციის საქმიანობა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ვინაიდან უკვე ზედმეტი ხდება ახსნა-განმარტებები საქმის თუ სამართლებრივი ვითარების შესახებ, წარმომადგენელი მოახდენს საქმესა და მასთან დაკავშირებულ ინტერესთა დაცვაზე კონცენტრირებას და ვერანაირი საფუძვლებიდან გამომდინარე ვერ შეუშლის ხელს ადმინისტრაციის საქმიანობას.
- წარმომადგენლის სამართლებრივი ინსტიტუტის პრაქტიკაში ეფექტური რეალიზებისათვის აუცილებელია მინდობილობის, მისი როგორც სამართლებრივი საფუძვლის შინაარსის დაკონკრეტება. კერძოდ, მისი უფლებამოსილება შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული ქმედებების განხორციელებით. წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება უნდა მოხდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაცრად გაწერილ საკითხებზე. წარმომადგენლის მოქმედების ფარგლები შეიძლება იყოს მხოლოდ ის საკითხები, რის თაობაზეც პირდაპირ არის აღნიშნული მინდობილობაში.

ამასთან, სადისერტაციო ნაშრომში დასახული საკითხების კვლევამ დაადასტურა ზოგადად ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილეთა მნიშვნელობა. როგორც ადმინისტრაციულ წარმოებაში, ისე ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეები თამაშობენ მნიშვნელოვან

როლს ადმინისტრაციული პრაქტიკის და მართლმსაჯულების განვითარების კუთხით:

მონაწილეობის მთავარი მიზანი არის მოქალაქეთა მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციულ წარმოებაში და მათი ინტერესების ზეგავლენა სახელმწიფოს ნების ფორმირებაში:

- კერძოდ, მონაწილეთა დახმარებით ხდება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ „ხარისხიანი“ გადაწყვეტილებების მიღება;
- პროცესის მონაწილეთა დახმარებით ხდება მეტი ინფორმაციის, იდეების და ალტერნატიული გზების მოძიება;
- ამასთან, გადაწყვეტილების მიღების პროცესი ადმინისტრაციული სამართალწარმოების სუბიექტების მონაწილეობით მეტ დასაბუთებულობას და გამჭვირვალეს ხდის ადმინისტრაციულ წარმოებას, მათ შორის ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტ ობიექტურობას იძენს;
- ზოგადად, ეს ყოველივე დადებით ეფექტს ახდენს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და უფრო ეფექტურს ხდის გადაწყვეტილების მიღების პროცესს ადმინისტრაციულ სამართალში.

წარმოდგენილი ნაშრომი დაეხმარება დაინტერესებულ პირებს უფრო სიღრმისეულად გაეცნონ წარმომადგენლობის ინსტიტუტის არსს, ნაშრომში განხილული საკითხების შესწავლა კი ხელს შეუწყობს საქართველოში ადმინისტრაციული დოქტრინის განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, გამოქვეყნებული საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24.08.1995, №№31-33, მუხ. 668, 2013 წლის 04 ოქტომბრის მდგომარეობით;
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, გამოქვეყნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №39(46), 1999 წელი, მუხ. 190, 2012 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით;
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, გამოქვეყნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №3239, 15.07.1999, 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, გამოქვეყნებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984წ. №12, მუხ. 421, 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით;
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, გამოქვეყნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343, 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით;
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამოქვეყნებული პარლამენტის უწყებანი, 24 ივლისი, №31, 1997წ, 416-420-ე მუხლები, 2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით;
7. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, გამოქვეყნებული პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით;
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამოქვეყნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41 (48), 1999წ. მუხ. 209, 2015 წლის 18 მარტის მდგომარეობით;
9. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, გამოქვეყნებული საკანონმდებლო მაცნე, №22, 06.07.2001, 2013 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით;
10. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს;
11. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, გამოქვეყნებული საქართველოს პარლამენტის უწყებები, №21-22, მუხ. 455, 28.10.1994, 2015 წლის 01 აპრილის მდგომარეობით.
12. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, გამოქვეყნებული საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 01.05.1999, 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით;
13. იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, გამოქვეყნებული საკანონმდებლო მაცნე, №24, 19.06.2007, 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით;
14. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2000)21 ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ;

15. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მიღებულ ევროპის ადვოკატურებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს (CCBE) მიერ 1988 წლის 28 ოქტომბერს;
16. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, მიღებული (07.09.1990) გაერთიანებული ერების მერვე კონგრესის მიერ დანაშაულის აღმოფხვრისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ,
17. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მიღებული 1966 წლის 16 დეკემბერს, საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა და ინფორმაცია ქართულ ენაზე

18. ზ. ადვიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, ბონა კაუზა, თბილისი, 2005;
19. ი. აქუბარდია, დამცველის პროცესუალური მდგომარეობა, იურიდიული მეცნიერებანი, რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, №1(6), 2005;
20. ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო და თანამედროვე ადმინისტრაცია, სიესტა, თბილისი, 2009;
21. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008;
22. მ. ვახაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2005, თბილისი.
23. მ. კვაჭაძე, ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, ი. კორძია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით, 25.11.2011;
24. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2007;
25. ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, რედ. გ. გიორგაძე, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2002;
26. ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, რედ. ა. ფალიაშვილი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2002;
27. ლ. ნადარაია, ზ. როგავა, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, EWMI, თბილისი, 2012;
28. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986;

29. პ. ტურავა, კანონიერი ნდობის პრინციპი (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა 10/2007-2/3, თბილისი, 2007;
30. თ. ტულუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, სეზანი, თბილისი, 2013;
31. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, რედ. პროფესორი ს. ჯორბენაძე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 1997;
32. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002;
33. ქ. ცხადაძე, საქართველოს ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობა, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, 2006, №1;
34. ქ. ცხადაძე, წარმომადგენლობის ინსტიტუტის საჭიროება ადმინისტრაციულ სამართალში, ჟურნალი სამართალი, №1, 2013;
35. ი. ყანდიაშვილი, „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ორგანული წარმომადგენლობა: მსგავსება და განსხვავება გენერალური სავაჭრო მინდობილობის ინსტიტუტისაგან“, ჟურნალი ადვოკატი, №1, 2011.

საქართველოს საერთო სასამართლოების და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, № ბს-1695-1651 (კ-10);
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2001 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, №ას-1269-1289-2011;
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინება, №ბს-117-112 (2კ-კს-09);
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის სამოქალაქო საქმეთა პალატის 17 იანვრის გადაწყვეტილება, №ბს-569-564 (2კ-11);
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება, №ს -1227-1213 (კ-11);
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება, № ბს-204-193 (კს-07).
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, №ას-1614-1608-2011;
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, №ას-1269-1289-2011;

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება, № ბს-234-221 (2კ-07);
45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, № ბს-795- 757 (2კ-07);
46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-1896-1849 (კ-10);
47. საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველო პარლამენტის წინააღმდეგ“.
48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი);
49. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/264 საქმეზე „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
50. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/403,427 საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
51. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის 1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
52. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/5/323 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
53. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება № 1/2/434 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
54. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ირაკლი ქემოკლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
55. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/558 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

56. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/10/256 საქმეზე „მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

57. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს 1956 წლის 4 ივლისის განჩინება (BverwGE 4,24);

58. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს 1961 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება (BVerwGE 13,28);

59. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს 1956 წლის 4 ივლისის განჩინება (BVerwGE 4,24);

60. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1958 წლის 12 ნოემბრის განჩინება (2BvL 4,26,40/56);

61. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1959 წლის 3 თებერვლის განჩინება (2BvL10/56);

62. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1959 წლის 3 თებერვლის განჩინება (2BvL10/56);

63. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1960 წლის 12 იანვრის განჩინება (1BvL 17/59);

64. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 20 თებერვლის განჩინება -2BvR1444/00- (BverfGE 103,142(156);

65. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატის 1960 წლის 12 იანვრის განჩინება, BvL 17/59, BverfGE (10, 264);

66. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება, BverwG 1967, 825;

67. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება, BverwGE 28,131;

68. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება, BverwGE 41,58;

აღმნიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

69. Yakovlev vs Russia, №72701/01, 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#{"itemid":\["001-68516"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#{);

70. Golder vs United Kingdom, №4451/70, 1975 წლის 21 თებერვალი, [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=00157496#{"itemid":\["00157496"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=00157496#{).

71. Osman vs the United Kingdom, №87/1997/871/1083, 1998 წლის 28 ოქტომბერი, [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=00158257#{"itemid":\["00158257"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=00158257#{).

უცხოური ნორმატიული აქტები

72. Grundgesetz, გერმანიის ძირითადი კანონი, მიღებული 1949 წლის 23 მაისს, 2012 წლის 11 ივლისის მდგომარეობით, BGBl. IS.1478;
73. Bürgerliches Gesetzbuch, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მიღებული 18.08.1896, 2002 წლის 02 იანვრის მდგომარეობით BGBl. I 2002, 42, 2909; 2003, 738;
74. Die Bundesverfassung der Schweizerischen Eidgenossenschaft, შვეიცარიის კონფედერაციის კონსტიტუცია, მიღებული 1999 წლის 18 აპრილს;
75. Verwaltungsverfahrensgesetz, გერმანიის კანონი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, მიღებული 1976 წლის 29 მაისს;
76. Verwaltungsgerichtsordnung, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს;
77. Verwaltungsverfahrensgesetz, შვეიცარიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონი, მიღებული 1968 წლის 20 დეკემბერს, http://www.gesetze.ch/sr/172.021/172.021_001.htm.

უცხოური სამართლებრივი ლიტერატურა

78. Alpert, F., Zur Beteiligung am Verwaltungsverfahren nach dem Verwaltungsverfahrensgesetz des Bundes, 1999.-XIV, 219 S., (Schriften zum internationalen und zum öffentlichen rechts; 26);
79. Auer Ch., Müller M., Schindler, B., Kommentar zum Bundesgesetz über das Verwaltungsverfahren (VwVG), Dike Verlag AG, Zürich, 2008;
80. Buchka, H., Die Lehre von der Stellvertretung bei Eingehung von Verträgen (Stiller1852), Frankfurt, 1969;
81. Chen, In-Chin: Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwischen Verwaltungseffizienz und Rechtsschutzauftrag (Europäische Hochschulschriften: Reihe 2, Rechtswissenschaft; 2780), 2000;
82. Erichsen H.U, Martens W., Allgemeines Verwaltungsrecht, 8. Auflage, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1988;
83. Epping, Volker., Grundrechte, Lehrbuch, Verlag Springer, Berlin, Heidelberg, New Yourk, 2007;
84. Fehrenbach, Vertretung nicht existierenden Person, in: NJW 30, 2009;
85. Fleiner,F., Über die Umbildung zivilrechtlicher Institute durch das öffentliche Recht, Mohr (P. Siebeck),Tübingen, 1906;
86. Forsthoff E., Lehrbuch des Verwaltungsrechts,Bd.1., Allgemeiner Teil, Beck, München,1961;
87. Fritz, Herbert, Die Vertretung im Verwaltungsrecht, Inaugural-Dissertation zur Erlangung der Doktorswürde einer Hohen Rechts-und Wirtschaftswissenschaftlichen Fakultät der Eberhard-Karls-Universität zu Tübingen, vorgelegt von aus Stuttgart, 1962;

88. Gygi, F., Bundesverwaltungsrechtspflege, 2. Auflage, Verlag Stämpfli, Bern, 1983;
89. Gygi, F., Verwaltungsrecht und Privatrecht: über die Bedeutung des Bedeutung des Privatrechts für die öffentliche Verwaltung und seine Beziehungen zum Verwaltungsrecht, Verlag Stämpfli, Bern, 1956;
90. Häfelin, Müller, Uhlmann, Allgemeines Verwaltungsrecht, 6. Auflage, Dike Verlag AG, Zürich, 2010;
91. Häner, I., Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, Zürich, 2000;
92. Hesse, H., Bestand und Bedeutung der Grundrechte in der Bundesrepublik deutschland, EuGRZ, 1978;
93. Ossenbühl, Grundrechtsschutz im und durch Verfahrensrecht, in: Staatsorganisation und Staatsfunktionen im Wandel, Festschrift für Kurt Eichenberger zum 60. Geburtstag, Eicherberger, 1982;
94. Hoffmann-Riem/Schmidt-Assmann/Schuppert, Reform des Allgemeinen Verwaltungsrecht, Baden-Baden, 1993;
95. Hufeld, Ulrich: Die Vertretung der Behörde, (Juspublicum;102), Tübingen, 2003;
96. Hufen, Friedhelm, Verwaltungsprozessrecht, 2. Auflage, C.H. Beck Verlag, München, 1996.
97. Hupka J., Die Vollmacht (1900), Kessinger Publishing, LLC, 2010;
98. Isabelle Häner, Die Beteiligten im Verwaltungsverfahren und Verwaltungsprozess, Schulthess Verlag, Zürich, 2000;
99. In-Chin Chen, Das Institut der Vertretung im Verwaltungsverfahren zwieschen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag, Peter Lang, Frankfurt, 2000;
100. Jellinek, W., Verwaltungsrecht, Springer, Berlin, 1950;
101. Jochum, Heike, Verwaltungsverfahrensrecht und Verwaltungsprozessrecht,(Jus publicum; 116), 2004;
102. Kiener, Rüttsche, Kuhn, Öffentliches Verfahrensrecht, Verlag Dike, Zürich, St. Gallen, 2012;
103. Knack, Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG), Kommentar., 7 Aufl., Carl Heymanns verlag KG, Köln, 2000;
104. Kopp/Ramsauer, Verwaltungsverfahrensgesetz.7 Aufl., Verlag C.H. Beck, München, 2000;
105. Kopp, F.O.,Verfassungsrecht und Verwaltungsverfahrensrecht, Beck, München, 1971;
106. Kopp, F., (herausgeber), Die Vertretung des öffentlichen Interesses in der Verwaltungsgerichtsbarkeit, (Schriften der Universität Passau: Reihe Rechtswissenschaft; 2), Passau, 1982;
107. Kopp, Ramsauer, Verwaltungsverfahrensgesetz, Kommentar, 12. Auflage, Verlag Beck, München, 2011;
108. Kropshofer, M., Verwaltungsverfahren und Vertretung, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors der Rechte des Fachbereichs Rechts-und Wirtschaftswissenschaften der Johannes Gutenberg-Universität Mainz, 1982;

109. Ladeur, Öffentlichkeitsbeteiligung an Entscheidungsverfahren und die prozedurale Rationalität des Umweltrecht, in: Rossnagel, Neuser, Reformperspektiven im Umweltrecht, Nomos Verlag, Baden-Baden, 1997, S.171-189; *Pitschas*, Verwaltungsverantwortung und Verfahren, München, 1990
110. Lorenz v.Stein, Verwaltungslehre, 3. Auflage, Bd. 1,1888;
111. Mayer O., Deutsches Verwaltungsrecht, 2. Auflage, 1914, in: VA, Bd, 27, 1919;
112. Mitteis L., Die Lehre von der Stellvertretung nach römischem Recht mit Berücksichtigung des österreichischen Rechts (Wien 1885), Scientia, 1962;
113. Palm, Erman, BGB, 12.Auflage, Band I., Verlag C.H. Beck, München, 2008;
114. Palandt, BGB Kommentar, 26.Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2006;
115. Püttner, G., Verwaltungslehre, 2. Auflage, Verlag Beck, München, 1989;
116. Reinhold Hotz, in: St.Galler Kommentar BV, , 3. Auflage, Zürich, St.Gallen, 2014;
117. Saladin, Peter, Das Verwaltungsverfahrenrecht des Bundes, Verlag Helbing-Lichtenhahn, Basel, 1979;
118. Schilken, Staudinger, Kommentar zum BGB, Neubearbeitung, Sellier-de Gruyter, Berlin, 2014;
119. Schwarze, Europäisches Verwaltungsrecht, Nomos, Baden-Baden, 1988;
120. Sonnek, M., Die Gewilkürte Vertretung des Beteiligten im Verwaltungsverfahren nach §14 VwVfG, Inaugural-Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors der Rechte bei dem Fachbereich Rechtswissenschaft der Freien Universität Berlin,1983;
121. Stern, K., Verwaltungsprozessuale Probleme in der öffentlich-rechtlichen Arbeit, 6.Auflage, Beck, München, 1987;
122. Riva, E., Beschwerdebefugnis der Natur, Stampfli, Bern, 1980;
123. Ule, C.H., Laubinger, H.W., Verwaltungsverfahrenrecht, 3.Auflage, C.Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München, 1986;
124. Ule, Carl-Hermann, Das Verwaltungsverfahrensgesetz, in: DVBL (Deutsches Verwaltungsblatt), C.Heymanns Verlag, Köln, 1976;
125. Ulysses Gubert Andreas von Salis, Die Gestaltung des Stimm- und des Vertretungsrecht im schweizerischen Aktienrecht, Dissertation der rechtswissenschaftlichen Fakultät der Universität Zürich, Schulthess Verlag, Zürich,1996;
126. Waldmann, B., Weissenberger, Ph., Praxiskommentar zum Bundesgesetz über das Verwaltungsverfahren (VwVG), Schulthess Verlag, Zürich, 2009;
127. Weber, W., Referat zum 43. DJT (Verhandlungen Deutschen Juristen Tagen), Bd. II, Beck Verlag, München, 1962;
128. Werner, Fritz, Verwaltungsrecht als konkretisiertes Verfassungsrecht, in: DVBL (Deutsches Verwaltungsblatt)74, C.Heymanns Verlag, Köln, 1959;
129. Wolff, Bachof, Verwaltungsrecht III, 5. Aufl., Verlag Beck, München,2004;
130. Wolff, H., Verwaltungsrecht I, Verlag Beck, München, 2004;
131. Wullschleger, S., Das Beschwerderecht der ideellen Verbände und das Erfordernis der formellen Beschwer, in ZBl 94/1993;

132. Кожевников, А.В., Адвокат-представитель потерпевшего, гражданского истца, гражданского ответчика в СУП. Автореф.дисс.канд.юр.наук, Свердловск, 1974;
133. Красавчикова Л., Личная жизнь граждан под охраной закона, М., 1983;
134. Стецовский, Ю.И. , Адвокат в уголовном судепроизводстве. М. ,1979 .